

7/2020

# შელარვაბითი სამართლის

ქართულ-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische  
ZEITSCHRIFT FÜR  
RECHTSVERGLEICHUNG



სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუციის მამოსახლობა

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელალსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განვითარებითი იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

ჟურნალი დაფუძნებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ. 2020 წლის მე-3 ნომრიდან მის დაფინანსებას აგრძელებს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ).

## მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი  
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი  
ლადო სირდაძე

## გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ტიციანა ქიუზი  
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი  
ნოტარიუსი რიჩარდ ბოკი  
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი  
პროფ. დოქ. არკადიუშ ვუდარსკი  
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი  
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი  
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა  
პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე  
პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული  
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია  
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი  
ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი  
ლადო სირდაძე  
დავით მაისურაძე  
ადვოკატი გიორგი უორულიანი  
დემეტრე ეგნატაშვილი  
ადვოკატი ქეთევან ბუაძე  
ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე  
თორნიკე დარჯანია  
ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი

## ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

## სამუშაო ჯგუფი

ნინო ქაგშბაია  
ხატია პაპიძე  
თათია ჯორბენაძე  
ანა ბაიაძე


ISSN 2587-5191

- © თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2020  
© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2020  
© ავტორები, 2020  
გ. ქიქოძის ქ. 3, თბილისი, +995 322983245, [administration@isl.ge](mailto:administration@isl.ge)  
[www.lawjournal.ge](http://www.lawjournal.ge), [www.isl.ge](http://www.isl.ge)

DEUTSCHE STIFTUNG FÜR  
INTERNATIONALE RECHTLICHE  
ZUSAMMENARBEIT E.V.



Gefördert durch:



aufgrund eines Beschlusses  
des Deutschen Bundestages



თინათინ წერეთლის სახელობის  
სახელმწიფოსა და  
სამართლის ინსტიტუტის  
სამსახურის მიერთებული სამსახურის  
მიერთებული სამსახურის მიერთებული

BSH  
Think Legally.



# სარჩევი

## სტატიები

დამქირავებლის უფლება-მოვალეობათა პროგრამა  
გიორგი რუსიაშვილი / ნინო ქავშბაია

1

ინტერნეტში გამოსაყენებელი საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები და სა-  
მომხმარებლო შეთანხმებებში არსებული დათქმები  
ზოგად გაბისონია

21

არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვით გამოწვეული  
ხელყოფის კონდიქცია  
გიორგი მელაძე

33

## სასამართლო პრაქტიკა

ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ოჯახის წევრის გარდაცვალებისას  
(ქავშბაია)

62

საკუთრების უფლების წარმოშობა მოძრავი ნივთის ნასყიდობისას; ნასყიდობის ხელ-  
შეკრულებიდან გასვლა; ნასყიდობის ფასის უკან მოთხოვნა (ნანობაშვილი)

64

სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა სახელშეკრულებო და-  
თქმისგან განსხვავებული წესით (თედორაძე)

66

დაზარალებულის ინტერესის გათვალიწინება ზიანის ანაზღაურებისას (ქავშბაია)

67

სესხის დაპრუნებისა და ზიანის ანაზღაურების დაკისრება ელექტრონული მიმოწერის  
კაუზალურ აღიარებად განმარტების გზით (თედორაძე)

69

დანაშაულით მიყენებული ზიანის ზუსტი ოდენობის დამადასტურებელი დოკუმენტის  
წარმოდგენის ვალდებულება

70

საკუთარი თავისთვის მარწმუნებელი მემკვიდრის სახელით ნივთზე საკუთრების გა-  
დაცემის ბათილობა

71

სტანდარტული პირობის განმარტება იპოთეკის მოვალის სასარგებლოდ დავის საარ-  
ბიტრაჟო წარმოებით გადაწყვეტისას

71

მხარის წერილობითი განმარტება მისგან გამოთხოვილი მტკიცებულების წარდგენის  
შეუძლებლობის შესახებ (ქავშბაია)

72



# დამქირავებლის უფლება-მოვალეობათა პროგრამა

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი  
ნინო ქავშბაია

## I. დამქირავებლის ძირითადი ვალდებულებები

დამქირავებლის მთავარ უფლებას ქირავნობის ხელშეკრულებიდან წარმოადგენს დაქირავებული ნივთით სარგებლობა. მას ამ უფლების საფუძველზე შეუძლია ყველა სხვა პირს, მათ შორის, აგრეთვე გამქირავებელსაც (გარდა მისთვის კანონით მინიჭებული დათვალიერების უფლებამოსილებისა), აუკრძალოს მიქირავებული ნივთით სარგებლობა. ამ უფლებისათვის დამქირავებელმა გამქირავებელს უნდა გადაუხადოს შეთანხმებული ქირა, როგორც საპირისპირო შესრულება მიქირავებული ნივთის გამოყენებისათვის (სკ-ის 531 2 მუხლი). ჩვეულებრივ, ქირის გადახდა უნდა მოხდეს ფულით; სხვაგვარი საპირისპირო შესრულების შემთხვევაში სახეზე ე. წ. ხელშეკრულება ატიპური საპირისპირო ვალდებულებით. ამის მაგალითს წარმოადგენს რემონტის დამქირავებლისათვის გადაკისრება.

დასაშვებია როგორც ერთიანი ქირის შეთანხმება, ისე, განსაკუთრებით, საცხოვრებელი სივრცის მიქირავების შემთხვევაში, საბაზისო ქირისა და კომუნალური გადასახადებისათვის მყარი თანხის ცალ-ცალკე განსაზღვრა. ხელშეკრულებით დასაშვებია მთლიანი ქირის როგორც ერთიანად, ისე პერიოდულად გადახდის შეთანხმება. სკ-ის 553 I მუხლის მიხედვით, ქირის გადახდის ვალდებულება ვადამოსულია ქირავნობის ურთიერთობის ან შესაბამისი დროითი მონაკვეთის დასრულების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეთა განსხვავებული შეთანხმებაა სახეზე. ქირის ოდენობას ადგენენ მხარეები და შეზღუდული არიან

მხოლოდ ზოგადი ნორმებით (მაგალითად, სკ-ის 54-ე მუხლით). თუ ხელშეკრულებით დადგენილი ქირა ამ ზღვარს გადაცდება, ხელშეკრულება, სკ-ის 62-ე მუხლის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, ძალაში რჩება და შეთანხმებულად ითვლება ქირის დასაშვები ოდენობა.<sup>1</sup> თუ მხარეებს ქირის ოდენობა საერთოდ არ გაუთვალისწინებიათ, დასაშვებია სკ-ის 630-ე მუხლების ანალოგით გამოყენება და სახელშეკრულებო ვაკუუმის ამოსავსებად, მოცემულ ადგილას ჩვეულებრივად მიჩნეული ქირის მოშველიება.<sup>2</sup>

თუ დამქირავებელი გადააცილებს ქირის გადახდის ვადას სკ-ის მე-400 და მომდევნო მუხლების მიხედვით, მან შესაბამისი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, უნდა გადაიხადოს ვადის გადაცილების (შეთანხმებული) პროცენტები (სკ-ის 403-ე მუხლი) და უნდა აანაზღაუროს დამქირავებლისათვის ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანი (სკ-ის 404-ე მუხლი). გარდა ამისა, იმისათვის, რათა გამქირავებელს შეუნარჩუნდეს მისი ნივთის მოგების მომტანად რეალიზაციის შესაძლებლობა, მას აქვს ხელშეკრულების ვადის დაუცველად მოშლის უფლება განსაკუთრებული საფუძვლის გამო სკ-ის 558-ე მუხლის მიხედვით, თუ დამქირავებელი არ გადაიხდის ქირას სამი თვის განმავლობაში.<sup>3</sup> ამ დანაწესით გამორიცხულია მოცემულ სიტუაციაში სკ-ის 405 I მუხლის გამოყენება.<sup>4</sup> თუ სა

<sup>1</sup> Emmerich, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2018, Vor § 535 Rn. 117.

<sup>2</sup> BGH MDR 2003, 561.

<sup>3</sup> Bieber, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 543 Rn. 45.

<sup>4</sup> BGH NJW 1969, 37; Bieber, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 543 Rn. 45; J. Esser/H.-L.

ხეზეა ქირავნობის ხელშეკრულების ნამდვილი მოშლა, გამქირავებელს შეუძლია მიუღებელი შემოსავალი (სკ-ის 411-ე მუხლი) მოითხოვოს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების წესების მიხედვით სკ-ის 394 I-III მუხლით. თუმცა მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ მომენტამდე, როდესაც დამქირავებელს ექნებოდა ხელშეკრულების დასრულების შესაძლებლობა (ანაზღაურებადი ზიანის შემოსაზღვრა ალტერნატიული მართლ-ზომიერი ქცევის საფუძველზე).<sup>5</sup>

### 1. ქირის გადახდის ვალდებულება გამქირავებლის შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლებისას

გამომდინარე იქიდან, რომ გამქირავებლის სკ-ის 531-ე მუხლიდან წარმომდგარი ვალდებულება სინალაგმატურ კავშირშია დამქირავებლის ქირის გადახდის ვალდებულებასთან, ზოგადად, ეს უკანასკნელი ქარწყლდება ან მცირდება, თუ გამქირავებელი თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან. ეს გამომდინარეობს სკ-ის 405 I 1 მუხლიდან და სკ-ის 536 I მუხლის სპეციალური დანაწესიდან.

თუმცა დამქირავებელს მაინც ეკისრება გადახდის ვალდებულება, როდესაც გამქირავებლის მხრიდან სკ-ის 531 1, 532 მუხლებიდან წარმომდგარი ვალდებულების დარღვევა სწორედ მას შეერაცხება (სკ-ის 406 I, 538, 543-ე მუხლები). ამ ტიპის შერაცხვას ითვალისწინებს ასევე სკ-ის 554-ე მუხლი. მოცემული დანაწესის თანახმად, დამქირავებლის ქირის გადახდის ვალდებულება რჩება ძალაში, თუ ის ნივთის გამოყენების უფლებით ვერ სარგებლობს მისივე მიზეზით.<sup>6</sup> დანაწესი რეალურად მხოლოდ დეკლარატორულ ხასიათს ატარებს იმ შემთხვევაში, როდესაც ნივთის გადაცემა უკვე

Weyers, Schuldrecht BT II/1, 8. Aufl., Heidelberg 1998, 149.

<sup>5</sup> Oetker, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 249 Rn. 217 ff.; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 412 მე-5 ველი.

<sup>6</sup> ამიტომ ქირის ოდენობის დადგენისას უმნიშვნელოა, რომელი თვიდან დაიწყო დამქირავებელმა ნივთით სარგებლობა, სუსგ № ას-545-513-2010, 2010 წლის 1 დეკემბერი.

მოხდა, რადგან გამქირავებლის სკ-ის 531 1 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულება ამოინურება ნივთის გადაცემითა და მისი გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველყოფით. შესაბამისად, მოცემულ სიტუაციაში გამქირავებლის ვალდებულება უკვე შესრულებულია და ქირის მოთხოვნის უფლების გაქარწყლება თავისთავად გამორიცხულია.<sup>7</sup> იმ რისკს, მოახერხებს თუ არა დამქირავებელი გამქირავებლის მიერ მინიჭებული შესაძლებლობის გამოყენებას, ის თავადვე ატარებს ზოგადი წესების მიხედვით. თუმცა აქვეა გასათვალისწინებელი ის გარემოება, რომ გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც უნდა მიანიჭოს მას გამქირავებელმა, ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება სცდებოდეს ქირავნობის საგნის დათქმულ მდგომარეობაში გადაცემის ვალდებულებას და მოიცავდეს გარკვეული დამატებითი გარემოებების არსებობასაც. ამ კონტექსტში სამაგალითოდ უთითებენ მოთახის ქირავნობაზე, რომელიც გადაჰყურებს ქუჩას, სადაც კორონაციის ცერემონია დაგეგმილი და რომელიც ჩაიშლება პრინცის ავადმყოფობის გამო. ამ სიტუაციაში უპრიანია სკ-ის 406 I მუხლის (უკუდასკვნით)<sup>8</sup> გამოყენება.<sup>9</sup>

ამის საპირისპიროდ, სკ-ის 554-ე მუხლი დამოუკიდებელ მნიშვნელობას იძენს იმ შემთხვევაში, როდესაც შემაფერხებელი გარემოება საერთოდ ნივთის გადაცემას და ამგვარად გამოყენების შესაძლებლობას უშლის ხელს და გამქირავებლის ვალდებულება ამავდროულად აბსოლუტურად მყარად ფიქსირებულთარიღიანი გარიგებიდან გამომდინარეობს. ამ მომენტში საერთოდ არ დგება ვადის გადაცილება (რისთვისაც, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, აუცილებელია შესრულების განგრძობადი შესაძლებლობის არსებობა)<sup>10</sup>, რის გამოც არ გამოიყენება სკ-ის 406 II მუხლი. სწორედ ამ სიტუაციისათვის არის შექმნილი სკ-ის 554-ე მუხლი, როგორც შემდგომი გამონაკლისი სკ-ის 406 I მუხლიდან (უკუდასკვნით) გამომდინარე

<sup>7</sup> BGH WM 1997, 134; Esser/Weyers, Schuldrecht BT II/1, 8. Aufl., Heidelberg 1998, 153.

<sup>8</sup> ბდრ. რუსიაშვილი, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2020, 14.

<sup>9</sup> Esser/Weyers, Schuldrecht BT II/1, ზემოთ სკ. 1, 154.

<sup>10</sup> Ernst in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 293 Rn. 7 ff.

წესიდან და აკისრებს დამქირავებელს იმ შემაფერხებელი გარემოებების რისკს, რომელიც მისი პიროვნებით არის გამოწვეული. ამასთან, დამოუკიდებლად ამ დანაწესის სიტყვა-სიტყვითი გაგებისა, მასში მოიაზრება როგორც სუბიექტური (მაგალითად: დამქირავებლის ავადმყოფობა), ისე ობიექტური (მაგალითად: მეტეოროლოგიური პირობები) შემაფერხებელი გარემოებები. დამქირავებლისა და გამქირავებლის რისკის სფეროების განაწილებისათვის გადამწყვეტია მხოლოდ და მხოლოდ სახელშეკრულებო შეთანხმება.<sup>11</sup> ერთ-ერთ ხელმოსაჭიდ კრიტიკიუმს ამისათვის წარმოადგენს ის გარემოება, იქნებოდა თუ არა დამქირავებელი ვადაგადაცილებული, სკ-ის 390-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, მოცემული გარემოების საფუძველზე, გამქირავებლის ვალდებულების შესრულება ასევე მოვინებითაც რომ ყოფილიყო შესაძლებელი. თუ ამგვარ სიტუაციასთან გვაქვს საქმე, სკ-ის 554-ე მუხლი გამოიყენება. ნებისმიერ შემთხვევაში, დამქირავებლის ბრალის არსებობა არასავალდებულოა,<sup>12</sup> რადგან ამ დროს უკვე სკ-ის 406 I მუხლის შემთხვევა გვექნებოდა სახეზე.<sup>13</sup>

## 2. კოსმეტიკური (მიმდინარე) რემონტის ვალდებულების შესრულება

დამქირავებლისათვის, ქირავნობის საგანზე კოსმეტიკური (მიმდინარე) რემონტის განხორციელების ვალდებულება მხოლოდ მაშინ წარმოადგენს მისთვის სინალაგმატურ ვალდებულებას, თუ ის, მხარეთა ნების შესაბამისად, ქირის ნაწილს ანაცვლებს.<sup>14</sup> ამ შემთხვევაში, მოცემული ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები განისაზღვრება სკ-ის 394-ე და მომდევნო და 405-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით. ზიანის სახით გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს კოსმეტიკური რე-

მონტის ხარჯები და შემოსავალი, რომელიც მან გაუშვა ხელიდან, გამომდინარე იქიდან, რომ ბინის შემდგომი გაქირავება მხოლოდ დაგვიანებით გახდა შესაძლებელი.<sup>15</sup>

მაშინაც კი, როდესაც გამქირავებელს არ უწევს ქირავნობის ხელშეკრულების დასრულების შემდეგ ამ კოსმეტიკური რემონტის თავად ჩატარება, რომელიც ვალდებულების დარღვევით არ გააკეთა დამქირავებელმა, არამედ ის პოულობს მომდევნო დამქირავებელს, რომელსაც აკისრებს ამ რემონტის გაკეთების ვალდებულებას, გამქირავებელს აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სკ-ის 394 I-III მუხლის მიხედვით.<sup>16</sup> „სარგებლის გამოქვითვის პრინციპის“ თანახმად<sup>17</sup>, ის ფაქტი, რომ რემონტის განხორციელება მოუწია მომდევნო დამქირავებელს და არა თავად გამქირავებელს, არ ამართლებს წინა დამქირავებლის უკეთეს მდგომარეობაში ჩატარებას და, შესაბამისად, ქონების სალდირებისას სკ-ის 408 I მუხლის მიხედვით არ უნდა იქნეს გათვალისწინებული.<sup>18</sup> სხვა შედეგი შეიძლება გამომდინარეობდეს წინა და მომდევნო დამქირავებლებს შორის მიღწეული შეთანხმებიდან, რომლის ფარგლებშიც მომდევნო დამქირავებელი აცხადებს თანხმობას საკუთარ თავზე აიღოს იმ კოსმეტიკური რემონტის ჩატარება, რომელიც ეკისრებოდა წინა დამქირავებელს.

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, გამქირავებელს იმ შემთხვევაშიც კი აქვს დამქირავებლისაგან ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, განსახორციელებელი კოსმეტიკური რემონტის ხარჯების ოდენობით, როდესაც ეს კოსმეტიკური რემონტი, ქირავნობის ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ქირავნობის საგნის გადაკეთების გამო (დაქირავებული ოთახების გადაკეთება დამქირავებლის წასვლის შემდეგ) ზედმეტი აღმოჩნდება.<sup>19</sup> გადახდის ეს ვალდებულება

<sup>11</sup> BGH NJW 1963, 341; Emmerich, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2018, § 537 Rn. 8;

<sup>12</sup>

Bieber, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 537 Rn. 4.

<sup>13</sup> Emmerich, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2018, § 537 Rn. 4.

<sup>14</sup> BGH NJW 1980, 2347; K. Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, II/1, 13. Aufl., München 1986, 220.

<sup>15</sup> BGH NJW 1968, 491; Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, II/1, ზემოთ სქ. 14, 220 f.; Emmerich, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2018, § 535 Rn. 142.

<sup>16</sup> BGH NJW 1968, 491.

<sup>17</sup> რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 414 ველი 26.

<sup>18</sup> Oetker, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 249 Rn. 228 ff.

<sup>19</sup> BGH NJW 1980, 2347; BGH NJW 2002, 2383.

გამომდინარეობს ხელშეკრულების განვრცობითი განმარტებიდან სკ-ის 52, 8 III მუხლების მიხედვით, რადგან იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელი არ იკისრებდა კოსმეტიკური რემონტის ჩატარების ვალდებულებას, გამქირავებელი გაზრდილ ქირას მოითხოვდა. ამგვარად, კოსმეტიკური რემონტი ემსახურება არა მხოლოდ ქირავნობის საგნის შეუფერხებელ გამოყენებას უშუალოდ ქირავნობის ურთიერთობის დასრულების შემდეგ, არამედ პირდაპირ კავშირშია ხელშეკრულების ექვივალენტურ სტრუქტურასთან. ამიტომაც, მხარეთა პიპოთეტური ნების განმარტებიდან გამომდინარეობს ის გადაწყვეტა, რომ რემონტის ჩატარების არააუცილებლობისას მის ადგილს გადახდის მოთხოვნა იყავებს, თუმცა მხოლოდ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც დამქირავებელს მოუწევდა ამ კოსმეტიკური რემონტის ჩატარების ხარჯების გაღება.<sup>20</sup> თუკი ის შეძლებდა ეს რემონტი თავად განეხორციელებინა, გადასახდელი თანხა იქნება, რა თქმა უნდა, უფრო ნაკლები, ვიდრე ხელოსნის დაქირავების შემთხვევაში.

### **III. დამქირავებლის დამატებითი ვალდებულებები**

#### **1. ნივთის იმ ფორმით გამოყენების აღკვეთა, რომელიც ხელშეკრულებით აკრძალულია**

##### **ა) ზოგადი**

გამქირავებელი სკ-ის 531 1, 532 მუხლების მიხედვით ვალდებულია, მიანიჭოს დამქირავებელს შესაძლებლობა გამოიყენოს გადაცემული ნივთი იმ ფორმით, რომელიც ხელშეკრულებით იყო შეთანხმებული; ნივთის მდგომარეობის ცვლილება ამ გამოყენების შედეგად არ წარმოადგენს ვალდებულების დარღვევას დამქირავებლის მხრიდან (სკ-ის 547-ე მუხლი).<sup>21</sup>

<sup>20</sup> BGH, Urt. v. 14.10.2003 - VI ZR 425/02.

<sup>21</sup> ამის საპირისპიროდ, სახელშეკრულებო მითითების გარეშე ფართის ოფისად გამოყენება, რომელიც იწვევს ხალხის გაძლიერებულ მოძრაობასა და ინტენსიურ ცვეთას, გაუარესებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველია, სუსგ № 3\_1165-02, 2003 წლის 31 იანვარი.

ამის საპირისპიროდ, დამქირავებელს ეკისრება ვალდებულება არ განახორციელოს ნივთზე იმ ტიპის ზემოქმედება, რომელიც სცდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენების ფარგლებს.<sup>22</sup> ქირავნობის ხელშეკრულებას, ერთი მხრივ, ეწინააღმდეგება დაქირავებული ნივთის ზედმეტი გამოყენება, რომელიც მის იმ ტიპის ინტენსიურ ცვეთას იწვევს, რაც დამქირავებლის მიერ განსახორციელებელი საპირისპირო შესრულებით ვეღარ იქნება კომპენსირებული (მაგალითი: დაქირავებული მანქანით გასავლელი კილომეტრაჟის შეზღუდვა).<sup>23</sup> გარდა ამისა, ხელშეკრულებასთან წინააღმდეგობაში მოდის აშკარა არაგულისხმიერი გამოყენება. დამქირავებელმა არ უნდა შეუქმნას ნივთს საფრთხე, არ უნდა დააზიანოს ის და, რა თქმა უნდა, არ უნდა გაანადგუროს. ხელშეკრულებით დაშვებული გამოყენების ფორმა და ინტენსივობა დგინდება ხელშეკრულების მიზნიდან და მხარეთა კონკლუდენტური ან გაცხადებული შეთანხმებიდან. საეჭვოობისას გამოყენების უფლების შინაარსი უნდა განისაზღვროს სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ჩვეულების მიხედვით (სკ-ის 52-ე მუხლი).<sup>24</sup> მაგალითად, რეკლამა ოფისისათვის ნაქირავები სივრცის გარე ფასადზე დასაშვებია ხელშეკრულებაში გაცხადებულად შეთანხმების გარეშეც, თუ ქირავნობის საგანი ე. წ. ბიზნეს კვარტალში მდებარეობს.<sup>25</sup>

ისევე, როგორც შეიძლება შეიცვალოს გამქირავებლის იმ ვალდებულების შინაარსი, რომელიც ნივთის შესაბამის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებისათვის აუცილებელ) მდგომარეობაში შენარჩუნებას უკავშირდება, ზუსტად ასევე, ხელშეკრულების განვრცობითი განმარტებით, შეიძლება შეიცვალოს დამქირავებლის (სარგებლობის) უფლების შინაარსი ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში. ამასთან, განმარტება ორიენტირებულია დამქირავებლის მიერ ნასურვები გამოყენების ფორმის სამოქალაქო ბრუნვაში დასაშვე-

<sup>22</sup> Esser/Weyers, Schuldrecht BT II/1, ზემოთ სქ. 1 , 151; Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, II/1, ზემოთ სქ. 14, 225.

<sup>23</sup> BGH MDR 2008, 617.

<sup>24</sup> BGH, Urt. v. 16.05.2007 - VIII ZR 207/04.

<sup>25</sup> RGZ 80, 284.

ბად მიჩნეულ ფორმასთან შესაბამისობაზე და იმაზე, თუ რამდენად შეიძლება მოეთხოვოს ამის მოთმენა გამქირავებელს.<sup>26</sup> მაგალითად, საწარმო ფართის გაქირავებისას დასაშვებია საწარმოს ტიპის ცვლილება, თუ ეს არ იწვევს ნივთის თავდაპირველ და შედარებით უფრო ინტენსიურ ცვეთას და ახალი საწარმოდან გამომდინარე ხელშეშლა ასატანია სხვა დამქირავებლებისათვის და თავად გამქირავებლისთვის.<sup>27</sup>

### **ბ) დაქირავებული ნივთის გამოყენება მესამე პირის მიერ**

იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ რამდენად შეუძლია დამქირავებელს მიანიჭოს მესამე პირებს ნივთის გამოყენების შესაძლებლობა, შემდეგი დიფერენცირების გაკეთებაა აუცილებელი:

#### **აა) ამოსავალი ნები**

დამქირავებლის გამოყენების უფლებამოსილებით მოცული არ არის ქირავნობის საგნის მესამე პირისათვის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა გამქირავებლის ნებართვის გარეშე (სკ-ის 549 1 მუხლი), რადგან მესამე პირისათვის გამოყენების შესაძლებლობის მინიჭება შეიცავს ნივთის ცვეთის გაზრდის რისკს და ამასთან გამქირავებელს უნდა შეუნარჩუნდეს იმ პირზე ზემოქმედების შესაძლებლობა, რომელიც კონკრეტულ მომენტში ნივთს იყენებს.<sup>28</sup> სკ-ის 549 1 მუხლის მიხედვით, გამოყენების შესაძლებლობის გადაცემად ითვლება ნივთის ყოველგვარი, გარკვეული ხანგრძლივობის მქონე, სრული ან ნაწილობრივი გადაცემა მესამე პირისათვის ამ ნივთის დამოუკიდებლად ან სხვა პირზე დამოკიდებულად (მაგალითად, დამქირავებლის ზედამხედველობის ქვეშ) გამოყენებისათვის.<sup>29</sup> მოცემული დანაწესი, პირველ

<sup>26</sup> Emmerich, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2018, § 535 Rn. 38.

<sup>27</sup> Emmerich, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2018, § 535 Rn. 38 f.

<sup>28</sup> Bieber, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 540 Rn. 1.

<sup>29</sup> BGH NJW 2004, 56.

რიგში, ეხება ქვექირავნობის შემთხვევებს, როგორც ეს გაცხადებულად არის დაფიქსირებული მის დისპოზიციაში.<sup>30</sup> ამის საპირისპიროდ, სკ-ის 549 1 მუხლით მოცული არ არის ნივთის ხანმოკლე გადაცემა, მაგალითად: დამქირავებლის მიერ სტუმრების მიღება.

### **ბ) მესამე პირის მხრიდან ნივთის გამოყენების დასაშვებობა**

#### **(1) გამქირავებლის ნებართვა**

მესამე პირისათვის ნივთის გამოყენების შესაძლებლობის მინიჭება, სკ-ის 549 1 მუხლით, პირველ რიგში, დასაშვებია მაშინ, როდესაც გამქირავებელი ხელშეკრულებაში ან მოგვიანებით გაცხადებულად ან კონკლუდენტურად აფიქსირებს თავის თანხმობას ამასთან დაკავშირებით.<sup>31</sup> სამენარმეო ფართის ქირავნობისას ეს თანხმობა შეიძლება გამომდინარებდეს ხელშეკრულების მიზნიდან და ანიჭებდეს, დამქირავებლის გარდა, ასევე მის თანამშრომლებაც დაქირავებული სივრცის გამოყენების უფლებას.<sup>32</sup> თუმცა სკ-ის 549 1 მუხლში დაფიქსირებული პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ გამქირავებელს აქვს ნებართვის გამოხმობის უფლება, თუ მესამე პირის პიროვნება იძლევა ამ ნებართვაზე უარის თქმის უფლებას და ეს გარემოება დამქირავებლისათვის თავდაპირველად უცნობი იყო.<sup>33</sup>

<sup>30</sup> Bieber, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 540 Rn. 22 f.

<sup>31</sup> ქვექირავნობაზე თანხმობის დამქირავებლის მხრიდან სასყიდლის სანცვლოდ მოპოვებასთან დაკავშირებით იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 28/2867-13, 2013 წლის 17 დეკემბერი. პრობლემურია ის გარემოება, რომ სასამართლო ამ თანხმობას „არამატერიალურ ქონებრივ სიკეთედ“ აკვალიფიცირებს. თანხმობა, რომელიც არის ნების გამოხატვა, ისევე, როგორც, ნებისმიერი სხვა ნების გამოხატვა, ვერ იქნება ქონებრივი სიკეთე, ანუ სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი.

<sup>32</sup> BGH, Urt. v. 21.07.2010 - XII ZR 189/08.

<sup>33</sup> BGH MDR 1987, 753; Emmerich, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2018, § 540 Rn. 14.

## (2) დასაშვებობა კანონის საფუძველზე

გამონაკლისის სახით, დამქირავებლის უფლება – მიანიჭოს ნივთით სარგებლობის შესაძლებლობა ასევე მესამე პირებსაც, შეიძლება ეფუძნებოდეს კანონის ნორმას. მაგალითად, კონსტიტუციის 5 IV 1 მუხლიდან გამომდინარეობს, რომ ბინის დამქირავებელი უფლებამოსილია აცხოვროს იქ მისი მეუღლე და ბავშვები, დამქირავებლის მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ნებართვის გარეშე, თუ ეს არ იწვევს ბინის გადავსებას.<sup>34</sup> ეს პირები არ ითვლებიან მესამე პირებად სკ-ის 549 1 მუხლის გაგებით (სკ-ის 549 2 მუხლი); საპირისპირო სახელშეკრულებო შეთანხმება ბათილია სკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით. გამომდინარე იქიდან, რომ ამ პრივილეგიის საფუძვლად კონსტიტუციის 5 IV 1 მუხლი რჩება (ქორნინგბისა და ოჯახის დაცვა), იმავე დაცვას არ იმსახურებს არარეგისტრირებული თანაცხოვრება და ამ შემთხვევაში გამქირავებლის თანხმობაა საჭირო.<sup>35</sup>

## გ) ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები

თუ დამქირავებელი ქირავნობის საგანს იყენებს იმ ფორმით, რომელიც აკრძალულია ხელშეკრულებით, ის ვალდებულია სკ-ის 394-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით აუნაზღაუროს გამქირავებელს ამით მიყენებული ზიანი.<sup>36</sup> ამასთან, სკ-ის 396-ე მუხლის ანალოგით მას შეერაცხება იმ მესამე პირის ბრალი, რომელსაც მან სრულად ან ნაწილობრივ მიანიჭა ნივთით სარგებლობის შესაძლებლობა. ეს წესი ძალაშია იმ შემთხვევაშიც, როდესაც გამოყენების შესაძლებლობის გადაცემა, ცალკე აღებული, არ წარმოადგენს ვალდებულების დარღვევას, როდესაც, მაგალითად, სახეზეა გამქირავებლის თანხმობა. სკ-ის 396-ე მუხლის ანალოგით გამოყენება ამ შემთხვევაში გამართლებულია იმ

რისკის ზრდით, რაც თან სდევს ნივთის მესამე პირის მხრიდან გამოყენებას.<sup>37</sup>

გარდა ამისა, სკ-ის 557-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში (ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევა და ქირავნობის საგნისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნა, მაგალითად, მესამე პირისათვის უნებართვოდ გადაცემა) გამქირავებელს აქვს ხელშეკრულების ვადის დაუცველად მოშლის უფლება განსაკუთრებული საფუძვლით, რის წინაპირობასაც, სკ-ის 557-ე მუხლის მიხედვით, წარმოადგენს ის გარემოება, რომ დამქირავებელმა ვალდებულების დარღვევა განაგრძოს ასევე გამქირავებლის მხრიდან გაფრთხილების შემდეგაც. თუმცა გაფრთხილება ზედმეტია, სკ-ის 541 II მუხლის ანალოგის მიხედვით, თუ თავიდანვე ცხადია, რომ ის ამაო იქნება, რადგან დამქირავებელი გადაჭრით ამბობს უარს შეწყვიტოს ხელშეკრულებით აკრძალული ფორმით ნივთის გამოყენება.<sup>38</sup> წინასწარი გაფრთხილება, გავრცელებული მოსაზრების თანახმად<sup>39</sup>, წარმოადგენს უმოქმედობის მოთხოვნის აუცილებელ წინაპირობას. თუმცა ამ მოსაზრებას უპირისპირდება ის არგუმენტი, რომ ხელშეკრულებით აკრძალული გამოყენების შეწყვეტის მატერიალური სამართლებრივი მოთხოვნა – დამოუკიდებლად გაფრთხილებისა – თავისთავად წარმოიშობა სახელშეკრულებო ურთიერობის საფუძველზე. ამგვარად, დანაწესის რეგულატორული შინაარსი ამოიწურება პროცესუალურ-სამართლებრივი დაცვის აუცილებლობის დაკონკრეტებით.

## 2) ნივთზე ზრუნვის ვალდებულებები

ნივთის გადაცემის შემდეგ დამქირავებელი, ჩვეულებრივ, მოიპოვებს მასზე პირდაპირ მფლობელობას და ამგვარად, სხვისი ნივთი აქვს საკუთარ ხელში. ეს აკისრებს მას ნივთის მოვლის ვალდებულებებს (სკ-ის 316 II მუხლი). მან

<sup>34</sup> BGH NJW 1964, 108; BGH NJW 2004, 56.

<sup>35</sup> BGH NJW 2004, 56.

<sup>36</sup> BGHZ 218, 22.

<sup>37</sup> Bieber, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 540 Rn. 24; D. Looschelders, Schuldrecht AT, 15. Aufl., München 2017, Rn 450.

<sup>38</sup> Emmerich, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2018, § 541 Rn. 8.

<sup>39</sup> Bieber, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 541 Rn. 1.

ნივთს დაბრუნებამდე უნდა მოუაროს იმ ფორმით, რომელიც მიჩნეულია ჩვეულებრივად მსგავსი ტიპის ურთიერთობებში და დაიცვას ის საფრთხეებისაგან, რამდენადაც ეს შესაძლებელია (ობიექტურად) და შეიძლება, რომ მოეთხოვოს მას.<sup>40</sup> მაგალითად, საცხოვრებელი სივრცის დამქირავებელი ვალდებულია წვიმისა და ყინვის დროს დახუროს ფანჯრები, დაიცვას სისუფთავის მინიმალური სტანდარტი, აგრეთვე გაითვალისწინოს სახლის განიავების აუცილებლობა. გარდა ამისა, ნაქირავები მანქანა დამქირავებელმა საიმედოდ უნდა დაკეტოს. დამქირავებელს ექსტრემალურ სიტუაციებში აწევს ვალდებულება, მიიღოს ყველა შესაძლო ზომა.<sup>41</sup> მაგალითად, წყლის მიღის გახეთქვის შემთხვევაში მან უნდა გადაკეტოს მთავარი ონკანი. ზოგადად, დამქირავებელს არ შეიძლება დაეკისროს ნაქირავები ნივთის გამოყენების ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია ნივთის მდგომარეობის გაუარესების თავიდან ასაცილებლად<sup>42</sup> (მაგალითად: დოლის ცხენით დროდადრო ჯირითი, მისი ფორმის შენარჩუნების მიზნით). დამქირავებლის ზრუნვის მოვალეობის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს სკ-ის 543-ე მუხლში დაფიქსირებული ვალდებულება, რომლის მიხედვითაც მან გამქირავებელს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ყოველგვარი გამოვლენილი ნაკლისა თუ საფრთხის შესახებ, რომლის პრევენციისათვისაც შესაბამისი ზომების მიღებაა აუცილებელი. შეტყობინების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დამქირავებელი არა მხოლოდ კარგავს, სკ-ის 543-ე მუხლის მიხედვით, შესაბამის უფლებას, არამედ ასევე უნდა აუნაზღაუროს დამქირავებელს ამით მიყენებული ზიანი (სკ-ის 394 I მუხლი).

ზრუნვის ვალდებულების სხვა ტიპის დარღვევისას, ზიანის ანაზღაურების საფუძვლად, გამოიყენება ასევე სკ-ის 394 I მუხლი. გარდა ამისა, დასაშვებია ასევე ხელშეკრულების მოშ-

ლა განსაკუთრებული საფუძვლით ვადის დაუცველად სკ-ის 541 I, II მუხლის მიხედვით.

### 3) დამქირავებლის მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის შემოკლებული ვადები (სკ-ის 573-ე მუხლი)

#### ა) ზოგადი

თუ დამქირავებლის მიერ ნივთის ხელშეკრულებით აკრძალული ფორმით გამოიყენებისა ან მასზე ზრუნვის ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოიშობა ზიანი, გამქირავებლის მოთხოვნები ხანდაზმული ხდება არა ზოგადი დანაწესებით (სკ-ის 128-ე და მომდევნო მუხლები) გათვალისწინებულ ვადებში, არამედ სკ-ის 573 I მუხლის მიხედვით განსაზღვრულ შემოკლებულ ვადაში. ამ დანაწესის თანხმად, გამქირავებლის მოთხოვნების ხანდაზმულობა შეადგენს ექვს თვეს ქირავნობის საგნის დაბრუნებიდან (სკ-ის 573 II მუხლი), რაც ემსახურება მხარეთათვის ქირავნობიდან წარმომდგარი მოთხოვნების სწრაფი განხორციელების სტიმულის მიცემასა და მტკიცებასთან დაკავშირებული სირთულეების თავიდან აცილებას, რადგან დროის გასვლასთან ერთად სულ უფრო რთულად დასადგენია, გამოწვეულია თუ არა ქირავნობის საგნის გაუარესება დამქირავებლის ქმედებით.<sup>43</sup>

სკ-ის 573 I მუხლის მიზნიდან გამომდინარე, მოცულია მხოლოდ ნივთის მდგომარეობის ცვლილებასთან და დაზიანებასთან დაკავშირებული მოთხოვნები და არა მისი სრული განადგურებიდან გამომდინარე მოთხოვნები.<sup>44</sup> ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ წარმოიშობა რაიმე განსაკუთრებული სირთულე მტკიცების ტვირთან დაკავშირებით და, შესაბამისად, ხანდაზმულობაც სკ-ის 128-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით განისაზღვრულება. ამის საპირისპიროდ, სკ-ის 573-ე მუხლის მოქმედების სფეროში ექცევა გამქირავებლის მოთხოვნის უფლე-

<sup>40</sup> Esser/Weyers, Schuldrecht BT II/1, ზემოთ სქ. 1, 151; Looschelders, Schuldrecht BT, ზემოთ სქ. 37, Rn. 445.

<sup>41</sup> Emmerich, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2018, § 535 Rn. 96.

<sup>42</sup> Häublein, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 535 Rn. 166.

<sup>43</sup> BGH NJW 1987, 187; BGH MDR 2014, 18; Bieber, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 548 Rn. 1.

<sup>44</sup> BGH NJW 2006, 2399; Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, II/1, ზემოთ სქ. 14, 277.

ბები დამქირავებლის მიერ კოსმეტიკური რე-  
მონტის განხორციელებასთან დაკავშირებით,  
ისევე, როგორც მისი განუხორციელებლობი-  
დან წარმომდგარი მოთხოვნები.<sup>45</sup>

### **ბ) ხანდაზმულობის ვადის გავრცელება კონკურირებად მოთხოვნებსა და ურთიერ- თობებზე მესამე პირებთან**

გაბატონებული მოსაზრების თანხმად, სკ-ის 573-ე მუხლის ხანდაზმულობის ვადა ანალოგით ვრცელდება გამქირავებლის დე-  
ლიქტურ მოთხოვნაზე (სკ-ის 992-ე მუხლის მი-  
ხედვით, საკუთრების დაზიანების გამო), რომე-  
ლიც კონკურირებს ზემოთ მოყვანილთან.<sup>46</sup> მა-  
რთალია, საწინააღმდეგო მოსაზრება უთითებს  
სკ-ის 573-ე მუხლის სისტემურ ადგილზე, კერ-  
ძოდ: ქირავნობის სამართალში, და იმ არგუმენ-  
ტზე, რომ სკ-ის 992-ე მუხლის სამოქალაქო  
ბრუნვის უსაფრთხოების დაცვის ფუნქცია, და-  
მატებით, ხელშეკრულების არსებობამ მხო-  
ლოდ უნდა გააძლიეროს და არა დაასუსტოს.<sup>47</sup>  
თუმცა ეს არგუმენტები ყურადღების მიღმა  
ტოვებენ იმ გარემოებას, რომ სახელშეკრულე-  
ბო სპეციალური ურთიერთობა არა მხოლოდ  
იმეორებს (ზოგად დელიქტურ) აკრძალვას სხ-  
ვისი დაზიანებისა, არამედ სახელშეკრულებო  
რეგულაციებიდან გამომდინარე ქმნის დამოუ-  
კიდებელ წესრიგს და ჩარჩოს შესაბამისი სამა-  
რთალურთიერთობის მიზნის გათვალისწინე-  
ბით. ამიტომაც, გამომდინარე იქიდან, რომ სკ-  
ის 128-ე და მომდევნო მუხლების გამოყენება  
იმ დელიქტურ მოთხოვნებზე, რომლებიც წარ-  
მოდგება ქირავნობის საგნის დაზიანებიდან,  
იქნებოდა სკ-ის 573-ე მუხლით დასახული სწ-  
რაფი მოგვარების მიზნის გვერდის ავლა, ხან-  
მოკლე ხანდაზმულობის გამოყენება უნდა მოხ-  
დეს ასევე სკ-ის 992-ე მუხლებიდან გამომდინა-  
რე დელიქტურ მოთხოვნებზე.

გარდა ამისა, სკ-ის 573-ე მუხლი უნდა გავრ-  
ცელდეს ასევე იმ დელიქტურ მოთხოვნებზე,

<sup>45</sup> BGH NJW 1973, 1328; BGH, Urt. v. 04.05.2011 - VIII ZR 195/10.

<sup>46</sup> BGH NJW 1987, 187; Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, II/1, ზემოთ სქ. 14, 276 f.

<sup>47</sup> R. Dietz, Anspruchskonkurrenz bei Vertragsverletzung und Delikt, 1934, S. 146 ff.

რომლებიც აქვს გამქირავებელს ქირავნობის  
ურთიერობის დაცვით სფეროში ჩართული მე-  
სამე პირების მიმართ.<sup>48</sup>

### **გ) ხანდაზმულობის დაწყება**

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნათა ხანდაზ-  
მულობის ვადის დენა იწყება ქირავნობის საგ-  
ნის უკან დაპრუნებით (სკ-ის 573 II მუხლი).<sup>49</sup>  
ამისათვის აუცილებელია, რომ გამქირავებელ-  
მა მოიპოვოს პირდაპირი მფლობელობა ქირავ-  
ნობის საგანზე და შესაძლო მოთხოვნების შე-  
სახებ წარმოდგენის შესაქმნელად ჰქონდეს მი-  
სი გამოკვლევის შესაძლებლობა მდგომარეო-  
ბის ცვლილებასთან და გაუარესებასთან დაკა-  
ვშირებით.<sup>50</sup> თუმცა ცალკეულ შემთხვევებში  
საკმარისია, დამქირავებელმა მიანიჭოს მას შე-  
უზღუდავი წვდომა ქირავნობის საგანზე, მაგა-  
ლითად, მისცეს დაქირავებული ოთახების გა-  
საღები.<sup>51</sup> თუ გამქირავებელი ნივთს უკან არ  
ითხოვს, მაშინ ზიანის ანაზღაურების მოთხოვ-  
ნათა ხანდაზმულობა სკ-ის 573 II მუხლის მიხე-  
დვით იწყება ნივთის დაპრუნების მოთხოვნის  
წარმოშობასთან ერთად, სკ-ის 128-ე და მომდე-  
ვნო მუხლების შესაბამისად.

## **VII. ქირავნობის ურთიერთობის შეწყვეტა**

### **1. ზოგადი**

ქირავნობის ხელშეკრულება, როგორც გრ-  
ძელვადიანი ურთიერთობა, ჩვეულებრივ, არ  
მთავრდება შესრულებით სკ-ის 427-ე მუხლის  
მიხედვით, რადგან მხარეთა უფლება-მოვალე-  
ობები, განსხვავებით გასხვისების გარიგებები-  
საგან, არ ამოიწურება ერთჯერადი (ან თუნ-  
დაც რამდენიმე) შესრულების გაცვლით. ამი-  
ტომაც, ქირავნობა, ჩვეულებრივ, მთავრდება  
სხვა საფუძვლით და შეწყვეტის სხვა სამართ-  
ლებრივი შემადგენლობის მეშვეობით.

<sup>48</sup> BGH NJW 1973, 2059; BGH 29.03.1978 BGH NJW 1978, 1426.

<sup>49</sup> BGH, Urt. v. 15.03.2006 - VIII ZR 123/05.

<sup>50</sup> BGH, Urt. v. 12.10.2011 - VIII ZR 8/11; BGH MDR 2014, 18.

<sup>51</sup> Bieber, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 548 Rn. 13.

სკ-ის 559-ე მუხლი შეიცავს ქირავნობის შეწყვეტის შემადგენლობების სისტემატიკას და პირველ რიგში, მიჯნავს გარკვეული ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულებებსა (სკ-ის 559 I) და იმ ქირავნობას შორის, რომლისათვის შესაბამისი ვადა არ არის განსაზღვრული და რომელიც შეიძლება დამთავრდეს ვადის დაცვით მოშლის მეშვეობით სკ-ის 561 მუხლის (სკ-ის 559 III მუხლი) შესაბამისად. ამ შემთხვევისაგან უნდა გავმიჯნოთ განსაკუთრებული საფუძვლის არსებობაზე მიბმული, ვადის დაუცველად გაცხადებული მოშლა სკ-ის 541-ე მუხლის მიხედვით.

სკ-ის 559-ე მუხლში განერილი შემთხვევების გარდა, გასათვალისწინებელია ხელშეკრულების დამთავრების ზოგადი შემადგენლობები, მაგალითად, გაუქმების პირობის დადგომა სკ-ის 96-ე მუხლის მიხედვით, გაუქმების ხელშეკრულების დადება ან ქირავნობის უკუქცევა ვალდებულების შეუსრულებლობის საბაბით (შესრულების შეუძლებლობა, სკ-ის 405-ე მუხლი და ა. შ.).<sup>52</sup> დამთავრების შემადგენლობის კორექტივის სახით სკ-ის 559 II მუხლი ითვალისწინებს ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელებას იმ შემთხვევაში, როდესაც დამქირავებული შეუფერხებლად აგრძელებს დაქირავებული ნივთით სარგებლობას, გამქირავებლის მხრიდან ამ ფაქტის გაპროტესტების გარეშე. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ურთიერთობის დასრულებასთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსი შეიცავს სპეციალურ წესებს.

## 2. ქირავნობის ხელშეკრულების დასრულება, ხელშეკრულების ვადის გასვლასთან ერთად

ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ შეზღუდონ ქირავნობის ხელშეკრულების ხანგრძლივობა შესაბამისი ვადის დათქმით. ამ მექანიზმის მიხედვით, ხელშეკრულების დასრულება მიბმულია იმ მოვლენაზე, რომლის დადგომაც გარდაუვალია. უმნიშვნელოა, შეუძლიათ თუ არა მხარეებს ხელშეკრულების დადების მომე-

ნტში წინასწარ განჭვრიტონ ამ მოვლენის დადგომის ზუსტი დრო.<sup>53</sup> ამგვარად, ვადის დათქმა შესაძლებელია განსაზღვრული საბოლოო თარიღისა თუ ქირავნობის მიმდინარეობის კონკრეტული ვადის დათქმით (მაგალითად, ველოსიპედის მიქირავება ორი კვირით). გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევებში ეს ვადა შეიძლება უკავშირდებოდეს დამქირავებლის ან გამქირავებლის ცხოვრების განსაზღვრულ მომენტებს.<sup>54</sup>

სკ-ის 559 I მუხლიდან უკუდასკვნით გამომდინარეობს, რომ ქირავნობის ურთიერთობისათვის ვადის დათქმა, მისი მიზნიდან გამომდინარე, გამორიცხავს ვადის დაცვით ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობას.<sup>55</sup> თუმცა მხარეებს შეუძლიათ გადაუხვიონ ამ წესიდან, რის შემდეგაც ვადას რჩება მხოლოდ ხელშეკრულების მიმდინარეობის მაქსიმალური დროის განსაზღვრის ფუნქცია და ხელშეკრულება მოშლის გარეშეც მთავრდება, თუმცა რის ფარგლებშიც დასაშვებია ხელშეკრულების მოშლა შესაბამისი ვადის დაცვით. ვადის დათქმის მიუხედავად, მხარე ყოველთვის ინარჩუნებს ქირავნობის ურთიერთობის ვადის დაუცველად მოშლის შესაძლებლობას სკ-ის 541, 557, 558-ე მუხლების მიხედვით.

მხარეთა ბოჭვას, შეუსაბამოდ ხანგრძლივი ვადის დათქმით, გამორიცხავს სკ-ის 570-ე მუხლი, რომელიც ათ წელზე მეტი წნით დადებული ქირავნობის ხელშეკრულების შემთხვევაში თითოეულ მხარს ანიჭებს მისი მოშლის უფლებას სკ-ის 561-ე მუხლით გათვალისწინებული ვადაში, სხვა, რამე სპეციალური საფუძვლის არსებობის აუცილებლობის გარეშე. გარდა აღნიშნულისა, ქირავნობის მხარეებს შეუსაბამოდ ხანგრძლივი ბოჭვისაგან იცავს ასევე სკ-ის 54 მუხლის მე-3 ვარიანტიც. თუ ამ ვადის დათქმა მოხდა სტანდარტულ პირობებში, აქ დასაშვებია სკ-ის 346-ე მუხლში გათვალისწინებული გენერალური დათქმის ამოქმედება, თუ ამ სტანდარტული პირობის შემთავაზებლის მიერ და-

<sup>52</sup> M. Wolf/J. Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl., München 2016, § 52 Rn. 2.

<sup>53</sup> Bieber, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 542 Rn. 21.

<sup>54</sup> BGH, Urt. v. 18.04.2007 - VIII ZR 182/06.

თქმული სახელშეკრულებო ბოჭვის ვადა მეორე მხარეს აზიანებს ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ.

### 3. ქირავნობის ხელშეკრულების დასრულება მისი ვადის დაცვით მოშლის საფუძველზე

ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა ვადის დაცვით ასრულებს ურთიერთობას ამ ვადის (იქნება ეს ხელშეკრულებით თუ კანონით გათვალისწინებული) ამონურვასთან ერთად. ვადის დაცვით მოშლის ნორმატიული საფუძველი მოცემულია სკ-ის 559 III და მომდევნო მუხლებში, რომლებიც აწესრიგებენ მის წინაპირობებსა და გამოსაყენებელ ვადას.<sup>56</sup>

მოშლა არის ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოხატვა, რომელიც მხოლოდ საცხოვრებელ სადგომთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულების შემთხვევაშია ფორმასავალდებულო (სკ-ის 563-ე მუხლი). სკ-ის 90-ე მუხლის გაგებით პირობადებულად მოშლის გაცხადება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ამის შედეგად არ წარმოიშობა (მეორე მხარის ინტერესებთან) შეუსაბამო გაურკვევლობა ქირავნობის ურთიერთობის დასრულებასთან დაკავშირებით. გაურკვევლობა არ გვექნება სახეზე, თუ პირობის დადგომა მხოლოდ მეორე მხარის ნებაზეა დამოკიდებული (ე. წ. პოტესტატური პირობა).<sup>57</sup> თუ ხელშეკრულების ერთერთ მხარეზე რამდენიმე პირია ჩართული, მაშინ, სკ-ის 357-ე მუხლის ანალოგით, მოშლა უნდა მოხდეს ერთობლივად.<sup>58</sup>

<sup>56</sup> სკ-ის 561-ე მუხლით განსაზღვრული ვადა უცვლელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც მიქირავებული ნივთის გამოთავისუფლებისთვის 3 თვე არასაემარისია, სუსგ № ას-750-718-2016, 2016 წლის 13 ოქტომბერი.

<sup>57</sup> BGH NJW 1986, 2245.

<sup>58</sup> შდრ. სუსგ № ას-360-360-2018, 2018 წლის 4 ოქტომბერი, სადაც სააპელაციო სასამართლო გაკრიტიკებულია სკ-ის 357-ე მუხლის გამოყენებს თვეს ერთერთი მეიჯარის მოშლის ნების არარსებობისას. საკასაციო სასამართლომ საქმე განსაზილებლად მეორე ინსტანციის სასამართლოს დაუბრუნა - მისი აზრით, სკ-ის 357-ე მუხლის გამოყენების სანაცვლოდ, უნდა გამოკვლეულიყო, ჰქონდათ თუ არა მეიჯარეებს ხელშეკრულების მოშლის საფუძველი, თუმცა ამ გადაწყვეტის გამამართლებელი თანმიმდევრული არგუმენტების გადაწყვეტილებაში მოძიება შეუძლებელია.

არ არის აუცილებელი, რომ მოშლის გაცხადებაში ზუსტად იყოს მოხსენიებული მოშლის ვადის ამონურვის მომენტი. საკმარისია, თუ შეცნობადია, რომ მოშლა ვადის დაცვით უნდა მოხდეს.<sup>59</sup> ამ შემთხვევაში ის ძალაში შედის და მოქმედებს იმ უახლოესი მომენტიდან, როდესაც ეს მოშლა დასაშვები იყო (თუ მომშლელი მხარის ნების გამოხატვიდან საპირისპირო ნება არ იკითხება)<sup>60</sup>.<sup>61</sup> იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც მომშლელი არასწორად ითვლის მოშლის ვადას. მოშლის ვადის ათვლა იწყება მისი გაცხადების ნამდვილობასთან ერთად, ანუ, ჩვეულებრივ, იმ მომენტიდან როდესაც ის მოშლის მიმღებს მიუვა და გამოითვლება სკ-ის 121-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით.<sup>62</sup>

ვადის დაცვით მოშლის უფლება შეიძლება შეიზღუდოს ხელშეკრულებით იმგვარად, რომ დაუკავშირდეს რაიმე სპეციალური საფუძვლის არსებობას ან გამოირიცხოს გარკვეული დროის განმავლობაში.<sup>63</sup> მოშლის აკრძალვა გარკვეული დროის განმავლობაში, ჩვეულებრივ, თან-

<sup>59</sup> Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, II/1, ზემოთ სქ. 14, 254.

<sup>60</sup> უზენაესი სასამართლოს მიხედვით, ვადის დაუცველად გაცხადებული მოშლა იძლევა მომშლელი დამქირავებლისგან 3 თვის ოდენობის ქირის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, სუსგ № ას-774-774-2018, 2019 წლის 28 თებერვალი, სუსგ № 3/955, 2001 წლის 18 მაისი. ამის საპირისპიროდ, ერთადერთი გამართლებული გადაწყვეტა იქნებოდა ვადის დაუცველად გაცხადებული მოშლის შეფასება სამართლებრივი ძალის არქონედ ან მისი ნამდვილ მოშლად კონვერსია (თუ სახეზეა სკ-ის 60-ე მუხლის წინაპირობები) და არა მოშლის ნამდვილად მიჩნევა და შემდგომ კონტრაპენტისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მინიჭება.

<sup>61</sup> სუსგ № ას-750-718-2016, 2016 წლის 13 ოქტომბერი, გამქირავებელმა 10 დღე მისცა დამქირავებელს ფართის გადასაცემად. დამქირავებელი მიუთითებდა, რომ ამის ვადის დაცვით უვადო ხელშეკრულების მოშლად განმარტება არასწორია (რადგან გამქირავებელი ნივთის დაცვლას ითხოვდა არა 3 თვეში, არამედ 10 დღეში), მაგრამ სასამართლომ ეს მხედველობაში არ მიიღო. დამქირავებელის მითითება გასათვალისწინებელი იქნებოდა, თუ გამქირავებელს მოშლა სურდა მხოლოდ მისი პირობებით (მოშლის ნების გაცხადებიდან 10 დღეში, თუმცა არა 3 თვეში), რაც არანამდვილი მოშლის ნამდვილად კონვერსიას სკ-ის 60-ე მუხლის მიხედვით შეუძლებელს გახდიდა.

<sup>62</sup> U. Schroeter, Die Fristenberechnung im Bürgerlichen Recht, JuS 2007, 29.

<sup>63</sup> Rolfs, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2018, § 542 Rn. 54 ff.

ხმდება იმ დამქირავებლის დასაცავად, რომელმაც ქირავნობის საგანზე გარკვეული ინვესტიციები განახორციელა, რათა ნაადრევი მოშლით მას არ წაერთვას გაწეული დანახარჯების ამორტიზების შესაძლებლობა. მოშლის გამორიცხვის უფლება ზღვარდაბებულია სკ-ის 54-ე მუხლის მე-3 ვარიანტითა და, სტანდარტული პირობების შემთხვევაში, სკ-ის 346-ე მუხლით.

#### 4. ქირავნობის ურთიერთობის დამთავრება ვადის დაუცველად მოშლის მეშვეობით

ქირავნობის ხელშეკრულების განხორციელების დროს დამქირავებელი მოიპოვებს წვდომას ქირავნობის საგანზე და შეუძლია გააფუჭოს ის ან გაანადგუროს. გარდა ამისა, ის ქირავნობის ხელშეკრულების განმავლობაში ასევე საკუთარ სამართლებრივ სიკეთეებს აყენებს ქირავნობის საგნიდან გამომდინარე რისკების ქვეშ. ამიტომაც, ქირავნობის ხელშეკრულება მოითხოვს ნდობაზე დამყარებულ თანაქმედებას ხელშეკრულების მხარეების მხრიდან.<sup>64</sup> თუ ერთ-ერთ მათგანს აღარ შეიძლება მოეთხოვოს ქირავნობის ურთიერთობის გაგრძელება მოშლისათვის დაწესებული ვადის დაცვამდე <sup>65</sup> ან რაიმე სხვა (ურთიერთობის) დასრულების შემადგენლობის დადგომამდე, მას აქვს ვადის დაუცველად ხელშეკრულების მოშლის უფლება სკ-ის 541-ე მუხლის მიხედვით. ეს ნორმა წარმოადგენს სპეციალურ დანაწესს სკ-ის 399-ე მუხლთან მიმართებით.

დამქირავებლის ვადის დაუცველად ხელშეკრულების მოშლის უფლება მოწესრიგებულია სკ-ის 541-ე მუხლი და განვრცობილია მომდევნო დანაწესში, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის შემთხვევაზე. სკ-ის 541 I 1 მუხლის მიხედვით, თუ დაქირავებული ნივთი მთლია-

<sup>64</sup> Bieber, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 543 Rn. 1.

<sup>65</sup> მაგალითად, დამქირავებელი უფლებამოსილია, მოშალოს ხელშეკრულება, თუ გამქირავებელი, სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების უგულებელყოფით, დამქირავებლის კლიენტებისგან ითხოვს მიქირავებულ ფართზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დგომის საფასურის გადახდას და არ უზრუნველყოფს ქირავნობის საგნის ელექტროენერგიით მომარაგებას, სუსგ № ას-810-777-2016, 2017 წლის 13 აპრილი.

ნად ან ნაწილობრივ გადაეცემა დამქირავებელს დაგვიანებით, ან, თუ მას შემდგომში ერთმევა სარგებლობის უფლება,<sup>66</sup> მას შეუძლია მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება ვადის დაუცველად.<sup>67</sup> ვადის დაუცველად ხელშეკრულების მოშლის უფლება უნდა წარმოადგენდეს ultima ratio-ს და მისი გამოყენება, მეორე მხარის მიერ ვაღლდებულების დარღვევის საბაბით, შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამქირავებელს მიეცემა გარკვეული ვადა სარგებლობისათვის ხელშემშლელი გარემოების აღსაკვეთად (სკ-ის 541 I 2 მუხლი). ეს არ არის, რა თქმა უნდა, მოშლისათვის გათვალისწინებული ვადა, არამედ – ვადა ხელშეკრულების დარღვევის აღმოფხვრისათვის, რისი შესრულების შემდეგაც დამქირავებელი კარგავს ვადის დაუცველად მოშლის უფლებას. სკ-ის 542 II მუხლი ამ ვადის განსაზღვრას ზედმეტად მიიჩნევს, თუ იმ გარემოებათა შედეგად, რომლებიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველს იძლევიან, დამქირავებელმა დაკარგა ინტერესი ამ ხელშეკრულებისადმი, კერძოდ, ნივთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაგვიანებული გადაცემა ან მოგვიანებით სარგებლობის უფლების წართმევა უნდა იყოს იმგვარი, რომ აკარგვინებდეს დამქირავებელს ინტერესს ხელშეკრულების გაგრძელების მიმართ. ინტერესის დაკარგვა ხელშეკრულების გაგრძელების მიმართ მნიშვნელოვანი არის დამოკიდებული ქირავნობის დარჩენილ ხანგრძლივობაზე; რაც უფრო წაკლები დრო რჩება ურთიერთობის რეგულარული დასრულების შემადგენლობის დადგომამდე, მით უფრო მეტს იწონის ზემოთ ხსენებული

<sup>66</sup> მერიის გამგეობის მიერ დაქირავებული საგნის გამოთავისუფლების მოთხოვნა მისი ომის შედეგად დევნილი პირების თავშესაფრად გამოყენებისთვის ჩაითვალა დამქირავებლისთვის სარგებლობის უფლების წართმევად, რომელიც მას აძლევს ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობას, სუსგ № ას-302-284-2014, 2014 წლის 5 დეკემბერი. თუმცა გაცილებით უფრო თანმიმდევრული იქნებოდა მსჯელობა, რომ ხელშეკრულება მოშალა მერიის გამგეობამ, როდესაც დამქირავებელს ფართის დაცლა მოსთხოვა და შემდგომ შეფასება მისა, არსებობდა თუ არა გამქირავებლის მხრიდან ხელშეკრულების მოშლის წინაპირობები.

<sup>67</sup> სამენარმეო საქმიანობის წარუმატებლობა არ შეიძლება გახდეს ქირავნობის მოშლის მართლზომიერი საფუძველი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება № 28/2867-13.

საფუძველი და უფრო მეტად ამართლებს დამქირავებლის ინტერესს, დაუყოვნებლივ დაამთავროს ქირავნობის ხელშეკრულება. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობისას დამქირავებელს არ შეიძლება შეეზღუდოს ან აეკრძალოს სკ-ის 541 I მუხლით გათვალისწინებული მოშლის უფლება (სკ-ის 541 III მუხლი). გარდა აღნიშნულისა, საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელს შეუძლია ქირავნობის ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე, უფრო ზუსტად კი, ერთვიანი ვადის დაცვით, თუ გამქირავებელს შესთავაზებს გადახდისუნარიან და მისაღებ ახალ დამქირავებელს, რომელიც თანახმა ქირავნობის დარჩენილ დროში იყოს დამქირავებელი. გამქირავებლის უფლება ვადის დაუცველად მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება მონესრიგებულია სკ-ის 557-ე და 558-ე მუხლებში, იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელი გაქირავებულ ნივთს მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშრობას, ან არ იხდის ქირას სამი თვის განმავლობაში.

თუ ქირავნობა დადებულია რამდენიმე დამქირავებელთან ან გამქირავებელთან და ზემოთ ხსენებული, მოშლის უფლების მომნიჭებელი, საფუძველი არსებობს მხოლოდ ერთი პირის მიმართ, ხელშეკრულების განმარტების მეშვეობით უნდა დადგინდეს, მოშლის გაცხადება მხოლოდ კონკრეტული დამქირავებლის/გამქირავებლის მიმართ უნდა მოხდეს თუ ყველას მიმართ.<sup>68</sup> ჩვეულებრივ, მხოლოდ ერთი დამქირავებლის მხრიდან ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, მოშლა დასაშვებია ყველა დამქირავებლის მიმართ, რადგან მათ შეერაცხებათ მისი გადაცდომა. ამის საპირისპიროდ, თუ ქირავნობის საგანი, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთ-ერთი დამქირავებლის ჯანმრთელობას აყენებს ზიანს, ვადის დაუცველად ხელშეკრულების მოშლის უფლება, ჩვეულებრივ, მხოლოდ მას წარმოეშობა და მხოლოდ ის ტოვებს ქირავნობის ხელშეკრულებას.

<sup>68</sup> Rolfs, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2018, § 542 Rn. 8 ff.

ვადის დაუცველად მოშლისათვის აუცილებელი არ არის მისი დაუყოვნებლივ თუ დროის მოკლე მონაკვეთში გაცხადება იმ მომენტიდან, როდესაც მხარემ შეიტყო შესაბამისი საფუძვლის არსებობის შესახებ. თუმცა, ამასთან, მოშლის გაცხადების დახანებამ შეიძლება მნიშვნელობა შეიძინოს სკ-ის 541 II მუხლის ფარგლებში ინტერესთა აწონ-დაწონვისას და მიანიშნებს იმაზე, რომ მომშლელი მხარისათვის ხელშეკრულების დარღვევა არ ყოფილა განსაკუთრებულად საგრძნობი.<sup>69</sup> ამ დროს, მოშლის საფუძველი დროის გასვლასთან ერთად კარგავს თავის „მნიშვნელობას“. თუმცა, თუ დროის გასვლის მომენტის ინტეგრირება და მისი შემოწმება არ ხდება „მნიშვნელოვანი საფუძვლის“ ფარგლებში, მაშინ სკ-ის 399-ე მუხლიდან გამომდინარებს, რომ მოშლის გაცხადება უნდა მოხდეს კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე „შესაბამის ვადაში“, რადგან სკ-ის 541 II მუხლი, როგორც *lex specialis*, ამ შემთხვევაში არ განდევნის სკ-ის 399-ე მუხლს, არ შეიცავს რა მოცემული სიტუაციისათვის სპეციალურ დანაწესს.<sup>70</sup> თუმცა, ამისაგან დამოუკიდებლად, მხარეს, რომელსაც მინიჭებული აქვს მოშლის უფლება, უნდა ჰქონდეს აგრეთვე შესაბამისი ვადა მოსაფიქრებლად, რომელიც კონკრეტული შემთხვევის თავისებურებების მიხედვით განისაზღვრება.

ვადის დაუცველად გაცხადებული მოშლის ნამდვილობისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, ობიექტურად არსებობდა თუ არა მისი მისვლის მომენტისათვის გარემოება, რომლის გამოც, მომშლელ მხარეს აღარ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების გაგრძელება. მოშლის საფუძვლის შესახებ მეორე მხარისათვის შეტყობინება არ წარმოადგენს მოშლის ნამდვილობის საფუძველს, თუმცა სკ-ის 8 III მუხლიდან შეიძლება გამომდინარეობდეს, მეორე მხარისათვის იმ არგუმენტების გაზიარების ვალდებულება, რომელიც გახდა მოშლის განმაპირობებელი.<sup>71</sup> თუ მომშლელი თავის ამ ვალდებულებას.

<sup>69</sup> Bieber, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 543 Rn. 30

<sup>70</sup> BGH, Urt. v. 23.04.2010 - LwZR 20/09.

<sup>71</sup> Rolfs, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2018, § 542 Rn. 79.

ბას ბრალეულად არ ასრულებს, მან მეორე მხარეს უნდა აუზაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი სკ-ის 394 I მუხლი (მაგალითად, აზრს მოკლებული სასამართლო დავის ხარჯები).

ვადის დაცვით მოშლის უფლებისგან განსხვავებით, დაუშვებელია ვადის დაუცველად ხელშეკრულების მოშლის უფლების მხარეთა შეთანხმებით გამორიცხვა<sup>72</sup> ან მისი გამოყენების მნიშვნელოვნად გართულება.<sup>73</sup> გარდა ამისა, მხარეებს არ აქვთ უფლება, გაითვალისწინონ რაიმე დამატებითი საფუძველი ვადის დაუცველად მოშლისათვის, თუმცა აქვთ უფლება დააკონკრეტონ გარემოება, რომელიც მიანიშნებს ინტერესის დაკარგვაზე სკ-ის 541 II მუხლის მიხედვით. თუ ვადის დაუცველად განხორციელებული მოშლა არანამდვილია მნიშვნელოვანი საფუძვლის არარსებობის გამო, მაშინ ის შეიძლება კონვერტირდეს (სკ-ის 60-ე მუხლი) ვადიან მოშლად იმ უახლოესი დასაშვები მომენტისათვის, თუ მომშლელს ნებისმიერ შემთხვევაში უნდოდა ქირავნობის ურთიერთობის დასრულება.<sup>74</sup>

განსხვავებით გერმანელი კანონმდებლისააგან, რომელმაც ვადის დაუცველად მოშლის ნორმატიული შემადგენლობა (იხ. გსკ-ის 543-ე პარაგრაფი) „მნიშვნელოვანი საფუძვლის“ (როგორც დამქირავებლისათვის, ისე გამქირავებლისთვის) ცნების გარშემო ააგო, რომელიც შეიძლება სამართლის შემფარდებლის მიერ დაკონკრეტდეს და კანონი ამ შემთხვევების მხოლოდ სამაგალითო ჩამონათვალს შეიცავს (გსკ-ის 543 II პარაგრაფი), ქართველმა კანონმდებელმა განსხვავებული გზა აირჩია და ზემოთ ხსენებულ დანაწესებში ამომწურავად განერა ქირავნობის ხელშეკრულების ვადის დაუცველად მოშლის ნინაპირობები, რაც სამართლის შემფარდებელს აღარ ანიჭებს ამ ნორმების ანალოგით თუ ტელეოლოგიური ექსტენ-

სიით გამოყენების უფლებას სხვა შემთხვევებზე.

## 5. ქირავნობის ურთიერთობის კონკლუდენტური გაგრძელება (სკ-ის 559 II მუხლი)

ფაქტობრივად დამთავრებული ქირავნობის ურთიერთობა შეიძლება გაგრძელდეს ახალი შეთანხმების საფუძველზე, განუსაზღვრელი ვადით, თუ დამქირავებელი აგრძელებს ქირავნობის საგნის გამოყენებას და დამქირავებელი არ გამოთქვამს ამასთან დაკავშირებულ პრეტენზიას (სკ-ის 559 II მუხლი). ამით კანონმდებელი აფუძნებს გაუქარნყლებელ ვარაუდს ხელშეკრულების გაგრძელებისა, რომელიც, განსხვავებით ფიქციისაგან, არ საჭიროებს მხარეთა გარიგებაუნარიანობას.<sup>75</sup> ამ შემთხვევაში მხარეთა რეალური ნება უმნიშვნელოა და არ ანიჭებს მათ შეცილების უფლებას სკ-ის 73-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით.<sup>76</sup> გამქირავებელმა პრეტენზია ქირავნობის ურთიერთობის გაგრძელებასთან დაკავშირებით უნდა გამოთქვას იმ ვადაში, რომლის ათვლაც იწყება ნივთით სარგებლობის ფაქტის გაგრძელების შეტყობიდან და მისი ხანგრძლივობა განისაზღვრება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრიციპის მიხედვით (სკ-ის 8 III მუხლი) კონკრეტული შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინებით.

ნივთის გამოყენების გაგრძელება, სკ-ის 559 II მუხლის მიხედვით, გულისხმობს, რომ დამქირავებელი ქირავნობის დასრულების შემდეგაც ზუსტად ისევე ექცევა ნივთს, როგორც მანამდე.<sup>77</sup> მხოლოდ ნივთის დაბრუნებაზე უარის თქმა საკმარისი არ არის. გაგრძელებული ქირავნობის შინაარსი შეესატყვისება თავდაპირველი ქირავნობის შინაარსს იმ განსხვავებით, რომ ის განუსაზღვრელი ვადით გრძელდება.

სკ-ის 559 II მუხლით გათვალისწინებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგენს მიღებასა-

<sup>72</sup> დასახელებული განსხვავების განხილვის გარეშე სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების ფალმხრივად მოშლის უფლების სტანდარტული პირობით სრულად გამორიცხვა ეწინააღმდეგება სკ-ის 348 I ზ) მუხლს და ბათილია, სუსგ № ას-360-360-2018, 2018 წლის 4 ოქტომბერი.

<sup>73</sup> Bieber, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 543 Rn. 74.

<sup>74</sup> Looschelders, Schuldrecht BT, ზემოთ სქ. 37, Rn. 462.

<sup>75</sup> Bieber, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 545 Rn. 1; Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, II/1, ზემოთ სქ. 14, 265 f.

<sup>76</sup> Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, II/1, ზემოთ სქ. 14, 265.

<sup>77</sup> Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, II/1, ზემოთ სქ. 14, 265.

ვალდებულო ნების გამოხატვას, რომელიც განცხადებულად და კონკლუდენტურად უნდა ნათელყოფდეს ხელშეკრულების დასრულების ნებას. მაგალითად, საკმარისია თუ გამქირავებელი აღძრავს სარჩელს დამქირავებლის წინააღმდეგ მისი გამოსახლების მოთხოვნით. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, პრეტენზიის გაცხადების ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც გამქირავებელმა შეიტყო დამქირავებლის მიერ სარგებლობის გაგრძელების შესახებ. გაუფრთხილებლობით ვერშეტყობა, ჩვეულებრივ, საკმარისი არ არის. პრეტენზიის გაცხადება შეიძლება ამ ვადის დაწყებამდეც, მაგალითად, მოშლის განცხადებასთან ერთად.<sup>78</sup> თუ მხარეები შეთანხმდნენ სკ-ის 559-ე მუხლისაგან განსხვავებულ წესზე და შეთანხმება ნამდვილია, ეს მაინც არ გამორიცხავს მხარეთა კონკლუდენტური მოქმედებით ქირავნობის ურთიერთობის გაგრძელების შესაძლებლობას.<sup>79</sup>

### VIII. ქირავნობის ურთიერთობის უკუქცევა

ქირავნობის ურთიერთობის დასრულების ერთ-ერთი შემადგენლობის შესრულება იწვევს იმას, რომ ამ ურთიერთობიდან აღარ წარმოსდგება არც ერთი მხარის რაიმე ტიპის უფლება ან მოთხოვნა. გარდა ამისა, დასრულება წარმოუშობს მხარებს უფლებებსა და მოვალეობებს, რაც ემსახურება ქირავნობის ურთიერთობის უკუქცევას.<sup>80</sup>

#### 1. გამქირავებლის უფლებები

##### ა) ქირავნობის საგნის დაბრუნება აა) ზოგადი

ქირავნობის ურთიერთობის სამართლებრივად დასრულებასთან ერთად, დამქირავებელი, სკ-ის 564-ე მუხლის მიხედვით, ვალდებულია დაუბრუნოს გამქირავებელს ქირავნობის საგანი. ეს ვალდებულება არ არის სინალაგმატურ კავშირში გამქირავებლის ვალდებულებასთან, რომელიც წარმოსდგება სკ-ის 531 1 მუხლი-

<sup>78</sup> BGH, Urt. v. 21.04.2010 - VIII ZR 184/09.

<sup>79</sup> BGH NJ 2013, 486.

<sup>80</sup> BGH MDR 2015, 998.

დან. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, დამქირავებელმა გამქირავებელს უნდა გადასცეს ნივთზე პირდაპირი მფლობელობა, ისევე, როგორც მას გადაეცა ეს პირდაპირი მფლობელობა სკ-ის 531 1 მუხლის მიხედვით.<sup>81</sup> ეს მოთხოვნა ვრცელდება ასევე თანამიქირავებულ ნივთებზე, როგორიც არის, მაგალითად, გასაღები.<sup>82</sup> ნივთის უკან დაბრუნების ადგილი განისაზღვრება სკ-ის 362-ე მუხლით.

დამქირავებელმა ქირავნობის საგანი უნდა დააბრუნოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში. ეს შეიძლება აღმოჩნდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცვეთით გაუარესებული ან შეცვლილი მდგომარეობა (სკ-ის 547-ე მუხლი); თუმცა, სხვა მხრივ, ნივთის დაბრუნებამდე დამქირავებელმა უნდა აღმოფხვრას მისი მდგომარეობის ყოველგვარი ცვლილება<sup>83</sup> თუ გაუარესება.<sup>84</sup> დამატებით დამქირავებელი ვალდებულია ჩაატაროს კოსმეტიკური რემონტი, თუ ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულებით. თუმცა ნივთის ისეთ მდგომარეობაში დაბრუნება, რომელიც არ შეესატყვისება ხელშეკრულებით გათვალისწინებულს, გამქირავებელს არ ანიჭებს უფლებას უარი თქვას მის მიღებაზე ისე, რომ ამით არ გახდეს ვადაგადაცილებული.<sup>85</sup> ვადის გადაცილებისათვის აქ გადამწყვეტია, საერთოდ არის თუ არა სახეზე „ქირავნობის საგნის“ დაბრუნება სკ-ის 564-ე მუხლის გაგებით და შემოთავაზებულია თუ არა ეს დამქირავებლის მხრიდან. მაგალითად, ეს შემთხვევა არ გვაქვს სახეზე, როდესაც დამქირავებელი პირადი ნივთების უმრავლესობას დაქირავებულ ბინაში ტოვებს.<sup>86</sup>

<sup>81</sup> BGH WM 1991, 1884; *Bieber*, in *Münchener Kommentar zum BGB*, 7. Aufl. 2016, § 546 Rn. 4.

<sup>82</sup> *Bieber*, in *Münchener Kommentar zum BGB*, 7. Aufl. 2016, § 546 Rn. 6.

<sup>83</sup> გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამქირავებელს ჰქონდა მინიჭებული საგნის რეკონსტრუქციის უფლება. ნივთის ამგვარი ცვლილება არ მიიჩნევა ზიანის ანაზღაურების წინაპირობად, სუსგ № ას-744-705-2015, 2016 წლის 12 იანვარი. რეკონსტრუქციის უფლების არარსებობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ეფუძნება სკ-ის 548 III მუხლს, სუსგ № ას-444-419-2014 2015 წლის 2 თებერვალი.

<sup>84</sup> BGH, Urt. v. 06.11.2013 - VIII ZR 416/12.

<sup>85</sup> BGHZ 86, 204.

<sup>86</sup> *Rolfs*, in *Staudinger BGB, Neubearbeitung* 2018, § 546 Rn. 29.

თუ გამქირავებელი ამავდროულად გაქირავებული ნივთის მესაკუთრედ გვევლინება, მისი მოთხოვნა, სკ-ის 564-ე მუხლიდან, კონკურირებს უკან დაბრუნების სანივთო მოთხოვნასთან (სკ-ის 172 I მუხლი).<sup>87</sup> იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელი არ ასრულებს უკან დაბრუნების ვალდებულებას, სამართლებრივი შედეგები განისაზღვრება სკ-ის 547 I მუხლის სპეციალური წესით, ისევე, როგორც ზოგადი წესების შესაბამისად სკ-ის 404, 400-ე მუხლების (ვადის გადაცილება) ან სკ-ის 394 I-III მუხლების მიხედვით.<sup>88</sup> თუ უკან დასაბრუნებელი ნივთი, მისი ხელშეკრულების საწინააღმდეგო გამოყენების ან მოვალის ვალდებულების დარღვევის გამო, ვერ ბრუნდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში, დამქირავებელი ანაზღაურებს ზიანს სკ-ის 394 I მუხლის მიხედვით, სკ-ის 316 II მუხლიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის გამო.<sup>89</sup>

### **ბ) მესამე პირისაგან ნივთის დაბრუნების მოთხოვნა (სკ-ის 566-ე მუხლი)**

სკ-ის 566-ე მუხლის შესაბამისად, გამქირავებელს, ქირავნობის ურთიერთობის დასრულების შემდეგ, აქვს ასევე იმ მესამე პირისაგან ნივთის დაბრუნების მოთხოვნა, რომელთანაც ნივთი აღმოჩნდა დამქირავებლების ნებით და რომელსაც გამქირავებლის წინაშე არ აქვს ამ ნივთის ფლობის უფლება (მაგალითად, ქვემოქირავნე).<sup>90</sup> ეს დანაწესი წარმოადგენს ვალის თანაკისრების კანონისმიერ შემთხვევას, როდესაც სკ-ის 564-ე მუხლით დამქირავებლისათვის დაკისრებული ვალდებულება ეკისრება ასევე მესამე პირსაც.<sup>91</sup> ორივე, გარდა შემთხვევისა, როდესაც გამქირავებელი, გამონაკლისის სახით, თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან (მაგალითად, შეუძლებლობა), წარმოადგენს სოლიდარული მოვალეებს ნივთის

დაბრუნების ვალდებულებასთან დაკავშირებით.

სკ-ის 566-ე მუხლიდან წარმომდგარი უკან დაბრუნების ვალდებულებისათვის უმნიშვნელოა, ჰქონდა თუ არა დამქირავებელს ნივთის მესამე პირისათვის გადაცემის უფლებამოსილება.<sup>92</sup> დაბრუნების ვალდებულების შინაარსისათვის გადამწყვეტია დამქირავებელსა და დაქირავებულთა შორის არსებული ძირითადი შეთანხმება და უმნიშვნელოა ის, თუ რა შეათანხმა, თავის მხრივ, დამქირავებელმა მესამე პირთან. ამგვარად, მესამე პირის ფლობის უფლება, რომელიც მას აქვს დამქირავებლის მიმართ, ვერ შეუშლის ხელს გამქირავებლის გამოთხვის მოთხოვნის განხორციელებას.<sup>93</sup>

### **ბ) მოთხოვნები ნივთის დაუბრუნებლობის შემთხვევაში (სკ-ის 567-ე მუხლი)**

თუ დამქირავებელი ქირავნობის ურთიერთობის დასრულების შემდეგ არ აბრუნებს ქირავნობის საგანს, სკ-ის 567 I მუხლი ანიჭებს გამქირავებელს ბრალისაგან დამოუკიდებელ მოთხოვნის უფლებას დამქირავებლის მიმართ. თუმცა ამგვარი არდაბრუნება მხოლოდ მაშინ არის სახეზე, როდესაც დამქირავებელი ქირავნობის საგანს არ გადასცემს გამქირავებელს მისი ნების საწინააღმდეგოდ და ვალდებულების დარღვევით.<sup>94</sup> ამიტომაც, მოთხოვნა სკ-ის 567 I მუხლის შესაბამისად გამორიცხულია, თუ დამქირავებელი თავისუფლდება უკან დაბრუნების ვალდებულებისგან შეუძლებლობის საბაბით, თუმცა ეს შემთხვევა მესამე პირისათვის ნივთის გადაცემის დროს მხოლოდ გამონაკლისის სახით შეიძლება გვქონდეს სახეზე.<sup>95</sup> იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც გამქირავებელი ქირავნობის ურთიერთობას გაგრძელებულად მიიჩნევს, რადგან, მისი აზრით, არანამდვილია დამქირავებლის მიერ (ვადის დაცვით თუ ვადის დაუცველად) გაცხადებული მოშლა; ამ კონსტიტუციის მიხედვით გამქირავებელს

<sup>87</sup> სუსგ № ას-1038-2018, 2018 წლის 31 აგვისტო, სუსგ № ას-869-2019, 2019 წლის 26 ივლისი.

<sup>88</sup> BGH, Urt. v. 12.07.2017 - VIII ZR 214/16.

<sup>89</sup> BGH, Urt. v. 06.11.2013 - VIII ZR 416/12.

<sup>90</sup> Rolfs, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2018, § 546 Rn. 78 ff.

<sup>91</sup> Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, II/1, ზემოთ სქ. 14, 270.

<sup>92</sup> Bieber, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 546 Rn. 22.

<sup>93</sup> Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, II/1, ზემოთ სქ. 14, 270.

<sup>94</sup> BGHZ 90, 145; BGH, Urt. v. 12.07.2017 - VIII ZR 214/16.

<sup>95</sup> BGH NJW 1984, 1527.

არ აქვს ნივთის უკან მიღების ნება, ამიტომაც, სკ-ის 567 I მუხლის მიხედვით, ანაზღაურების მოთხოვნა გამორიცხულია უკან მოპოვების ნების არარსებობის გამო.<sup>96</sup>

ნივთის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, სკ-ის 567 I მუხლის მიხედვით, წარმოიშობა კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა დასრულებული ქირავნობის მხარეებს შორის.<sup>97</sup> დამქირავებელი ვალდებულია გადაიხადოს, სულ მცირე, ის ქირა, რისი გადახდის ვალდებულებაც ეკისრებოდა მას ხელშეკრულების საფუძველზე. თუმცა გამქირავებელს ამის მაგივრად შეუძლია მოითხოვოს გაზრდილი ქირის გადახდა, რომელიც შეესატყვისება დროის ამ მონაკვეთში მოცემულ ტერიტორიაზე მსგავსი ნივთის ქირას.<sup>98</sup> გარდა ამისა, ამ კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარეობს მოვლისა და გულისხმიერების ვალდებულებები, რომლებიც ეკისრება დამქირავებელს. ამის საპირისპიროდ, გამქირავებელს აღარ აწევს ვალდებულებები სკ-ის 531-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით.<sup>99</sup> ეს ძალაშია ასევე ნივთის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში შენარჩუნების ვალდებულების მიმართ (სკ-ის 532-ე მუხლი),<sup>100</sup> ამიტომაც, დროის იმ მონაკვეთისათვის, როდესაც დამქირავებელი არ აპრუნებს ნივთს, გადასახდელი ქირა არ მცირდება სკ-ის 536 I 1 მუხლის მიხედვით, მაშინაც კი, როდესაც მთელი ამ დროის განმავლობაში ქირავნობის საგანი ნაკლოვანია.<sup>101</sup>

გარდა ნივთით სარგებლობისათვის ანაზღაურებისა, გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს დამქირავებლისაგან ზიანის ანაზღაურება (სკ-ის 394-ე და მომდევნო მუხლები) ზოგადი დანაწესების მიხედვით (სკ-ის 567 II მუხლი). ეს წესი მოქმედებს ასევე სკ-ის 163-ე და მომდევნო ან 976-ე და მომდევო მუხლებიდან წარმომდგარი მოთხოვნების მიმართაც,<sup>102</sup> თუმცა უსაფუძვ-

<sup>96</sup> BGH, Urt. v. 12.07.2017 - VIII ZR 214/16.

<sup>97</sup> BGH, Urt. v. 27.05.2015 - XII ZR 66/13.

<sup>98</sup> BGH NJW 1999, 2808.

<sup>99</sup> Rolfs, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2018, § 546a Rn. 6 f.

<sup>100</sup> BGH, Urt. v. 27.05.2015 - XII ZR 66/13.

<sup>101</sup> BGH, Urt. v. 27.05.2015 - XII ZR 66/13.

<sup>102</sup> BGH MDR 2017, 1177.

ლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნისათვის აუცილებელია, რომ დამქირავებელმა რეალურად გამოიყენოს დაქირავებული ნივთი.<sup>103</sup> ამიტომაც, არც მხოლოდ (დამქირავებლის) ერთპიროვნული მფლობელობა და არც მესამე პირის მხრიდან ნივთის გამოყენება არ იწვევს დამქირავებლის კონდიქციურ პასუხისმგებლობას იმ სარგებლის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომელიც ვერ მიიღო გამქირავებელმა.<sup>104</sup>

## 2. დამქირავებლის უფლებები

### ა) ნინასწარ გადახდილი ქირის ანაზღაურება

ქირავნობის ურთიერთობის დასრულების შემდეგ გამქირავებელმა უნდა დაუბრუნოს დამქირავებელს ქირის თანხა, რომელიც ამ უკანასკნელმა გადაიხადა ნინასწარ, დროის იმ მონაკვეთისათვის, რომლის განმავლობაშიც ქირავნობის ურთიერთობა აღარ გაგრძელდა.<sup>105</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით (გსკ-ის 547-ე პარაგრაფი) საქართველო სამოქალაქო კოდექსი ამ ზედმეტად გადახდილი ქირის უკან დაბრუნების რაიმე სპეციალურ მოთხოვნას არ ითვალისწინებს ქირავნობის სამართალში, ამიტომაც ეს მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრების სამართლიდან წარმოსდგეს. თუ ქირავნობის ურთიერთობის დასრულება მოხდა გამქირავებლის ბრალის გარეშე, მაშინ მას შეუძლია მიუთითოს განმდიდრებაზე (სკ-ის 979 III მუხლი). მისი ბრალით ქირავნობის დასრულების შემთხვევაში ის, ჩვეულებრივ, გამკაცრებულად აგებს პასუხს სკ-ის 981-ე მუხლის მიხედვით და ვეღარ მიუთითებს განმდიდრებაზე. გამქირავებლის ბრალი არ არის სახეზე, თუ, მაგალითად, ქირა-

<sup>103</sup> BGH MDR 2017, 1177.

<sup>104</sup> BGH, Urt. v. 12.07.2017 - VIII ZR 214/16.

<sup>105</sup> გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქირავნობა მოიშალა ვადამდე დამქირავებლის ბრალით - ზედმეტად გადახდილი თანხა მიიჩნევა იმ მიუღებელი სარგებლის ანაზღაურებად, რომელიც გამქირავებელს ურთიერთობის ჩვეულებრივ დასრულებამდე უნდა მიეღო, თბილისის საპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება № 2ბ/2867-13.

ვნობის ურთიერთობა მთავრდება ვადის ამონურვის ან პირობის დადგომის საფუძველზე. რაც შეეხება მოშლას, აქ გადამწყვეტია, თუ რომელი მხარის ბრალეული ქმედებით იყო გამოწვეული მოშლის საფუძველი და არა ის, თუ რომელმა მხარემ განაცხადა ეს მოშლა.<sup>106</sup> გარდა აღნიშნულისა, გამქირავებლის მხრიდან, მისი ბრალის გარეშე ქირავნობის ურთიერთობის დასრულების შემთხვევაში, განმდიდრებაზე მითითებას შეიძლება წინ აღუდგეს ორმხრივი გარიგების უკუქცევისათვის გათვალისწინებული სპეციალური წესები.

ზემოთ მოყვანილი წესები უცვლელად ვრცელდება დამქირავებლის მიერ განხორციელებულ სხვა შესრულებებზე, რომელიც ითვლება ქირის ანგარიშში.

### ბ) აღჭურვილობის წაღების უფლება

დამქირავებელს უფლება აქვს წაიღოს ყველა ნივთი, რომლითაც მან აღჭურვა ქირავნობის საგანი (სკ-ის 546 I მუხლი), რაც მოიცავს ყველა მოძრავ ნივთს, რომელიც თავისი დანიშნულებით ემსახურება ქირავნობის საგანს და ამასთან, ამ კავშირის მიუხედავად შეიძლება შეფასდეს, როგორც დამატებითი აღჭურვილობა.<sup>107</sup> ეს ეხება, მაგალითად, პირსაბანს ან გაზქურას და არ ეხება შპალერს ან ფანჯრის მინებს.

წაღების უფლების ფალკე გათვალისწინება აუცილებელია, რადგან გამქირავებელმა შესაძლოა მოიპოვოს საკუთრების უფლება ამ ნივთებზე სკ-ის 193 და მომდევნო მუხლების მიხედვით.<sup>108</sup> თუ დამქირავებელი რჩება ამ ნივთების მესაკუთრე, წამოღების უფლება გამორიცხავს ნივთების გამოთხოვის სხვა მოთხოვნებს, რომლებიც შეიძლება ჰქონოდა დამქირავებელს, მაგალითად, სკ-ის 172 I მუხლიდან წარმომდგარ მოთხოვნას. ამიტომაც, გამქირავებელს ევალება მხოლოდ ამ ნივთის წაღების თმენა.<sup>109</sup>

სანამ დამქირავებელი ჯერ კიდევ ფლობს ქირავნობის საგანს, მას უფლება აქვს გამოაცალკეოს ეს აღჭურვილობა, თუმცა, ამასთან უნდა აღმოფხვრას ამის შედეგები (ქირავნობის საგნის დაზიანება, დეფორმირება და ა. შ.). ამის საპირისპიროდ, თუ ქირავნობის საგანი უკვე გამქირავებლის მფლობელობაშია, მან უნდა მიანიჭოს დამქირავებელს ზემოთ ხსენებული გამოცალკევების უფლება. სკ-ის 573-ე მუხლის ანალოგით, ეს მოთხოვნები ხანდაზმული ხდება ქირავნობის ურთიერთობის დასრულებიდან ექვს თვეში.

### გ) ურთიერთობის დასრულების შემდეგ მეორე მხარის ინტერესების დაცვის ვალდებულება

ქირავნობის ურთიერთობის დასრულების შემდეგაც თითოეულ მხარეს შეიძლება დაეკისროს მეორე მხარის ინტერესებისათვის ანგარიშის განევის ვალდებულება სკ-ის 316 II მუხლის მიხედვით. მაგალითად, გამქირავებელს აქვს უფლება გარკვეული დროის განმავლობაში (რომელიც განისაზღვრება ქირავნობის ურთიერთობის ხანგრძლივობის მიხედვით), კომერციული ფართის ქირავნობის დასრულების შემდეგაც, განათავსოს მასზე აბრა, რომელიც მის ახალ მისამართზე მიანიშნებს.<sup>110</sup> დამქირავებელს ასევე აქვს ვალდებულება ქირავნობის ურთიერთობის დასრულების შემდეგაც შეინახოს წერილები და სხვა საფოსტო გზავნილები, რომლებიც მოვა დამქირავებლის სახელზე მას შემდეგ, რაც ის დატოვებს ბინას.<sup>111</sup>

## IX. დამქირავებლის დაცვა ნივთზე უფლება-მოსილების მქონე მესამე პირთაგან

### 1. ზოგადი

იმ შემთხვევაში, თუ გამქირავებელი არ არის მიქირავებული საგნის მესაკუთრე ან, თუ ეს სა-

<sup>106</sup> Rolfs, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2018, § 547 Rn. 14, 17.

<sup>107</sup> BGH NJW 1987, 2861.

<sup>108</sup> Looschelders, Schuldrecht BT, ზემოთ სქ. 37, Rn. 407.

<sup>109</sup> BGH NJW 1987, 2861.

<sup>110</sup> თუმცა შდრ. 2018 წლის 20 აპრილის განჩინება № ას-1154-1109-2016, აღნერილობითი ნაწილი, 1.1-ე პუნქტი, რომლის მიხედვითაც დამქირავებელმა მოშლის შეტყობინებით მოითხოვა, მათ შორის, შენობის ფასადიდან სარეკლამო აბრის მოხსნა.

<sup>111</sup> LG Darmstadt, Urt. v. 30.12.2013 - 25 T 138/13.

განი დატვირთულია სანივთო უფლებით (მაგალითად უზუფრუქტით სკ-ის 242-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით), ჩვეულებრივ, ის ვერ ახერხებს მიანიჭოს დამქირავებელს ნივთით სარგებლობის შესაძლებლობა. ნივთზე უფლებამოსილების მქონე მესამე პირის მიმართ, დამქირავებელს, ჩვეულებრივ, არანაირი უფლება არ აქვს და ზემოთ ხსენებული რისკი მისი სატარებელია, რადგან ქირავნობა, პირველ რიგში, მას მხოლოდ გამქირავებლის მიმართ ანიჭებს უფლებებს, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში მას მხოლოდ სკ-ის 394-ე და მომდევნო მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები შეიძლება ჰქონდეს გამქირავებლის მიმართ. თუმცა დამქირავებლის დაცვის მიზნით სკ-ის 572-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ, გაქირავებული ნივთის გასხვისების შემთხვევაში, შემძენი ხდება ახალი დამქირავებელი და ანაცვლებს წინა დამქირავებელს, მთელი მისი უფლებებითა და მოვალეობებით. საკამათოა ამ ჩანაცვლების სამართლებრივი ბუნება; არის ეს კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულების გადაკისრება (რა შემთხვევაშიც დამქირავებლის სასარგებლოდ გამოიყენება სკ-ის 207-ე, 201 II და მომდევნო მუხლები) თუ საქმე ეხება ახალი ქირავნობის ურთიერთობის ნარმოშობას მიქირავებული ნივთის შემძენთან, რომლის შინაარსი იდენტურია თავდაპირველი ქირავნობისა.<sup>112</sup> ამ კამათის გადაწყვეტა შეიძლება იმგვარად, რომ, მართალია, საქმე ეხება კანონით გათვალისწინებულ ხელშეკრულების გადაკისრებას, თუმცა მისი მოქმედება ამონიურება უფლებებით და მოვალეობებით ქირავნობიდან და არ ვრცელდება სხვა ურთიერთობებზე დამქირავებელსა და თავდაპირველ გამქირავებელს შორის. ამიტომაც დამქირავებელს შეუძლია წაუყენოს ახალ გამქირავებელს მხოლოდ ის შესაგებლები სკ-ის 207-ე, 201 II მუხლის მიხედვით, რომლებიც გამომდინარეობს ქირავნობიდან, მაგრამ არა მასსა და პირველ გამქირავებელს შორის არსებული სხვა ურთიერთობიდან.

## 2. სკ-ის 572-ე მუხლის წინაპირობები

სკ-ის 572-ე მუხლში მოწესრიგებული ხელშეკრულების გადაკისრების წინაპირობას ნარმოადგენს დამქირავებელსა და თავდაპირველ გამქირავებელს შორის ნამდვილი ქირავნობის ურთიერთობის არსებობა და მიქირავებული ნივთის გადაცემა დამქირავებლისათვის. მხოლოდ ამ შემთხვევაში არსებობს დამქირავებლის გაძლიერებული დაცვის აუცილებლობა და, გარდა ამისა, შემძენს აქვს არსებული ქირავნობის ურთიერთობის შეცნობის შესაძლებლობა. თუ გასხვისება ხდება მიქირავებული საგნის გადაცემამდე, ხელშეკრულების გადაკისრება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემძენმა დამქირავებელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე იკისრა ქირავნობიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულება.

გარდა აღნიშნულისა, აუცილებელია, რომ განმკარგავი გამქირავებელი იყოს, ამავდროულად, ასევე ქირავნობის საგანზე სანივთო უფლების მფლობელი, ანუ, ჩვეულებრივ, მესაკუთრე.<sup>113</sup> ამიტომაც, დამქირავებელი არ არის დაცული, თუ ნივთს „განკარგავს“ არაუფლებამოსილი პირი და შემძენი მხოლოდ საკუთარი კეთილსინდისიერების წყალობით (ანუ კანონის და არა გარიგების საფუძველზე) მოიპოვებს მასზე საკუთრებას (სკ-ის 185, 187-ე მუხლები).<sup>114</sup> ამ შემთხვევაში სახეზე არ არის „გასხვისება“ სკ-ის 572-ე მუხლის გაგებით, რაც გამართლებულია ასევე იმ არგუმენტითაც, რომ დამქირავებელს ამ შემთხვევაში არც თავდაპირველი მესაკუთრის მიმართ არ ექნებოდა შესაბამისი უფლებები. ამის საპირისპიროდ უმნიშვნელოა, თუ რა კაუზალური გარიგება უდევს გასხვისებას საფუძვლად.

<sup>112</sup> BGH, Urt. v. 28.11.2001 - XII ZR 197/99.

<sup>113</sup> BGH NJW 2003, 2158; BGH, Urt. v. 22.10.2003 - XII ZR 119/02; Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, II/1, ზემოთ სქ. 14, 243.

<sup>114</sup> M. Wolf /L. Raiser, Sachenrecht, 10. Bearbeitung, Tübingen 1957, 247.

### 3. ხელშეკრულების გადაკისრების სამართლებრივი შედეგები

#### ა) ქირავნობიდან წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებების გადასვლა

ქირავნობის საგნის შემძენი ანაცვლებს წინა მესაკუთრეს და მასზე გადადის ყველა უფლება და მოვალეობა ქირავნობის საგანზე სანივთო უფლების გადასვლასთან ერთად. სკ-ის 572-ე მუხლი საუბრობს „ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებებისა და მოვალეობების“ შესახებ, მაგრამ ნორმის მიზნიდან გამომდინარე ის უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ შემძენი წარმოდგენს მხოლოდ იმ მოთხოვნების ადრესატს, რომლებიც ვადამოსული ხდება საკუთრების გადასვლის შემდეგ. საკუთრების გადასვლამდე ვადამოსული მოთხოვნები მიმართულია თავდაპირველი გამქირავებლის წინააღმდეგ. თუმცა შემძენის მიმართ წარმოიშობა ზიანის ანაზღაურების ის მოთხოვნები, რომელთა საფუძველსაც წარმოადგენს, მაგალითად, საკუთრების გადაცემამდე არსებული ნივთის ნაკლი, რომელმაც ზიანი საკუთრების გადაცემის შემდეგ გამოიწვია.<sup>115</sup> გარდა ამისა, გამქირავებლის ვალდებულება ნივთის გადაცემასთან დაკავშირებით სკ-ის 531 I მუხლიდან, ქირავნობის ურთიერთობის განგრძობადი ხასიათის გამო, ყოველ ჯერზე თავიდან წარმოიშობა, რის გამოც ის მომავალში უკვე შემძენს ეხება. ქირავნობის შეცილების გაცხადება, მისი ex tunc-მოქმედების გამო (სკ-ის 59 II მუხლი) უნდა მოხდეს თავდაპირველი გამქირავებლის მიმართ, რის შემდეგაც უკუქცევითი ძალით ქარწყლდება ასევე ხელშეკრულების გადაკისრებაც, მაშინ, როდესაც მოშლა გასხვისების შემდეგ უკვე შემძენის მიმართ უნდა გაცხადდეს.<sup>116</sup> თუ მოშლის გაცხადება გასხვისებამდე მოხდა, ხელშეკრულების გადაკისრება ხდე-

ბა უკუქცევის ნაწილში სკ-ის 564-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით.<sup>117</sup>

#### X. ქირავნობის მოქმედება მესამე პირთა მიმართ

ქირავნობის მიმდინარეობისას დასაშვებია შეთანხმებით (ხელშეკრულებით) დამქირავებლის ცვლილება, მაგალითად, დამქირავებელს, მომდევნო დამქირავებელსა და გამქირავებელს შორის სამმხრივი ხელშეკრულების დადებით ან დამქირავებელსა და მომდევნო დამქირავებელს შორის შეთანხმებით, რომელზეც თანხმობას აცხადებს გამქირავებელი.<sup>118</sup> მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ასევე გამქირავებლის პიროვნების ჩანაცვლება ხელშეკრულების გადაკისრების ფორმით. სპეციალური წესი მოქმედებს გაქირავებული საგნის გასხვისებისას (სკ-ის 572-ე მუხლი). თუ ეს ხდება საგნის დამქირავებლისათვის გადაცემის შემდეგ, ამ დროს თავად კანონი ადგენს ხელშეკრულების გადასვლას ქირავნობის საგნის ახალ მესაკუთრეზე. გარდა აღნიშნულისა, ქირავნობის ხელშეკრულებას, ზოგადი პრინციპების თანახმად, შეიძლება ჰქონდეს 316 II მუხლის გაგებით დამცავი ეფექტი მესამე პირთა მიმართ.<sup>119</sup> მათ, მართალია, არ გააჩნიათ გამქირავებლისგან შესრულების მოთხოვნა სკ-ის 531 I მუხლის მიხედვით, თუმცა სახელშეკრულებო ვალდებულებები, რომლებიც მიმართულია დამქირავებლის სამართლებრივი სიკეთეების დაცვისაკენ, როგორიცაა მისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ვრცელდება ასევე იმ პირზე, რომლის შემთხვევაშიც გამქირავებელს უნდა ევარაუდა, რომ ის იმგვარ ინტენსიურ შეხებაში მოვიდოდა დაქირავებულ საგანთან, როგორც თავად დამქირავებელი.<sup>120</sup> ამ ფორმით დაცულ პირთა წრეს განეკუთვნება, პირველ რიგში, საწარმოს თანამშრომლები, რომლებსაც ამ საწარმოს მიერ დაქი-

<sup>115</sup> Häublein, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 566 Rn. 12.

<sup>116</sup> BGHZ 137, 255; Lorenz, Lehrbuch des Schuldrechts, II/1, ზემოთ სქ. 14, 216.

<sup>117</sup> BGH NJW 1973, 2059; BGH NJW 1978, 1426

გ. რუსიაშვილი, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2020, 229-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>118</sup> Esser/Weyers, Schuldrecht BT II/1, ზემოთ სქ. 1, 141.

<sup>115</sup> BGHZ 49, 350; Emmerich, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2018, § 566 Rn. 54.

<sup>116</sup> Emmerich, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2018, § 566 Rn. 42 ff.

რავებულ სივრცეში უწევთ საქმიანობა, <sup>121</sup> ასე-  
ვე დამქირავებლის მეუღლე ან ნათესავები თუ

სხვა ახლობლები ბინის ქირავნობის შემთხვევა-  
ში, თუ ისინი თავად არ ხდებიან ხელშეკრულე-  
ბის მხარეები. <sup>122</sup>

---

<sup>121</sup> BGH, Urt. v. 21.07.2010 - XII ZR 189/08.

---

<sup>122</sup> Emmerich, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2018, § 536a Rn. 18; რუსიაშვილი, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, იხ. ზემოთ სქ. 2, 230-ე და მომდევნო მუხლები.

# ინტერნეტში გამოსაყენებელი საერთაშორისო პერძო სამართლის ნორმები და სამომხმარებლო შეთანხმებებში არსებული დათვები

ზორად გაბისონია

## I. ინტერნეტ სამართალი და საერთაშორისო კერძო სამართალი

ყველაფრის „უბერიზაცია“ უკვე მიმდინარეობს, მაგრამ ყველა Uber ვერ მიაღწევს წარმატებას.<sup>1</sup> როგორც არაერთხელ აღინიშნა, ინტერნეტი და ზოგადად კიბერსივრცე თანამედროვე სამყაროს ეკონომიკურ და სოციალურ მოწყობას ცვლის. როგორ უნდა დავარეგულიროთ ურთიერთობები ამ ახალ გარემოში, ძველი მექანიზმების გამოყენებით თუ ახალი გამოვიგონოთ? ეს ის კითხვებია, რომელიც ინტერნეტის სამართლებრივი რეგულირებისას ყოველთვის აქტუალურია.

სამართლებრივად ინტერნეტ ურთიერთობები მეტწილად დაკავშირებულია კერძო სამართალთან. იმის გათვალისწინებით კი, რომ ინტერნეტ სივრცე მთელ მსოფლიოს მოიცავს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტერნეტ სამართლის საერთაშორისო კერძო სამართლის ჭრილში განხილვა. საერთაშორისო კერძო სამართალი არის სამართლის დარგი, რომელიც სწავლობს, თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული უცხო ელემენტით დატვირთულ კერძოსამართლებრივი ურთიერთობების დროს.<sup>2</sup> იმისათვის, რომ არსებობდეს საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ურთიერთობა, საჭიროა იგი შეიცავდეს „უცხო ელემენტს“. ამგვარი ურთიერთობა შეიძლება სახეზე იყოს შემდეგ შემთხვევებში:

ა) სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი არის უცხო ელემენტის მატარებელი. მაგალითად, საფრანგეთის მოქალაქე ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებას აფორმებს საქართველოს მოქალაქესთან. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეები მყიდველი და გამყიდველი არიან უცხო ელემენტის მატარებელი სუბიექტები.

ბ) სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი არის უცხო ელემენტის მატარებელი. მაგალითად, საქართველოს მოქალაქე საქართველოს მოქალაქესთან აფორმებს ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებას, მაგრამ სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, ბინა, განთავსებულია საფრანგეთის ტერიტორიაზე, ანუ ობიექტია უცხო ელემენტის მატარებელი.

გ) იურიდიული ფაქტები, რომელთა დადასტურებაც უნდა მოხდეს, არის უცხო ელემენტის მატარებელი. მაგალითად, პირის უგზო-უკვლიდ დაკარგულად აღიარება ან მისი გარდაცვლილად გამოცხადება დაკავშირებულია უცხო ქვეყნის ტერიტორიასთან.

ინტერნეტ სამართლებრივი ურთიერთობები, თავისი არსიდან გამომდინარე ხშირად შეიცავს „უცხო ელემენტს“, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის, ისე სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის სახით. ეს კი სამართლის ამ ორ დარგს უფრო აახლოებს.

საერთაშორისო კერძო სამართალში, სამართლის სხვა დარგებისგან განსხვავებით, გამოიყენება კოლიზიური ნორმები.<sup>3</sup> ამგვარ ნორმებს სხვაგვარად მითითებით ნორმებსაც უწოდებენ

<sup>1</sup> S. Freeman, ‘Uberization’ of Everything Is Happening, but Not Every ‘Uber’ Will Succeed; ხელმისაწვდომია - [http://www.huffingtonpost.ca/2015/04/01/uberization-uber-of-everything\\_n\\_6971752.html](http://www.huffingtonpost.ca/2015/04/01/uberization-uber-of-everything_n_6971752.html) (ბოლო ნახვის თარიღი 20.05.2020).

<sup>2</sup> ზ. გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მე-2 გამოც., თბილისი 2016, 30-31.

<sup>3</sup> გაბისონია (სქ. 2), 73.

და ისინი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა მოცემულია უცხო ელემენტით დატვირთული სამართლებრივი ურთიერთობა. კოლიზიური ნორმები უშუალოდ არ წყვეტენ სამართლებრივ ურთიერთობას, არამედ მიუთითებენ რომელიმე ქვეყნის სამართლებრივ სისტემაზე. აღნიშნული კი არც თუ ისე უპრობლემოა, რადგანაც მითითების შედეგად ხშირად სახეზეა სხვადასხვა ქვეყნის სამართლის გამოყენების აღტერნატი-

ვები და, შესაბამისად, ამგვარი ურთიერთობები ბუნდოვანი ხდება<sup>4</sup>.

უცხოური ელემენტის არსებობისას თითქმის ყველა დარგი ანყდება პრობლემას, თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული. აღნიშნული პრობლემატიკა შორეულ წარსულშიც აქტუალური იყო, თუმცა ინტერნეტის გამოგონებასთან და მის განვითარებასთან ერთად უფრო გახშირდა ასეთი შემთხვევები.

XIII საუკუნე	XXI საუკუნე
<p>მოდენაში პროცესი იმართება ბოლონიის მოქალაქეების წინააღმდეგ<sup>5</sup>; შესაძლებელია თუ არა მისი მიმართ მოდენის კანონმდებლობის გამოყენება? იუსტინიანეს კოდიფიკიის (<i>Corpus Iuris Civilis</i>) გლოსა<sup>6</sup> «<i>Cunctos populos</i>», (რომელიც მიიჩნევა პირველ კოლიზიურ ნორმად და საერთაშორისო კერძო სამართლის წარმოშობის ისტორიულ წინაპირობად) ამბობს:</p> <p>„იმპერატორების თქმით, კანონი სავალდებულოა იმ ხალხებისთვის, რომლებსაც ისინი მართავენ; შესაბამისად, მათვის, ვინც მათ დაქვემდებარებაში არ შედის, კანონი სავალდებულო არ არის<sup>7</sup>. ამგვარად, ბოლონიის მოქალაქე ვერ დაექვემდებარება მოდენის კანონმდებლობას<sup>8</sup>“.</p>	<p>საქართველოს მოქალაქემ თავის პერსონალურ ვებგვერდზე, რომელიც მოცემულია ქართულ სერვერზე, განათავსა კონტენტი. იგი ჩადის ამერიკის შეერთებულ შტატებში თავის მეგობართან ზაფხულის არდადეგებზე. ადგილობრივი სამართალდამცავები საქართველოს მოქალაქეები პირად ვებგვერდზე განთავსებულ კონტენტს, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია აშშ-ს მოქალაქეთათვის, აკვალიფიცირებენ როგორც უცენზუროს (მაგ., პორნოგრაფიულს) <i>Miller v. California</i> საქმიდან გამომდინარე და გასცემენ მისი დაპატიმრების ორდერს <i>Maritz v. Cybergold</i>-ის ნორმების<sup>9</sup> შესაბამისად. გააჩნია აშშ-ის სასამართლოს საქართველოს მოქალაქეების გასამართლების იურისდიქცია? რომელი სამართალი უნდა გამოიყენონ ამგვარი ურთიერთობის დროს?</p>

როგორც ხატოვნად მიუთითებენ, „როგორც სავაჭრო ნაოსნობის განვითარება გადაიქცა ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში ახალ სოციალურ პრაქტიკად შუასაუკუნოვან ევროპაში, ასევე კიბერსივრცემ დაიპყრო ფრაგმენტირებული სამართლებრივი ველი მეოთხე

სამრეწველო რევოლუციის ეპოქაში“<sup>10</sup>. არსებობს მოსაზრება, რომ შუასაუკუნოვანი საერთაშორისო კერძო სამართალი ჩაისახა მაშინ, როცა სახეზე იყო კოლიზიური საკითხების წარმოშობის შემდეგი ძირითადი საფუძვლები: 1) კერძო ურთიერთობები მოიცავდა საკმაოდ ინ-

<sup>4</sup> იხ. კოლიზიური ნორმის უკუ და შემდგომი მითითებების შესახებ გაბისონია (სქ. 2), 101-110.

<sup>5</sup> მე-13 საუკუნეში იტალია არ წარმოადგენდა ერთიან ქვეყანას. ცალკეულ ტერიტორიებს, რეგიონებსა და ქალაქებს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი სტატუსი ჰქონდათ. შესაბამისად, სამართალიც განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

<sup>6</sup> გლოსა გულისხმობდა მოკლე კომენტარის გაცეთებას ლათინურ ენაზე დაწერილ იუსტინიანეს *Corpus Iuris Civilis*-ის რომელიმე მუხლზე. აქედან წარმოდგა სამართლის ისტორიაში ცნობილი „გლოსატორთა სკოლა“.

<sup>7</sup> საერთაშორისო კერძო სამართალში ამ პრინციპის „ტერიტორიალური მისი პრინციპი“ ენოდება და დღესაც

გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნების კოლიზიურ სამართალსა და კანონმდებლობაში.

<sup>8</sup> მსოფლიოს სამართლის ისტორიაში პირველი კოლიზიური ნორმის შესახებ იხ. *И. В. Гетьман-Павлова, Истоки науки международного частного права: школа глоссаторов, Журнал международного публичного и частного права, 2010, № 2, 17-23.*

<sup>9</sup> *D. C. Mentre, Jurisdiction in Cyberspace: A Theory of International Spaces, Michigan Telecommunications and Technology Law Review, Vol. 4, 1998, 102.*

<sup>10</sup> *M.B. Мажорина, Цифровые платформы и международное частное право, или есть ли будущее у киберправа?, N2 (147), 2019, 117-118.*

ტენიური სამოქალაქო ბრუნვის მქონე სხვადა-სხვა ტერიტორიას 2) არსებობდა სამოქალაქო მართლწესრიგის ტერიტორიულად გამოყოფილი საზღვრები<sup>11</sup>. როგორც ბრუნი კოლიზიური სამართლის წარმოშობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, შუასაუკუნეების იტალიელმა და ფრანგმა სპეციალისტებმა პრაქტიკული საჭიროების კვალდაკვალ ძველი მასალებიდან შექმნეს ახალი სამართალი<sup>12</sup>. თუ ამ მსჯელობას გავყვებით, ლოგიკურია კითხვა, ხომ არ შეიძლება შუა საუკუნეებში წარმოშობილმა კოლიზიურმა სამართალმა ინტერნეტ სამართლის რეგულირებაშიც შეიტანოს გარკვეული წვლილი.

კერძოდ, საკითხი დგას შემდეგნაირად - როგორ გადავწყვიტოთ ინტერნეტ სივრცის იურისდიქციის პრობლემა და რომელმა სამართალმა უნდა დაარეგულიროს ამ სივრცეში წარმოშობილი ურთიერთობები? შუასაუკუნეების იურისტები, როგორც ცნობილია, სხვადასხვა მართლწესრიგის თანაარსებობის საკითხის გადასაწყვეტად პასუხებს რომაულ სამართალში ეძებდნენ. ისინი რომაულ ტექსტებს იყენებდნენ როგორც „დრეკად ტანსაცმელს, რომელიც იწელებოდა, რათა მორგებოდა ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში სამართალურთიერთობების გაუთვალისწინებლად გაზრდილ სხეულს“<sup>13</sup>. შედეგად, მართალია, ავტონომიური სამართალურთიერთობების „ახალი ტანსაცმელი“ არ შექმნილა, მაგრამ ჩამოყალიბდა კოლიზიური ნორმების სისტემა, რომელიც წყვეტდა საერთაშორისო ელემენტით გართულებულ შემთხვევებში ამა თუ იმ სამართლის გამოყენების საკითხს.

მნიშვნელოვანია, შეფასდეს, თუ როგორია ამ საკითხისადმი თანამედროვე ხედვა. მიგვიყვანს კი ის ავტონომიური ინტერნეტ სამართლის ჩამოყალიბებამდე? ამ კითხვაზე ერთგვაროვანი პასუხი არ არსებობს. ზოგიერთი სკეპტიკოსი მიუთითებს, რომ ორთქლის ძრავამ, ტელეფონმა, ატომურმა ენერგიამ თუ კოსმოსის ათვისებამ, რამაც სოციალური რეალობა საგრძნობ-

ლად შეცვალა, არ გამოიწვია სამართლის დამოუკიდებელი დარგების ჩამოყალიბების საჭიროება. ტექნოლოგია არ ქმნის ახალ სამართალს, სამართალი ერგება ახალ ტექნოლოგიებს. ამასთან, საერთაშორისო კერძო სამართალი ყველაზე მეტად არის მზად ადაპტაციისთვის, რადგან ის ისედაც კოლიზიური სამართალია, რომლის მიზანიცაა, დაარეგულიროს იურისდიქციების კონფლიქტები. ამ დარგს გააჩნია მოქნილი ინსტრუმენტების საკმაოდ დიდი არსენალი, რაც შესაძლებელს გახდის კიბერსივრცითი იურისდიქციის კონფლიქტების გადაჭრასაც და ეს ყველაფერი გამყარდება პრაქტიკაშიც, მუდმივად მზარდი სასამართლო და საარბიტრაჟო დავების გადაწყვეტის სახით<sup>14</sup>.

ერთ-ერთ ასეთ ინსტრუმენტად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ნორმა, რომელიც მითითებას სამართლებრივ ურთიერთობასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულ სამართალზე აკეთებს. ასეთ ნორმებს კი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობა შეიცავს. მაგალითად, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი, ხელშეკრულება დაექვემდებარება მასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალს. ივარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც მხარეს, რომელსაც დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულება უნდა შეესრულებინა, ხელშეკრულების დადებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ადმინისტრაციის რეზიდენცია.

სამართლებრივ ურთიერთობასთან მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის ეს უნივერსალური მექანიზმი შეიძლება ინტერნეტ-სამართლებრივ ურთიერთობებშიც გამოვიყენოთ. საერთაშორისო კერძო სამართლის ეს ნორმა ინტერნეტ სამართალში ასე შეიძლება

<sup>11</sup> А. Н. Макаров, Основные начала международного частного права, М. 1924, 1.

<sup>12</sup> М. И. Брун, Очерки истории конфликтного права, М. 1915, 5.

<sup>13</sup> Брун (სქ. 12), 10.

<sup>14</sup> Мажорина (სქ. 10), Цифровые платформы и международное частное право, или есть ли будущее у киберправа?, N2 (147), 2019, 118.

ტრანსფორმირდეს: თუ ურთიერთობები სცილდება ერთი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებს, მაგრამ საერთაშორისო შეთანხმებით არ არის გათვალისწინებული მატერიალური ნორმების გამოყენება, რომლებიც შესაბამის ურთიერთობას არსობრივად მოაწესრიგებს, ასევე თუ არსებული კოლიზიური ნორმების საფუძველზე შეუძლებელია განისაზღვროს გამოსაყენებელი სამართალი, მაშინ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელთანაც უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული არსებული ინტერნეტ ურთიერთობები.

სწორედ ამ ხედვას შეიძლება დაეფუძნოს ახალი კრიტერიუმების შემუშავების პროცესი, რის შედეგადაც შეიქმნება „ახალი სამართალი ძველი მასალების გამოყენებით“<sup>15</sup>.

## II. მხარეთა ნების ავტონომია (*Lex Voluntatis*)

საერთაშორისო კერძო სამართლის დოქტრინაში აღიარებული შეხედულების თანახმად, რომელიმე ქვეყნის სამართლებრივ სისტემაზე მითითება იწვევს ამ ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართალზე მითითებასაც. თავის მხრივ, ამ ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული კერძოსამართლებრივი ნორმა შესაძლოა უკანა აბრუნებდეს მიმთითებული ქვეყნის სამართალზე ან მიუთითებდეს მესამე ქვეყანის კანონმდებლობაზე. ამ დროს თავს იჩენს კოლიზიური ნორმის უკუ- და შემდგომი მითითებების პრობლემა.

სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით საერთაშორისო კერძო სამართალში შემუშავდა „მხარეთა ნების ავტონომიის“ (*Lex Voluntatis*) ინსტიტუტი.

მხარეთა ნების ავტონომია, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, წარმოადგენს სამართლებრივ ურთიერთობათა სისტემას, რომელიც არეგულირებს ურთიერთობის მონაწილე მხარეთა (ფიზიკური თუ იურიდიული პირების) მიერ

რომელიმე კონკრეტული ქვეყნის სამართლის არჩევას. აღნიშნული სამართლისადმი დაქვემდებარება გულისხმობს იმას, რომ შესაბამისი სამართლებრივი სისტემა მხარეთა მიერ არჩეულ სამართალს სავალდებულო იურიდიულ ძალას ანიჭებს.

უნდა აღინიშნოს, რომ „მხარეთა ნების ავტონომიის“ ცნების მიმართ არ არსებობს ერთიანი მიდგომა.<sup>16</sup> ასე, მაგალითად, შუა საუკუნეების გერმანიაში ტერმინი „ავტონომია“ გულისხმობდა არისტოკრატიული ოჯახებისა და სათავადოების მიერ დამოუკიდებელი კანონების შექმნის შესაძლებლობას; მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში აღნიშნული ტერმინის შინაარსი შეიცვალა და იგი გულისხმობდა გარიგების (განსაკუთრებით ხელშეკრულების) მხარეთა თავისუფლებას - მათივე არჩევანის შესაბამისად, პირდაპირი ან არაპირდაპირი საშუალებებით შეეცვალათ კანონთა ნორმების ცალკეული მოთხოვნები<sup>17</sup>.

თანამედროვე გერმანულ სამართალში ავტონომიის ცნების ორ სახეს იცნობენ: კერძო ავტონომიას, როგორც ეს მე-19 საუკუნის სამართალში იყო აღიარებული, და მხარეთა ავტონომიას, რომელიც წმინდა კოლიზიური სამართლის პირმშობა და მხარეთა მიერ რომელიმე ქვეყნის სამართლის არჩევას გულისხმობს<sup>18</sup>.

განსხვავებული მიდგომაა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინგლისურ სამართალში. მართალია, კოლიზიურ-სამართლებრივი გაგებით მხარეთა მიერ რომელიმე ქვეყნის სამართლის არჩევას აქაც „მხარეთა ავტონომია“ („party autonomy“) ეწოდება. მაგრამ რაც შეხება უშუალოდ ტერმინს „სამართლის არჩევა“ („choice of law“), იგი გაცილებით უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს როგორც ხელშეკრულების დადებისას მხარეთა მიერ რომელიმე სახელმწიფოს სამართლის არჩევას, ისე მოსამართლეთა მიერ კონკრეტული დავის გადაწყვეტისას მოცემული ქვეყნის იურისდიქციის განსაზღვრას<sup>19</sup>.

<sup>15</sup> ერუ (სქ. 12) 5.

<sup>16</sup> J. Kropholler, Internationales Privatrecht, einschliesslich der Grundbegriffe des Internationalen Zivilverfahrensrechts, 4. Aufl., Tübingen, 2001, 285.

<sup>17</sup> G. Wächter, Archiv für die civilistische Praxis, № 25, 1842, 35.

<sup>18</sup> Kropholler (სქ. 16), 286.

<sup>19</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. ზ. გაბისონია, საინვესტიციო დავის მონაწილე იურიდიულ პირთა იურისდიქცია, თბილისი, 2002, 61-112.

როგორც საერთაშორისო კერძო სამართლის ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, „მხარეთა ნების ავტონომია“ მიეკუთვნება იმ სამართლებრივ ინსტიტუტთა რიცხვს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული თვით სამართლის არსათან<sup>20</sup>. ამიტომაც გასაგებია, რომ დასავლეთის იურიდიულ ლიტერატურაში ძირითადი (გავრცელებული) კონცეფციები, „მხარეთა ნების ავტონომიურობას“ მიიჩნევენ ზოგად თეორიულ პრობლემად. ამასთან, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის იკვეთება განსხვავებული შეხედულებაც. ასე, მაგალითად, ზოგიერთი მიიჩნევს, რომ „მხარეთა ნების ავტონომიის“ ცნებაში ვლინდება თვით სამართლის არსი, მეორე ნაწილი კი, პირიქით, თვლის, რომ იგი ენინაალმდეგება სამართლის არსს. მესამე ნაწილი კი ფიქრობს, რომ ეს ინსტიტუტი უცხოა სამართლისათვის და მისი დაშვება შესაძლებელია მხოლოდ თეორიული „ურთიერთდათმობის“ გზით. ეს დისკუსია, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, გრძელდება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის ეროვნულ დოქტრინათა აბსოლუტური უმრავლესობა დასაშვებად მიიჩნევს აღნიშნული პრინციპის გამოყენებას.

დასავლეთევროპული სამართლებრივი დოქტრინა მხარეთა ნების ავტონომიას ტრადიციულად განიხილავს საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტად. ეს იმას ნიშნავს, რომ ნების ავტონომია წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობის პრინციპს, რომელიც ზოგიერთი სხვა ნორმებისა და ინსტიტუტების გამოყენებით განსაზღვრავს ეროვნული სამართლის ჩარჩოებს. კერძოდ, საუბარია საერთაშორისო კერძო სამართლის კოლიზიური ნორმების გამოყენებაზე, რომლებიც კონკრეტული ქვეყნის სამართლის ნორმებზე მითითებით მოწოდებულია, გადაწყვიტოს მოცემული სამართლებრივი ურთიერთობები. გარდა ამისა, საერთაშორისო კერძო სამართლი ცალმხრივად განსაზღვრავს ეროვნული სამართლებრივი ნორმების გამოყენების

საზღვრებს. ეს მეთოდი პრაქტიკაში განსაკუთრებით გამოიყენება, მაგალითად, უცხოური ინვესტიციების, აგრეთვე სავალუტო ოპერაციების სამართლებრივი რეგულირებისას.

საერთაშორისო კერძო სამართლის ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კოლიზიურ ნორმებს, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს იმ კოლიზიური მიბმების (*Kollisionsanknüpfung*)<sup>21</sup> დადგენა, რომლებიც განსაზღვრავს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში გამოსაყენებელი ქვეყნის სამართალს. აღნიშნული კოლიზიური მიბმები შეიძლება იყოს მხარეთა მოქალაქეობა, ხელშეკრულების დადების ადგილი, ნივთის ადგილდებარეობა და ა. შ. მნიშვნელოვანი აქ ის მომენტია, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება კოლიზიური ნორმების მიბმა, როდესაც მხარეებს არ აურჩევიათ გამოსაყენებელი სამართალი.

მხარეთა ნების ავტონომია, უკვე საუკუნეზე მეტია, რაც გამოიყენება საერთაშორისო კერძო სამართლის დოქტრინასა და პრაქტიკაში. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებთ იურიდიულ ლიტერატურაში მოცემულია რამდენიმე განსხვავებული მიღვომა. ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, მხარეთა ნების ავტონომია განიხილებოდა, როგორც საერთაშორისო საჯარო სამართლის მიერ აღიარებული ინსტიტუტი, რომელსაც სახელმწიფოები იყენებდნენ თავიანთ პრაქტიკაში. აღნიშნული თეორია არ უნდა იყოს მართებული, ვინაიდან საერთაშორისო კერძო სამართლი არ ეგულირებს სახელმწიფოთა შორის სუვერენული ხელისუფლების განხორციელების ფარგლებში წარმოშობილ ურთიერთობებს. მაშინ, როდესაც მხარეთა ნების ავტონომია წარმოადგენს წმინდა საერთაშორისო კერძო სამართლებრივ მოვლენას, ვინაიდან ამ დროს ხდება ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის წარმოშობილი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას კონკრეტული ქვეყნის სამართლის არჩევა. შესაბამისად, იგი ვერ ჩაითვლება

<sup>20</sup> Н. Р. Баратянц, Международное частное право. Современные проблемы, М. 1994, 164.

<sup>21</sup> K. Siehr, Internationales Privatrecht. Deutsches und europäisches Kollisionsrecht für Studium und Praxis, 2001, 405-409.

საჯარო სამართლით რეგულირებულ ინსტიტუტად. ამიტომაც, აღნიშნულ თეორიას დიდი პრაქტიკული გამოყენება არ ჰქონია.

პრაქტიკაში უფრო ფართოდაა დამკვიდრებული ის თეორიები, რომელიც მხარეთა ავტონომიას შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს. აღნიშნული თეორიებიდან უნდა გამოვყოთ სამი ყველაზე გავრცელებული თეორია.

პირველი თეორიის მიძღვნები მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპს ერთ-ერთ კოლიზიურ მიბმად, ანუ მიმაგრების ფორმულად მიიჩნევს, რომლის გამოყენებითაც ხდება კონკრეტული კერძოსამართლებრივი ურთიერთობის გადაწყვეტა. ამ შემთხვევაში ნების ავტონომია იმავე როლს ასრულებს კოლიზიური სამართლისთვის, როგორც, მაგალითად, ისეთი მიმაგრების ფორმულები, როგორებიცაა გარიგების დადების ადგილის კანონი (*Lex loci contractus*), ნივთის ადგილმდებარეობის კანონი (*Lex rei sitae*), ქმედების შესრულების ადგილის კანონი (*Lex loci actus*), სასამართლოს ქვეყნის კანონი (*Lex fori*)<sup>22</sup> და ა. შ. აღნიშნული თეორიის ფუძემდებლად მიიჩნევა ცნობილი გერმანელი ცივილისტი ფრიდრიხ კარლ ფონ სავინი<sup>23</sup>.

მეცნიერთა მეორე ნაწილი მხარეთა ნების ავტონომიის ცნებას უკავშირებს მოცემული ქვეყნის ნაციონალურ სამოქალაქო სამართალს. ამიტომაც, ისინი აღნიშნულ პრინციპს მიაკუთვნებენ დისპოზიციური და არა იმპერატიული ნორმებით რეგულირებულ სფეროს<sup>24</sup>.

მესამე თეორიის მიხედვით, მხარეთა ნების ავტონომია მიიჩნევა არა კოლიზიურ ნორმად, არამედ „უცხოურ ელემენტთან“ დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირების საშუალებად. აღნიშნული მოსაზრების ამოსავალ დებულებად საერთაშორისო კერძო სამართლის მეცნიერები მიიჩნევენ იმას, რომ ნების ავტონომიის პრინციპს სავალდებულო წესით არ მიჰყავს სამართლებრივი ურთიერთობა

კონკრეტული ქვეყნის სამართლის გამოყენების მითითებამდე, როგორც ეს კოლიზიურ სამართალშია. ამ თეორიის მომხრე იურისტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ აღნიშნულ ინსტიტუტს არ გააჩნია სამართლებრივი უფლები, მაგრამ აქვს იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა, რომელსაც შედეგად მნიშვნელოვანი შედეგი - „ხელშეკრულების ლოკალიზაცია“ - მოჰყვება. მეცნიერთა მეორე ნაწილი ამტკიცებს, რომ მხარეთა მიერ სამართლის არჩევა წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს იმდენად, რამდენადაც ის პირდაპირ არაა დამოკიდებული მხარეთა მიერ არჩეული ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის მარეგულირებელ კანონმდებლობაში ნების ავტონომიის გამოყენებისადმი არსებულ მიდგომაზე. ეს უკანასკნელი თეორია მე-19 საუკუნის გაბატონებულ დოქტრინად ითვლებოდა მთელ ევროპაში<sup>25</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ „მხარეთა ნების ავტონომიის“ პრინციპს განამტკიცებს ქართული სამართალიც. კერძოდ, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, კერძოდ, ხელშეკრულებათა განმარტება, შესრულება, შენყვეტა, აგრეთვე ბათილობის შედეგები, ვალდებულებათა დარღვევა, ნინასახელშეკრულებო და ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებების დარღვევის ჩათვლით, წესრიგდება მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართლით. ამასთან, იმავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, მხარეთა შეთანხმებით, არჩეული ქვეყნის სამართალი ხელშეკრულების დადების შემდეგაც შეიძლება შეიცვალოს სხვა ქვეყნის სამართლით. როგორც ზოგიერთი ქართველი მეცნიერი მიიჩნევს, აღნიშნული მუხლი ეფუძნება საყველთაოდ აღიარებულ და ზოგადსამართლებრივ პრინციპს მხარეთა ნების ავტონომიის შესახებ და ემყარება საქართველოს სამოქალაქო

<sup>22</sup> T. Rauschler, Internationales Privatrecht, Heidelberg 1999, 82-86.

<sup>23</sup> F.C. von Savigny, System des heutigen römischen Rechts, Berlin 1849.

<sup>24</sup> J. P. Nibouet, La theorie de l'autonomie de la volonté, Paris 1927, 12; Д. К. Мост, Автономия воли в практике международного коммерческого арбитража, М. 1996, 8.

<sup>25</sup> R. Umbrecht, Die immanenten Schranken der Rechtswahl im internationalen Schuldvertragsrecht, Zürich 1963, 37.

კოდექსის მე-10 მუხლის მეორე ნაწილს, რომლის მიხედვითაც, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება.

ანალიგიურ პრინციპს ითვალისწინებდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 27-ე მუხლიც, რომლის პირველი აბზაციის თანახმად, ხელშეკრულება ექვემდებარება მხარეთა მიერ არჩეულ სამართალს. აღნიშნული არჩევა უნდა იყოს ნათლად გამოხატული ან/და გამომდინარებდეს ხელშეკრულების ცალკეულ ნორმათა შინაარსიდან. მხარეებს შეუძლიათ გამოსაყენებელი სამართალი აირჩიონ როგორც მთელი ხელშეკრულებისთვის, ისე მისი ცალკეული ნაწილებისთვის<sup>26</sup>.

გარდა შიდასახელმწიფოებრივი სამართლისა, „მხარეთა ნების ავტონომიის“ პრინციპს ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულებებიც. ასე, მაგალითად, „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ“ ჰავაგის 1955 წლის 15 ივნისის კონვენციის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნასყიდობა რეგულირდება იმ ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლით, რომლებსაც ხელშემკვრელი მხარეები ხელშეკრულებაში მიუთითებენ<sup>27</sup>.

### III. „ციფრული პლატფორმებზე“ ე. წ. „ონლაინ სამომხმარებლო შეთანხმების“ დადებისას

#### საერთაშორისო კერძო სამართლებრივი დათქმები

ნებისმიერი ელექტრონული ტრანზაქცია მოიცავს პირობებს, რომლებიც ხელმისაწვდომია ჰიპერბმულის ან ინტეგრირებული ფანჯრის საშუალებით. ასეთ პირობებს, როგორც წესი, „სამომხმარებლო შეთანხმებებს“ უწოდებენ.

ელექტრონული სამომხმარებლო შეთანხმებები სტანდარტული სახელშეკრულებო პირობების ფორმით არის მოცემული და საჭიროებს მომხმარებლის აღნიშნულ პირობებზე დათანხმებას, როგორც წესი, პირობებზე აქცეპტის (accept) ან უბრალოდ დიას (ok) ღილაკზე დაჭერით.

სამომხმარებლო შეთანხმებები გარკვეული ნარმოადგენს მიერთების/განევრიანების შეთანხმებას. გარდა მხარეთა უფლება-მოვალეობებისა და პლატფორმის გამოყენების პირობებისა, შეთანხმებები ხშირად შეიცავს მნიშვნელოვან დათქმებს გამოსაყენებელი სამართლის შესახებ. ისეთი ონლაინ პლატფორმები, როგორებიცაა Google, eBay, Amazon და სხვა, რომელთა გაყიდვების მოცულობა აღემატება ზოგიერთი სახელმწიფოს ბიუჯეტს და რომელთა მომხმარებელი ხდება მილიონობით ადამიანი, შეიძლება ვიპოვოთ სპეციალური დათქმები სამართლის არჩევისა და გამოსაყენებელი იურისდიქციის შესახებ. მაგალითად:

<sup>26</sup> E. Jeame / R. Hausmann, Internationales Privat und Verfahrensrecht, 10. Aufl., München 2000, 34.

<sup>27</sup> Н.Ю.Ерпылева, Международное частное право. Сборник документов, М. 1997, 199.

**ონლაინ მომხმარებელთან დადებულ ხელშეკრულებაში გამოსაყენებელი სამართლის  
დათქმები eBay, Google, Amazon Web Services**

<b>eBay-ს სამომხმარებლო შე- თანხმება, სამართლებრივი კონფლიქტი/კოლიზიის<sup>28</sup> მუხლი</b>	<b>Google-ის სამომხმარებლო პირობები<sup>29</sup></b>	<b>სამომხმარებლო შეთანხმება Amazon Web Services / AWS Customer Agreement<sup>30</sup></b>
<p>„თქვენ [მომხმარებელი] ეთანხმებით იმას, რომ, ფე- დერალურ იურისდიქციას მიკუთვნებული კანონმდებ- ლობის გარდა, აღნიშნული სამომხმარებლო შეთანხმება ან მისგან გამომდინარე ნე- ბისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოშვას თქვე- ნსა და eBay-ს შორის, რეგუ- ლირდება იუტას შტატის, აშშ, კანონმდებლობის მიხე- დვით, კოლიზიური წორმე- ბის გამოყენების გარეშე, გა- რდა იმ შემთხვევებისა, თუ სამომხმარებლო შეთანხმე- ბაში სხვა რამ არ არის მითი- თებული.“</p>	<p>„ზოგიერთ შემთხვევაში რი- გი ქვეყნების სასამართლოები არ ცნობენ კალიფორნიის კანო- ნმდებლობას. თუ თქვენ ცხოვ- რობთ ერთ-ერთ ასეთ რეგიონ- ში, წინამდებარე სამომხმარებ- ლო შეთანხმების პირობებიდან გამომდინარე სარჩელების გან- ხილვის დროს ვერ იქნება გამო- ყენებული კალიფორნიის კანო- ნმდებლობა. სხვა შემთხვევაში, ეთანხმებით იმას, რომ წინამ- დებარე სამომხმარებლო შეთა- ნხმების პირობებიდან გამომ- დინარე ყველა დავა გადაწყდე- ბა კალიფორნიის შტატის (აშშ) კანონმდებლობის შესაბამისად, კონფლიქტური [კოლიზიური] კანონების წორმების მიხედ- ვით.“</p>	<p>გამოსაყენებელი სამართლი, რომელიც გამორიცხავს კოლი- ზიური წორმების მოქმედებას, არეგულირებს წინამდებარე შე- თანხმებას და ნებისმიერი სახის დავას, რომელიც შეიძლება წარ- მოიშვას თქვენსა და ჩვენს შო- რის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „სა- ქონლის საერთაშორისო ყიდვა- გაყიდვის ხელშეკრულებათა შე- სახებ“ წინამდებარე შეთანხმება- ზე არ ვრცელდება.</p> <p>თუ შეთანხმების მხარეა კომ- პანია Amazon Web Services EMEA SARL<sup>31</sup>, მაშინ გამოსაყე- ნებელ სამართლად მიიჩნევა ლუ- ქსემბურგის დიდი საპერცოგოს კანონმდებლობა, ხოლო თუ შე- თანხმების მხარეა კომპანია Amazon Web Services, Inc.<sup>32</sup>, მა- შინ გამოსაყენებელ სამართლად მიიჩნევა ვაშინგტონის შტატის (აშშ) სამართალი.</p>

მითითებული დათქმები ცხადყოფს, რომ წა-  
რმოდგენილ ონლაინ პლატფორმებზე გამოიყე-  
ნება მხარეთა ნების ავტონომიის (*Lex voluntatis*)  
პრინციპი, რომელიც მხარეებს სამართლის არ-  
ჩევის შესაძლებლობას აძლევს.

გარდა ამისა, ზემოთ მოცემული ერთ-ერთ  
მაგალითის მიხედვით, შეთანხმება შეიძლება  
გამორიცხავდეს ვენის 1980 წლის კონვენციის  
გამოყენებას.

<sup>28</sup> eBay-ს სამომხმარებლო შეთანხმება იხ. [https://www.ebay.com/pages/ru/help/ua\\_previous.html](https://www.ebay.com/pages/ru/help/ua_previous.html) (ბოლო ნახვის თარიღი 20.05.2020).

<sup>29</sup> Google-ის სამომხმარებლო პირობები იხ. <https://policies.google.com/terms?hl> (ბოლო ნახვის თარიღი 20.05.2020).

<sup>30</sup> AWS სამომხმარებლო შეთანხმება იხ. [https://aws.amazon.com/agreement/?nc1=h\\_ls](https://aws.amazon.com/agreement/?nc1=h_ls) (ბოლო ნახვის თარიღი 20.05.2020).

<sup>31</sup> Amazon Web Services EMEA SARL არის ლუქსემბურგის დიდ საპერცოგოში რეგისტრირებული Amazon-ის შვილობილი კომპანია.

<sup>32</sup> Amazon Web Services, Inc. არის აშშ-ს ვაშინგტონის შტატში რეგისტრირებული Amazon-ის შვილობილი კომპანია.

კონვენციაში იგულისხმება გაეროს ვენის 1980 წლის კონვენცია - „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“<sup>33</sup>. სამართლის არჩევის დროს სამომხმარებლო შეთანხმებებში ვენის კონვენციის გამორიცხვა ხშირად განპირობებულია თავად ამ კონვენციის დათქმით. კერძოდ, კონვენციის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი მიუთითებს, რომ ეს კონვენცია არ გამოიყენება იმ საქონლის გაყიდვისას, რომელსაც იყენებენ პირადი, ოჯახური ან საყოფაცხოვრებო მოხმარების მიზნით, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გამყიდველმა ნებისმიერ დროს ხელშეკრულების დადებამდე ან ხელშეკრულების დადების მომენტში არ იცოდა და არც ვალდებული იყო სცოდნოდა, რომ საქონელი ამ მიზნით შეიძინეს<sup>34</sup>.

ინტერნეტ პლატფორმებზე გამოყენებულ სამომხმარებლო ხელშეკრულებათა ანალიზი კიდევ ერთი საინტერესო ტენდენციის მაჩვენებელია. უკანასკნელ წლებში მხარეები ნების ავტონომიის ინსტიტუტის გამოყენებით ერთსა და იმავე სამართალზე მიუთითებენ. ამან საფუძველი მისცა ამერიკულ სამართალში ცნობილ ინსტიტუტს - ე. ნ. „სამართლის ბაზარს“<sup>35</sup> (Law Market), რომლის მიხედვითაც, სამართალი ერთგვარად კარგავს თავის ფუნდამენტურ ფუნქციას და უფრო „საქონლის ყიდვა-გაყიდვის საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებულ პროდუქტს“ ემსგავსება. ასე, მაგალითად, საერთაშორისო გადაზიდვების ხელშეკრულებები ტრადიციულად ექვემდებარება ინგლისურ სამართალს, ხოლო ფრენშაიზინგის ხელშეკრულებები აგებულია ამერიკული სამართლის საფუძველზე.

მიუხედავად აღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ ამგვარ „სამართლის სტანდარტიზაციას“ გლობალურ ბიზნეს სამართლებრივ ურთიერთობებში უფრო მეტი პოზიტივი მოაქვს, ვიდრე ნეგატივი, რაც საბოლოო ჯამში დავების უფრო სწრაფ და ეფექტურ რეგულირებას უწყობს ხელს.

#### IV. ონლაინ არბიტრაჟები (ODR) და საარბიტრაჟო დათქმები ციფრულ პლატფორმებზე

ონლაინ პლატფორმებზე ოპერირებად კომპანიებთან დადებული სამომხმარებლო შეთანხმებები ასევე ხშირად შეიცავენ დათქმებს სადაც საკითხების დავის ალტერნატიული გზებით გადაწყვეტის შესახებ. მათგან განსაკუთრებით საინტერესო და ახალი ინსტიტუტია ონლაინ არბიტრაჟები ე. ნ. „ODR“ (Online Dispute Resolution). იგი პრაქტიკულად ინტერნეტ სამართალში ანაცვლებს სტანდარტული ტიპის არბიტრაჟებს - „ADR“ – (Alternative Dispute Resolution).

ონლაინ არბიტრაჟებს (ODR) გააჩნიათ მკვეთრად ფორმულირებული საარბიტრაჟო დათქმები, რომელიც, როგორც წესი, განთავსებულია სამომხმარებლო შეთანხმებებში ცალკე თავის და მუხლების სახით. ასევე, შესაძლებელია, აღნიშნული დათქმები დანართის ან დამატებითი შეთანხმების ფორმით ახლდეს სამომხმარებლო ხელშეკრულებას და წარმოადგენდეს მათ განუყოფელ ნაწილს.

პრაქტიკაში უკვე არსებობს მაგალითები ონლაინ საარბიტრაჟო დათქმების გამოყენებისა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საარბიტრაჟო დათქმის ლეგიტიმურობის საკითხს მომხმარებელთან მიმართებით. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მომხმარებლის „პრეზუმირებული გათვითცნობიერების“ - ე. ნ. კონსტრუქციული ცნობის (constructive notice) პრობლემა. ამ მხრივ საინტერესოა browserwrap და clickwrap პლატფორმებზე ონლაინ საარბიტრაჟო დათქმების განსხვავებული მიდგომები.

**Browserwrap** გულისხმობს ონლაინ კონტრაქტის პირობებზე პასიურ თანხმობას. **Browserwrap-ის** პლატფორმის ვებგვერდებზე მომხმარებელს შეუძლია გარიგება დადოს ხელ-

<sup>33</sup> აღნიშნული კონვენციის მონაწილე წევრი ქვეყანა არის საქართველოც, რომელმაც კონვენციის რატიფიცირება ჯერ კიდევ 1994 წელს მოახდინა.

<sup>34</sup> იხ. <http://cisg7.institut-e-business.de/pdf/Textsammlung/textsammlung-georgisch.pdf> (ბოლო ნახვის თარიღი 20.05.2020).

<sup>35</sup> იხ. E. O'Hara / L. E. Ribstein, The Law Market. Oxford 2009, 66.

შეკრულების პირობებზე თანხმობის გაცხადების აქტიური ქმედებების გარეშე. ასეთ ვებგვერდებზე, როგორც წესი, სადმე მოცემულია ბმული, რომელზე დაჭრითაც შესაძლებელია ხელშეკრულების პირობების ნახვა. **Browsewrap**-ის პლატფორმის არსებობისას, თუ დამტკიცდა, რომ სამომხმარებლო შეთანხმების პირობები განთავსებული იყო **Browsewrap**-ის პლატფორმის ვებგვერდზე, არბიტრაჟის გამოყენება მაინც არ ხდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელმა იცოდა საარბიტრაჟო დათქმის შესახებ ან ფლობდა სპეციალურ ცოდნას ამ სფეროში.<sup>36</sup>

რაც შეეხება **clickwrap** პლატფორმას, ის თავისი შინაარსით გულისხმობს მომხმარებლის მიერ ონლაინ კონტრაქტის პირობების გაცნობასა და მის აქტიურ მიღებას, მასზე დათანხმებას. **clickwrap**-ის ტიპის ვებგვერდები მოითხოვს მის შესრულებამდე ხელშეკრულების პირობებზე მითითებული „თანხმობის“ ან „დიას“ ღილაკზე დაჭრით ამ პირობების მიღების ვალდებულებას. ამგვარი ტიპის ვებგვერდებზე ონლაინ არბიტრაჟის შესახებ დათქმის განთავსება წარმოადგენს ონლაინ კონტრაქტის განუყოფელ ნაწილს და მასზე თანხმობის განცხადება გულისხმობს ონლაინ არბიტრაჟის დათქმის უპირობო მიღებას. შესაბამისად, თანხმობის მომენტიდან დავის წარმოშობის შემთხვევაში ონლაინ კონტრაქტი ექვემდებარება ამგვარ საარბიტრაჟო განხილვას და მისი აღსრულება ხდება კანონმდებლობით გარანტირებული იძულებითი აღსრულების პროცედურის სრული დაცვით. ამ დროს მხედველობაში აღარ მიღება ის პირობა, რომ მომხმარებელს ონლაინ არბიტრაჟის დათქმა არ წაუკითხავს<sup>37</sup>.

ზოგიერთი ქვეყნის სასამართლო პრაქტიკას რომ გადავხედოთ, აქაც განსხვავებული მიღვომები იკვეთება. ერთ-ერთ ასეთ დავაში - საქმეზე *Craig Comb, et al. v. PayPal, Inc.* - სასამართლომ

მიიჩნია, რომ **PayPal**-ის სამომხმარებლო შეთანხმება და მასში შესული საარბიტრაჟო დათქმა<sup>38</sup> იყო არაკეთილსინდისიერი კალიფორნიის შტატის კანონმდებლობასთან მიმართებით. შესაბამისად, სასამართლომ არ მიიღო **PayPal**-ის სარჩელი ონლაინ საარბიტრაჟო დათქმის ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით. **PayPal**-ის სამომხმარებლო შეთანხმება სასამართლომ არაკეთილსინდისიერად მიიჩნია, რადგან თანხმობა შეთანხმებაზე - რომელიც, კალიფორნიის შტატის კანონმდებლობის თანახმად, აღიარებულია გარიგების უფრო ძლიერი მხარის მიერ შედგენილ „სტანდარტულ ხელშეკრულებად“ - მომხმარებელს ანიჭებს მხოლოდ შეთანხმებისადმი მიერთების ან მისი უარყოფის საშუალებას. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ სამომხმარებლო შეთანხმება და მასში შემავალი საარბიტრაჟო დათქმები იყო უსამართლო, რადგან:

1) ნებას რთავდა **PayPal**-ს, ნებისმიერ დროს მომხმარებლისთვის შეტყობინების გარეშე ცალმხრივად შეეტანა სასურველი ცვლილებები სამომხმარებლო შეთანხმებაში;

2) ავალდებულებდა მომხმარებლებს, რომ დავების გადაწყვეტა მომხდარიყო ამერიკის საარბიტრაჟო ასოციაციის წესების შესაბამისად, რაც ეკონომიკურად არახელსაყრელია **PayPal**-ის მეშვეობით განხორციელებული ტრანზაქციების საშუალო ოდენობის გათვალისწინებით;

3) ავალდებულებდა მომხმარებლებს, რომლებიც შეიძლება მთელი ქვეყნის (აშშ) მასშტაბით ცხოვრობენ, არბიტრაჟი განეხორციელებინათ კალიფორნიის შტატის სანტა-კლარას ოლქში, სადაც განთავსებულია **PayPal**;

4) ნებას რთავდა **PayPal**-ს, რომ „გაეყინა“ კლიენტის ანგარიშებზე არსებული თანხები (როგორც სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება) დავის დასრულებამდე;

5) შეიცავდა კოლექტიური სარჩელების აკრძალვებს.

<sup>36</sup> იხ. *J. H. Dasteel, Consumer click arbitration: a review of online consumer arbitration agreements, Arbitration Law Review. 2017. Vol. 1, 1.*

<sup>37</sup> *Dasteel* (სქ. 36), 2.

<sup>38</sup> „ნებისმიერი დავა და პრეტენზია, გამომდინარე წინამდებარე შეთანხმებიდან ან მომსახურების განევიდან, ექვემდებარება სავალდებულო საარბიტრაჟო განხილვას ამერიკის საარბიტრაჟო ასოციაციის კომერ-

ციული არბიტრაჟის წესების შესაბამისად. ნებისმიერი ასეთი უთანხმოება ან მოთხოვნა უნდა იყოს განხილული არბიტრაჟში ინდივიდუალურ საფუძველზე და არ უნდა იქნეს გაერთიანებული რომელიმე არბიტრაჟში რომელიმე სარჩელთან ან სხვა მხარის რაიმე პრეტენზიასთან. საარბიტრაჟო განხილვა ნარმოებს კალიფორნიის შტატის სანტა-კლარას ოლქში.“

ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ PayPal-ის სამომხმარებლო შეთანხმების ეს დათქმები შეიძლება დაკვალიფიცირდეს არაკეთილსინდისიერად და წარმოადგენს PayPal-ის მხრიდან მცდელობას, არათანაბარ სახელშეკრულებო მდგომარეობაში ჩააყენოს მომხმარებელი. შესაბამისად, ეს დათქმები PayPal-ისადმი პრაქტიკულ ნდობას არ აღძრავს<sup>39</sup>.

ამჟამად PayPal უზრუნველყოფს პროდუქტის ყიდვა-გაყიდვას ინტერნეტის მეშვეობით და მოგებას იღებს ტრანზაქციებზე დაწესებული საკომისიოების მეშვეობით. PayPal-ის მომსახურების გამოსაყენებლად მომხმარებელმა უნდა გახსნას ანგარიში. რაც, თავის მხრივ, მყიდველსა და გამყიდველს ავალდებულებს, დაუთანხმოს PayPal-ის სამომხმარებლო შეთანხმების პირობებს. PayPal დღეს დაახლოებით 12 მილიონ მომხმარებელს (ექაუნთს) ემსახურება. PayPal-ის მეშვეობით განხორციელებული გარიგებების საშუალო მოცულობა შეადგენს 55 დოლარს<sup>40</sup>.

პრაქტიკულად PayPal-ის დათქმის ანალოგიურია Amazon-ისა და eBay-ის სამომხმარებლო შეთანხმები.

ინტერნეტ პლატფორმების განვითარებამ „კლასიკურ“ ონლაინ არბიტრაჟებთან ერთად წარმოშვა ისეთი ტიპის არბიტრაჟები, როგორიცაა, მაგალითად, „ბლოკჩეინ არბიტრაჟი“. ნებისმიერ შემთხვევაში ეს პლატფორმები იძლევა „ეფექტური მართლმსაჯულების“ (*efficient justice*) განხორციელების საშუალებას, ისე, რომ მხარეებმა თავი აარიდონ ბიუროკრატიასა და ტრადიციულ მართლმსაჯულების ორგანოებს, რომლებიც ხშირად საკმაოდ მოუქნელი და არაეფექტურია<sup>41</sup>.

გონიერი კონტრაქტების ტექნოლოგია, მობილური აპლიკაციები და ელექტრუნული კომუნიკაცია სტიმულს აძლევს დავების ონლაინ გადაწყვეტილების შემთხვევაში, რომ მეშვეობის მიზანი არა არის არა რომელიმე იურისდიქციის სამართალი, არამედ eBay-ის სამართალი. მომხმარებლის მზადყოფნა, გამხდარიყო ADR-პროცედურების მონაწილე, მეტწილად განპირობებული იყო იმით, რომ eBay-ის მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა, ზემოქმედება მოახდინოს eBay-ის პლატფორმის შეფასებისას მის „რეპუტაციასა“ და რეიტინგზე. ეს ფუნქცია პრაქტიკულად ყველა ცნობილ ონლაინ პლატფორმას გააჩნია (Amazon, Ali Baba და სხვ.) და ამ ფუნქციით იზომება პლატფორმათა რეიტინგი, მომხმარებელთა ნდობა და, შესაბამისად, სავაჭრო ბრუნვაც, რაც ხშირად პლატფორმას გაკოტრების ფასადაც კი შეიძლება დაუჯდეს.

ყვეტის სისტემების (ODR) განვითარებას. ონლაინ არბიტრაჟი, ბლოკჩეინ-არბიტრაჟი<sup>42</sup> და სხვა დავის ონლაინ გადაწყვეტის პლატფორმები ახალი ინფორმაციულ-სამართლებრივი რეალობის ფორმირებას უწყობს ხელს.

მომხმარებლებს შორის კონფლიქტების წარმოშობისას eBay მათ რეკომენდაციას აძლევს გამოიყენონ ODR სისტემა. eBay-მ ODR-სისტემების გამოყენება მასაჩუსეტსის ინფორმაციული ტექნოლოგიების ცენტრთან ერთად ჯერ კიდევ 1999 წელს დაიწყო. მოგვიანებით, eBay-ის ODR-მომსახურებას ე. წ. „SquareTrade“ პლატფორმა უწევდა. თუმცა, 2008 წლიდან eBay ძირითადად გადაერთო ODR-სისტემების გამოყენებაზე, რომლებიც ჩაშენებულია უშუალოდ eBay-სა და PayPal-ის კლიენტებთან წარმოშობილი დავების გადაწყვეტის სერვისებში: თუ მყიდველსა და გამყიდველს შორის დავა ვერ გადაწყდა eBay-ის ODR-პლატფორმის მეშვეობით, ის გადამისამართდება „დავების გადაწყვეტის სამსახურში“ (Resolution Services Team).

eBay-ის პლატფორმის ADR-პროცედურებზე დაკვირვების შემდეგ ზოგიერთ მკვლევარს გამოაქვს დასკვნა, რომ მოდავე მხარეები დავის დროს იმყოფებიან „სამართლის ჩრდილქვეშ“ და ეს „სამართალი“ არის არა რომელიმე იურისდიქციის სამართალი, არამედ eBay-ის სამართალი. მომხმარებლის მზადყოფნა, გამხდარიყო ADR-პროცედურების მონაწილე, მეტწილად განპირობებული იყო იმით, რომ eBay-ის მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა, ზემოქმედება მოახდინოს eBay-ის პლატფორმის შეფასებისას მის „რეპუტაციასა“ და რეიტინგზე. ეს ფუნქცია პრაქტიკულად ყველა ცნობილ ონლაინ პლატფორმას გააჩნია (Amazon, Ali Baba და სხვ.) და ამ ფუნქციით იზომება პლატფორმათა რეიტინგი, მომხმარებელთა ნდობა და, შესაბამისად, სავაჭრო ბრუნვაც, რაც ხშირად პლატფორმას გაკოტრების ფასადაც კი შეიძლება დაუჯდეს.

<sup>39</sup> Craig Comb, et al. v. PayPal, Inc. Cases No. C-02-1227 and C-02-2777 JF (N. D. Cal., August 30, 2002) იხ. აგრეთვე [\(ბოლო ნახვის თარიღი 20.05.2020\).](http://www.internetlibrary.com/cases/lib_case302.cfm)

<sup>40</sup> Craig Comb, et al. v. PayPal, Inc. Cases No. C-02-1227 and C-02-2777 JF (N. D. Cal., August 30, 2002) იხ.

აგრეთვე [\(ბოლო ნახვის თარიღი 20.05.2020\).](http://www.internetlibrary.com/cases/lib_case302.cfm)

<sup>41</sup> В. Тутыцин, Право 2.0, <https://vvtlaw.com/articles/pravo-2-0/> (ბოლო ნახვის თარიღი 20.05.2020).

<sup>42</sup> მაგ., პროექტი SAMBA — Smart Arbitration & Mediation Blockchain Application.

გარიგებათა და მისგან გამომდინარე დავების ადმინისტრირების მეთოდიკა eBay-ის პლატფორმაზე ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ ზოგიერთი ავტორი eBay-ს აფასებს, როგორც დამოუკიდებელ იურისდიქციას, „სასამართლო ორგანოს“ და როგორც ერთგვარ წარმონაქმნს, რომელსაც მომხმარებელთა ონლაინ-ცხოვრებაზე გააჩნია სუვერენული ძალაუფლება მისი ყველაზე ფართო გაგებით.

ელექტრონულ სავაჭრო პლატფორმაზე ინტერნეტ ვაჭრობის სწრაფი განვითარების კვალდაკვალ აქტუალური ხდება ელექტრონული კომერციისა და ტრანსნაციონალური სამომხმარებლო სამართლის (Transnational Consumer

Law) ურთიერთმიმართების კვლევა<sup>43</sup>. სამომხმარებლო სამართლი, რომელიც მომდინარეობს ნაციონალური სამართლებრივი სისტემების ნორმებიდან და სტანდარტებიდან, გაკრიტიკებულია როგორც „ტრანსნაციონალური ვაჭრობის მუხრუჭი“. ბრემენის უნივერსიტეტის კომერციული სამართლის ინსტიტუტის პროფესიონალების კალესი გლობალიზაციის პროცესში მყოფი ეროზირებული ნაციონალური სამომხმარებლო სამართლის აღტერნატივად ტრანსნაციონალური სამომხმარებლო სამართლის ფორმირებას ხედავს, რომელიც რადიკალურად განსხვავდება სახელმწიფო სამართლისგან.

<sup>43</sup> G. P. Calliess, Transnational Consumer Law: Co-Regulation of B2C-E-Commerce, Responsible business: self-governance in transnational economic transactions, O. Dilling / M. Herberg / G. Winter, eds., Oxford 2008, 225; N.

Reich, Transnational Consumer Law-Reality or Fiction?, Penn State International Law Review, 2009, Vol. 27. No. 3, 859.

# არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვით გამოწვეული ხელყოფის პონდიქცია

გიორგი მელაძე

ადვოკატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

## I. შესავალი

სამართალს უნდა შეეძლოს ნებისმიერი შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გადაჭრა.<sup>1</sup> მსოფლიოში არსებულ ყველა მართლწესრიგში უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის მიზანი - უსაფუძვლოდ გადადინებული ქონებრივი მასის რესტიტუცია.<sup>2</sup> მოსამართლე რაიტის ცნობილი გამონათქვამის მიხედვით, ყველა ცივილიზაციული სამართლებრივი სისტემა ვალდებულია, უზრუნველყოს დაცვის საშუალება უსაფუძვლო გამდიდრებისთვის, თუმცა არ იქნება მართებული თუ ვიტყვით, რომ ყველა მათგანმა უსაფუძვლო გამდიდრების ერთი და იგივე კონცეფცია უნდა გაიზიაროს.<sup>3</sup> ქართული უსაფუძვლო გამდიდრების სამართალიც ხსენებულ მიზანს ემსახურება, თუმცა განსხვავებით სხვა სამართლებრივი სისტემებისგან, იგი მაინც გამოირჩევა საკუთარი, ორიგინალური სტრუქტურით. აღნიშნული განპირობებულია შემდეგით: როგორც ცნობილია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (შემდგომში - „სკ“) გერმანული სამართლის რეცეფციის შედეგად ჩამოყალიბდა, თუმცა უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი ქართული სამოქალაქო მართლწეს-

რიგის ის იშვიათი სფეროა, რომლის პირველწყაროც არა გერმანული კანონმდებლობა, არამედ გერმანელი მეცნიერის - დეტლეფ კონიგის მიერ 1981 წელს შემუშავებული კანონპროექტია (შემდგომში „კონიგის პროექტი“), რომელიც გერმანიაში ძალაში არ შესულა. თუმცა ის ქართველმა კანონმდებელმა მცირედი ცვლილებით გადმოიღო.<sup>4</sup> კონიგის პროექტი ითვალისწინებს კონდიქციურ მოთხოვნათა ტიპოლოგიას, რაც მისი მთავარი ღირებულებაა. აღნიშნული ტიპოლოგიის მიხედვით გამოყოფენ კონდიქციათა ოთც ტიპს - შესრულების, ხელყოფის, რეგრესისა და დანახარჯების კონდიქციებს.<sup>5</sup> ყოველ დასახელებულ კონდიქციას გააჩნია საკუთარი დამოუკიდებელი მიზანი. თუმცა საგულისმოა, რომ ამ მიზნებს საერთო დანიშნულება აქვთ - სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისას შეავსონ უპირატესად გამოსაყენებელ მოთხოვნებში არსებული ვაკუუმი.<sup>6</sup> სწორედ საერთო მიზნიდან გამომდინარე, კონდიქციის თითოეული სახე სამართლის განსაზღვრული სფეროს დანამატად მიიჩნევა.

კერძოდ, ხელყოფის კონდიქცია (სკ-ის 982-ე მუხლი) არის დელიქტური სამართლისა და ვინდიკაციის დანამატი.<sup>7</sup> შესაბამისად, კონდიქციის

<sup>1</sup> დ. კერძესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 3.

<sup>2</sup> გ. რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი ინგლისში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული უურნალი, 5/2020, 1.

<sup>3</sup> M. McInnes, Unjust Factors, Juristic Reasons and Contracts in Anglo-Canadian Law, Re-examining Contract And Unjust Enrichment, Anglo-Canadian Perspectives, Leiden/Boston, 2007, 23.

<sup>4</sup> გ. რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I: შესრულების კონდიქცია, თბილისი 2017, 80.

<sup>5</sup> გ. რუსიაშვილი/დ. ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 88-89.

<sup>6</sup> მოთხოვნის უფლებათა რიგითობის შესახებ იხ. იქვე, 12-13.

<sup>7</sup> ჰ. შნიტგერი/ლ. შატბერაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი [21.04.2020], მუხლი 982, 1-ლი ველი; ასევე, იხ., სქოლით 4, 124.

ის აღნიშნული სახის სწორად გასააზრებლად აუცილებელია, დასახელებულ ინსტიტუტებთან შედარების გზით წარმოვაჩინოთ მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. ამის შემდეგ, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ხელყოფის კონდიქციის წინაპირობები, რომელიც დგინდება სკ-ის 982-ე მუხლის პირველი ნაწილით. ეს წინაპირობებია: 1. რაიმეს მოპოვება; 2. ხელყოფით, რომლის განხორციელების საშუალებებიც არაამომწურავადა განსაზღვრული კანონით; 3. ხელყოფა უნდა მოხდეს კონდიქციის კრედიტორის ხარჯზე. გარდა ჩამოთვლილი პოზიტიური წინაპირობებისა, ასევე უნდა დასახელდეს ის ნეგატიური პირობაც, რომლის მიხედვით, კონდიქციის მოვალეს არ უნდა შეეძლოს განმდიდრების შესაგებელზე (*Change of Position*) მითითება.<sup>8</sup> იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე სტატიის კვლევის საგანია არაუფლებამოსილი პირის მიერ კონკრეტული საშუალებით - განკარგვით განხორციელებული ხელყოფის კონდიქციის შესწავლა, ყურადღება უნდა გამახვილდეს ე. წ. კაუზალობის პრინციპზეც, როგორც მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენის საქართველოში მოქმედ სისტემაზე. შემდგომ უნდა განისაზღვროს არაუფლებამოსილი პირის მიერ როგორც ნამდვილი, ასევე ბათილი განკარგვის შემთხვევებში დამდგარი სამართლებრივი შედეგები. გარდა აღნიშნულისა, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს სკ-ის 990-ე მუხლით გათვალისწინებული მოწესრიგება, როგორც ხელყოფის კონდიქციის ერთ-ერთი კერძო შემთხვევა - უსასყიდლო ნამდვილი განკარგვა. აქვე აღსანიშნავია, რომ ხელყოფის კონდიქციის სპეციალურ შემთხვევებად აგრეთვე მიიჩნევა სკ-ის 983-ე და 989-ე მუხლებით გათვალისწინებული მოწესრიგებაც. თუმცა ეს უკანასკნელი შემთხვევები არ წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის განხილვის საგანს, რადგანაც სკ-ის 983-ე მუხლით გათვალისწინებულია ხელყოფის კონდიქციის განხორციელება არა განკარგვის, არამედ არაუფლებამოსილი პირის წინაშე შესრულების შედეგად. ხოლო სკ-ის 989-ე მუხლი

<sup>8</sup> D. Johnston/R. Zimmermann, The Comparative Law of Unjustified Enrichment, Cambridge 2002, 23.

კი 990-ე მუხლისგან განსხვავდება იმით, რომ ის ითვალისწინებს უფლებამოსილი პირის მიერ განკარგვის შემთხვევას. აქედან გამომდინარე, ორივე მუხლით გათვალისწინებული მოწესრიგების სფერო სცილდება წინამდებარე კვლევის საგანს.

გერმანული და ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემა საფუძვლად უდევს მსოფლიოში უსაფუძვლო გამდიდრების მართლწესრიგებს შორის არსებით სხვაობას, რაც ძირითადად შემდეგში გამოიხატება: საერთო სამართლის მიდგომა ფოკუსირებულია ცალკეულ გაუმართლებელ ფაქტორებზე, როგორიცაა, მაგალითად, საპირისპირო შესრულების ჩაშლის ან შეცდომის შემთხვევები, ხოლო გერმანიაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სარჩელი უსაფუძვლო გამდიდრებიდან კონკრეტული ხელშეკრულების არანამდვილობას ემყარება და არა რაიმე ზოგად გაუმართლებელ ფაქტორს.<sup>9</sup> მოსამართლე მენსფილდმა მოახდინა უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევათა მიმართ ორი მოდელის იდენტიფიცირება - 1. ინგლისური სამართალი ემყარება პოზიტიურ მოდელს, რაც გულისხმობს შემდეგი ფორმულის გამოყენებას: „გამდიდრება ითვლება საფუძვლის მქონედ მანამ, სანამ მისი უსაფუძვლობა ანუ მიღებულის უკან დაპრუნების საფუძველი არ დადგინდება.“ 2. გერმანული სამართალი ემყარება ნეგატიურ მოდელს, რაც გულისხმობს შემდეგი ფორმულის გამოყენებას: „გამდიდრება ითვლება უსაფუძვლოდ მანამ, სანამ მისი საფუძვლიანობა ანუ მიღებულის შენარჩუნების საფუძველი არ დადგინდება.“<sup>10</sup> აღნიშნულ მოდელებს ემყარება მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი ორივე სამართლებრივ სისტემაში.

## II. ხელყოფის კონდიქცია – დელიქტური სამართლისა და ვინდიკაციის დანამატი

ხელყოფის კონდიქციის შემავსებელი რეგულატორული ფუნქცია იმ შემთხვევების მოწეს-

<sup>9</sup> T. A Baloch, Unjust Enrichment And Contract, Oxford and Portland, Oregon 2009, 70.

<sup>10</sup> F. Giglio, A Systematic Approach to „Unjust“ and „Unjustified“ Enrichment, Oxford Journal of Legal Studies, Vol. 23, 2003, 472.

რიგებას გულისხმობს, რომელთა რეგულაციაც დელიქტური სამართლისა და ვინდიკაციის მოქმედების სფეროებს სცილდება. აღნიშნული თავისებურებით კი ხელყოფის კონდიქცია ასრულებს უსაფუძვლო გამდიდრების ზოგად დანიშნულებას, რომელიც სამართლის მიერ განსაზღვრულ შემთხვევათა კორექციას გულისხმობს.<sup>11</sup>

კონდიქციური პასუხისმგებლობისთვის არ არის სავალდებულო სკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული გენერალური დელიქტური დათქმის არც ერთი წინაპირობის<sup>12</sup> არსებობა. დასახელებული ელემენტების წარმოშობა სამ ძირითად კონცეფციას ემყარება: სანქცირებული ქმედება, სანქცია და დაცული ინტერესი.<sup>13</sup> არსებითი განსხვავება დელიქტურ და კონდიქციურ პასუხისმგებლობებს შორის ნათლად არის წარმოჩენილი არაუფლებამოსილი პირის მიერ სხვა პირის საკუთრებაში არსებული ავტომობილის ფანჯრების, ერთი მხრივ, მითვისებისა და, მეორე მხრივ, მათი ჩამტვრევის მაგალითებში.<sup>14</sup> აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ ბრალის კატეგორიას არავითარი დატვირთვა არ გააჩნია ხელყოფის კონდიქციით სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისას. კერძოდ, ამ შემთხვევაში ბრალის ფორმები განსაზღვრავენ კონდიქციური პასუხისმგებლობის ფარგლებს, რაც გათვალისწინებულია სკ-ის 984-ე და 985-ე მუხლებით, მათ შორის კონდიქციის მოვალის მიერ განმდიდრების შესაგებელზე მითითების შესაძლებლობის ჩათვლით. ზიანთან მიმართებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ შემთხვევებში მისი ოდენობის ტოლობა გამდიდრების ოდენობასთან საერთოდ არ არის დაკავშირებული განსხვავებული სფეროების - დელიქტური და კონდი-

ქციური სამართლის მოწესრიგების ფუნქციებთან, რის გამოც ზემოთ ხსენებული ოდენობების ტოლობის შემთხვევაშიც კი შესაბამისი ანაზღაურების საკითხი სწორი სამართლებრივი საფუძვლის შერჩევით უნდა გადაწყდეს. სწორედ აღნიშნულ გარემოებას ემყარება ის მომენტიც, რომ სკ-ის 982-ე მუხლში მითითებული „ზიანის ანაზღაურება“ მართებულად მიიჩნევა არა ქართველი კანონმდებლის შეგნებულ გადაწყვეტილებად, არამედ მთარგმნელის შეცდომად, რადგანაც კონიგის კანონპროექტში საუბარი იყო „სარგებლის ანაზღაურებაზე.“ აქედან გამომდინარე, გამოთქმულია სწორი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სკ-ის 982-ე მუხლის სამომავლო რედაქციაში „ზიანის ანაზღაურება“ უნდა იქნეს ამოშლილი და მის მაგივრად უნდა ჩაიწეროს „ხელყოფის შედეგად მიღებული.“<sup>15</sup> თუმცა ეს უკანასკნელი ტერმინიც დამატებით დაზუსტებას საჭიროებს. ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს შემდეგი - გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 812-ე პარაგრაფში ნახსენები ფორმულირება „სხვის ხარჯზე“ ანუ კონდიქციის კრედიტორის ხარჯზე, მე-20 საუკუნის დასაწყისში განიმარტებოდა, როგორც მოსარჩელის გადარიბება, რომელსაც შედეგად მოპასუხის გამდიდრება უნდა მოჰყოლოდა. თუმცა უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ტაქსონომიის შემდგომია განვითარებამ და დახვენამ გამოხატულება პოვა გერმანელი მეცნიერის ესერის ცნობილ პოსტულატში, რომლის მიხედვითაც, ზემოთ ხსენებული ნორმა ანესრიგებს უსაფუძვლო გამდიდრების და არა უსაფუძვლო გადარიბების შემთხვევებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ფარგლებში მოსარჩელეს აქვს რესტიტუციის და არა კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.<sup>16</sup> ამ მოსაზრებიდანაც გამომდინარეობს, რომ დაუშვებელია სკ-ის 982-ე მუხლის პირველ ნაწილში ზიანის ანაზღაურებაზე იყოს მითითება გაკეთებული და ეს ნორმა მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით განიმარტებოდეს.

<sup>11</sup> C. Webb, *Reason and Restitution, A Theory of Unjust Enrichment*, Oxford 2016, 99.

<sup>12</sup> წინაპირობებთან დაკავშირებით იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 20 თებერვლის განჩინება № ას-1800-2019.

<sup>13</sup> დელიქტური სამართლის კონცეფციებთან დაკავშირებით დეტალურად იხ., P. Cane, *Anatomy of Tort Law*, Oxford 1997, 13.

<sup>14</sup> გ. რუსიაშვილი, რესტიტუციის ფარგლები ანგლო-ამერიკულ უსაფუძვლო გამდიდრების სამართლში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული შურნალი, 4/2020, 35.

<sup>15</sup> გ. რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 73.

<sup>16</sup> T. Krebs, *Understanding Unjust Enrichment*, Oxford and Portland Oregon, 2004, 250.

ხელყოფის კონდიქციისა და დელიქტური სამართლის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით გერმანული სამართლის პოზიცია შემდეგია - ორივე მათგანის ამოცანა უფლებების დაცვაა, თუმცა ისინი განსხვავდებიან მოწესრიგების სფეროებისა და დაცვის მოცულობით.<sup>17</sup> ანალოგიური იდეის მატარებელია ინგლისური სამართალიც, იმისდა მიუხედავად, „პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა“ დაკვალიფიცირდება უსაფუძვლო გამდიდრების თუ დელიქტური სამართლის ნორმების მიხედვით.<sup>18</sup> კერძოდ, გერმანული სამართლის შესაბამისად, ყველა მოთხოვნა, რომელიც დაფუძნებულია „სხვაგვარად“ გამდიდრებაზე, ანუ გერმანის სამოქალაქო კოდექსის 812-ე პარაგრაფის პირველი წინადადების მე-2 ალტერნატივაზე, მათ შორის ხელყოფის კონდიქციის შემთხვევაში, საჭიროებს აუცილებელი წინაპირობის არსებობას - მოპასუხის გამდიდრებას მოსარჩელის ხარჯზე. თავდაპირველად გერმანის სამოქალაქო კოდექსის 812-ე პარაგრაფის პრაქტიკული გამოყენება უკიდურესად რთული აღმოჩნდა. არაერთი მცდელობის მიუხედავად, გაკეთებულიყო „სხვაგვარად“ და „სამართლებრივი საფუძვლის გარეშე“ გამდიდრების მართებული განმარტება, არცერთ მათგანს არ მოუპოვებია ზოგადი აღიარება. 1934 წელს უოლტერ ვილბურგმა პირველად აღიარა, რომ არ არსებობს უნივერსალური პასუხი იმის თაობაზე, თუ როდის ჩაითვლება გამდიდრება უსაფუძვლოდ.<sup>19</sup> შეკითხვაზე კონდიქციური პასუხისმგებლობისთვის არის თუ არა საკმარისი, რომ მოპასუხებ ხელყოს ის სამართლებრივი სიკეთე, რომლის გამოყენების უფლებამოსილებაც მინიჭებული ჰქონდა მოსარჩელეს, თუ აუცილებელია რომ მოსარჩელეს მიადგეს რაიმე სახის ზიანი, პასუხი შემდეგია - გერმანული სამართლის მიხედვით, უკვე ას წელზე მეტია, მიიჩნევა, რომ ზიანის დადგომა არ არის სავალდებულო პირობა, ხოლო ინგლისურ სამართალში, მართალია, გარკვეული დროის განმავლობაში

<sup>17</sup> G. Dannemann, *The German Law of Unjustified Enrichment and Restitution, A Comparative Introduction*, Oxford 2009, 92.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> D. A. Juettgen, *Unjustified Enrichment in New Zealand and German Law*, 8 Canterbury L. Rev, 2002, 507.

წინააღმდეგობრივი პოზიცია არსებობდა აღნიშნულთან დაკავშირირებით, თუმცა დღეის მდგომარეობით იდენტური არჩევანია გაკეთებული ინგლისური სამართლის მიხედვითაც.<sup>20</sup> ამის საპირისპიროდ, ფრანგული და იტალიური სამართლი კონდიქციური პასუხისმგებლობისთვის ზიანისა და მისი გამდიდრებასთან მიზეზობრივი კავშირის არსებობას სავალდებულოდ მიიჩნევს.<sup>21</sup> ინგლისურ სამართალში კი მიიჩნევა, რომ დელიქტი დიდ სირთულეებს აწყდება უსაფუძვლო გამდიდრების საკითხის გადაწყვეტისას და ამ უკანასკნელის მომწესრიგებელი ნორმების გამოყენება გამართლებულია მთელ რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით კი სხვისი ვალდებულების შესრულებისას.<sup>22</sup>

რაც შეეხება მიზეზობრივ კავშირს - კონდიქციური სამართლის ფარგლებში კონდიქციის მოვალის გამდიდრებასა და კონდიქციის კრედიტორის გაღარიბებას შორის შესაძლო მიზეზობრივი კავშირის არსებობის აუცილებლობა გაკრიტიკებულია, რადგანაც ცხადია, რომ ზიანის კონცეპტის გამორიცხვა კონდიქციური პასუხისმგებლობის წინაპირობებიდან ავტომატურად გამორიცხავს შესაბამის სფეროში მიზეზობრივი კავშირის ცნების დამკვიდრებასაც. აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საფრანგეთში. საქმის არსებითი ფაქტობრივი გარემოებები იყო შემდეგი: მიწის მესაკუთრემ მნიშვნელოვანი ხარჯების განვის მეშვეობით ააშნა გზა, რომელსაც კარიერის დამუშავების მიზნით იყენებდა. კარიერის კონკურენტმა მესაკუთრემ იგივე გზა გამოიყენა ყოველგვარი თანხმობის გარეშე. გრენობილის სააპელაციო სასამართლომ, ხელმყოფს დააკისრა ვალდებულება, მოსარჩელისთვის გადაეხადა გზის მშენებლობისა და მისი შენახვის ხარჯების მესამედი. ამ საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილების არგუმენტაცია სასამართლომ მიზეზობრიობის ცნებას დააყრდნო, თუმცა არასწორად, რადგანაც კონდიქციის კრედიტორის გაღარიბებას

<sup>20</sup> იქვე., 102.

<sup>21</sup> P. Gallo, *Unjust Enrichment: A Comparative Analysis*, American Journal of Comparative Law, 1992, 432.

<sup>22</sup> S. Degeling, *Tort and Unjust Enrichment Intersect Again*, King's Law Journal, 2006, 130.

ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა იმ გარემოებით, თუ რა ოდენობის საფასურს გადაიხდიდა მოპასუხე მხარეთა შორის შეთანხმებისა და შესაბამისი ნებართვის მიღების შემთხვევაში, ანუ იმით, თუ რა ოდენობის თანხა დაზოგა მან სხვის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფით.<sup>23</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკა კარდინალურად არასწორი მიმართულებით არის განვითარებული, რადგანაც მის მიერ შემუშავებული უსაფუძვლო გამდიდრების, მათ შორის ხელყოფის კონდიქციის წინაპირობები, არ შესაბამება არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და არც, თუნდაც, გერმანულ მოწესრიგებას. საქართველოს სასამართლოებს შემუშავებული აქვთ ისეთი წინაპირობები, რომლებიც თავისი არსით შეუთავსებელი არიან უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის პრინციპებთან. კერძოდ, საქართველოს სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კონდიქციური მოთხოვნის წინაპირობების შემოწმების მიზნით უნდა დადგინდეს: 1. მიმღების გამდიდრება; 2. ეს გამდიდრება უნდა მოხდეს კონდიქციის კრედიტორის მიზეზ-შედეგობრივი მოქმედებით. 3. შედეგი უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, რაც ნიშნავს იმას, რომ მიმღებს არ უნდა ჰქონდეს კანონიური საფუძველი სხვისი სამართლებრივი სიკეთის მითვისებისთვის.<sup>24</sup> თვალშისაცემია მიზეზობრივის ცნების არასწორი გამოყენება კონდიქციური მოთხოვნის წინაპირობების შემოწმებისას, ჰირველ რიგში, იმ მიზეზით, რომ ეს კატეგორია საერთოდ არ უნდა იქნეს გამოყენებული კონდიქციური პასუხისმგებლობის განსაზღვრისას. გარდა ამისა, თუ მაინც მოვიშველიებთ მიზეზობრიობის ცნებას, როგორც ზემოთ დავინახეთ, მისი გამოყენება შეიძლება გამართლებული იყოს კონდიქციის კრედიტორის გაღარიბებასა და კონდიქციის მოვალის გამდიდ-

რებას შორის კავშირის დასადგენად. თუმცა ეს პოზიციაც არ არის საბოლოო ჯამში მართებული კონდიქციური სამართლის მიზნიდან გამომდინარე. შესაბამისად, სრულებით გაუგებარია საქართველოს სააპელაციო სასამართლოს პოზიცია, როდესაც მოსარჩელის მოქმედებასა და მოპასუხის გამდიდრებას შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენას ცდილობს.

რაც შეეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ნახსენებ მართლწინააღმდეგობის ცნებას - ეს კატეგორიაც არსებითად დელიქტური სამართლის კუთვნილებაა, რომელიც იცნობს ორი სახის - ქმედებისა და შედეგის მართლწინააღმდეგობის კატეგორიებს.<sup>25</sup> იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელი მათგანის მეშვეობით შეფასდება კონდიქციის მოვალის ქმედება, ხელყოფის კონდიქციის განხორციელება შესაძლებელია მართლზომიერი მოქმედებითაც.<sup>26</sup> აღნიშნული განპირობებულია გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში შემუშავებული თეორიით „მიკუთვნებული სამართლებრივი სფეროს შესახებ“ (*Zuweisungstheorie*).<sup>27</sup> აღნიშნული თეორიის თანახმად, იმისათვის, რომ მოვახდინოთ „სხვისი სამართლებრივი სიკეთის“ იდენტიფიცირება, აუცილებელია შემდეგი წინაპირობების კუმულატიურად არსებობა: 1. სამართლებრივი პოზიცია კრედიტორს კანონის საფუძველზე უნდა ჰქონდეს მიკუთვნებული სანივთო ან ვალდებულებითი უფლების სახით. 2. კრედიტორს უნდა ჰქონდეს ამ პოზიციის გამოყენების, გასხვისების ან სხვაგვარად სასყიდლის მიღების შესაძლებლობა, რაც ნიშნავს იმას, რომ მას არ უნდა ჰქონდეს აკრძალული შესაბამისი სამართლებრივი სიკეთის სამოქალაქო ბრუნვაში განკარგვის შესაძლებლობა. 3. კრედიტორს უნდა ჰქონდეს უფლება, მოსთხოვოს მოვალეს ხელშემლის აღკვეთა. 4. სამართლებრივი პოზიციის დაცვა შესაძლებელი უნდა იყოს დელიქტური წესით.<sup>28</sup> ჩამოთვლილი წინაპირობებიდან გარკვეულწილად დაბნეულობას

<sup>23</sup> G. Dannemann, *The German Law of Unjustified Enrichment and Restitution, A Comparative Introduction*, Oxford 2009, 102.

<sup>24</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 2 ოქტომბრის განჩინება № ას-1055-989-2012. შენიშვნა: აღნიშნული განმარტება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დღემდე არ არის რაიმე ფორმით შეცვლილი.

<sup>25</sup> აღნიშნულ მოძღვრებათა განმარტების თაობაზე იხ., ი. კროპჭოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბილისი 2014, 639.

<sup>26</sup> იხ. სქოლიო 4, 105.

<sup>27</sup> გ. რუსიძევილი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული უურნალი, 4/2019, 50.

<sup>28</sup> იქვე.

იწვევს მე-4 - დელიქტური წესით სამართლებრივი პოზიციის დაცვის შესაძლებლობა, რადგანაც დელიქტური სამართალი მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად - აბსოლუტური სიკეთის ან ქონების კონკრეტული დამცავი ნორმის დარღვევით დამდგარი ზიანისგან იცავს პოტენციურ დაზარალებულს, ხოლო კონდიქციური სამართლის მიზანი არ არის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შერაცხვა. თუმცა თუ კარგად დავაკვირდებით ამ წინაპირობის შინაარსს, დავინახავთ, რომ საუბარია „შესაძლებლობის არსებობაზე.“ მაგალითად, შემთხვევითობის ძალითაც არის შესაძლებელი, რომ ხელყოფის კონდიქციის მოვალე უსაფუძვლოდ გამდიდრდეს.<sup>29</sup> ასეთ დროს არათუ ქმედების მართლწინააღმდეგობაზე, არამედ საერთოდ კონდიქციის მოვალის ქმედების არსებობაზეც კი საუბარი ზედმეტია. თუმცა იმისათვის, რომ განისაზღვროს, მოხდა თუ არა შემთხვევითობისას კონდიქციის კრედიტორისადმი მიყუთვნებული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, აუცილებელია დადგინდეს, შემთხვევით ხელყოფილი სიკეთე არის თუ არა ზოგადად დელიქტური სამართლის წესით დაცული - ნებისმიერი ან კონკრეტული სახის ხელყოფისგან. აქედან გამომდინარე, შესაბამისი საკანონმდებლო დაცვის მექანიზმის არსებობის დაგენა არ ნიშნავს უსაფუძვლოდ გამდიდრებული პირის ქმედების მართლზომიერებისა თუ მართლწინააღმდეგობის სამართლებრივი კატეგორიებით შეფასების რელევანტურობას, მიზანშეწონილობას ან მით უფრო სავალდებულობას. არამედ ის გულისხმობს ხელყოფის კონდიქციის მოქმედების სფეროს განსაზღვრას.

რომაული სამართლის ტრადიციის მიხედვით, ვინდიკაციური სარჩელი განეკუთვნება სანივთო მოთხოვნის უფლებას და ის საკუთრების აბსოლუტური ბუნებიდან გამომდინარეობს.<sup>30</sup> ეს უკანასკნელი კი, როგორც ამას გრუნებაუმი აღნიშნავს, აუცილებლად მოიაზრებს ე. წ. „გამორიცხვის ლემენტს“, რაც საკუთრებაში არსებული საგნების სხვა პირებისგან დამოუკიდებელ სარგებლობასა და განკარგვაში

<sup>29</sup> იხ. სქოლიო 4, 105.

<sup>30</sup> ლ. თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, ჭანტურია (რედ.), 2018, მუხ. 172, 1-ლი ველი.

გამოიხატება.<sup>31</sup> სკ-ის 172-ე მუხლის მიზანია მესაკუთრის მიერ ნივთზე მფლობელობის მოპოვება, რომელიც მან დაკარგა. შესაბამისად, ხსენებული ნორმის მოწესრიგების სფეროს სცილდება შემთხვევა, როდესაც მესაკუთრები ნივთზე მფლობელობასთან ერთად საკუთრების უფლებაც დაკარგა. აღნიშნული დანაწესის საპირისპიროდ, სკ-ის 982-ე მუხლის პირველი ნაწილი მიმართულია არა მხოლოდ მფლობელობის, არამედ საკუთრების უფლების დაცვისკენაც, რადგანაც მასში მოხსენიებული ტერმინი „სამართლებრივი სიკეთე“ ფართო მნიშვნელობის მატარებელია და მოიაზრებს სამართლით დაცულ ნებისმიერ სიკეთეს. აქედან გამომდინარე, ის ვაკუუმი, რომელიც წარმოიშობა საკუთრების უფლებისა და, შესაბამისად, ვინდიკაციური მოთხოვნის დაკარგვის შედეგად, უნდა შეივსოს სკ-ის 982-ე მუხლის საფუძველზე.

ხელყოფის კონდიქციის, როგორც ვინდიკაციის ჩამნაცვლებლის ფუნქციაა, რომ როდესაც შესაძლებელია ნივთის გამოთხოვა საკუთრების დაკარგვის გამო, ამ დანაკარგის კომპენსირება უნდა მოხდეს მესაკუთრისათვის ნივთის ღირებულების ანაზღაურების კონდიქციური მოთხოვნის მინიჭებით.<sup>32</sup> მოცემულ შემთხვევაში საუბარია სკ-ის 193-ე მუხლზე, რომელიც სკ-ის 982-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით წარმოადგენს „შეერთებას.“ შესაბამისად, ამავე ნორმის კონტექსტში შეგვიძლია მივუთითოთ მომდევნო - სკ-ის 194-ე და 195-ე მუხლებზე - 1. „შერწყმა“ იგივე „შერევა“ და 2. „გადამუშავება.“ აქ დასახელებული ყველა შემთხვევა გულისხმობს საკუთრების უფლების კანონისმიერი გზით დაკარგვას, რასაც ვინდიკაციური მოთხოვნის დაკარგვამდეც მივყავართ, თუმცა ყველა ამ შემთხვევაში ხელყოფის კონდიქციით თავდაპირველი მესაკუთრე დაცულია დაკარგული ვინდიკაციის ფულადი კომპენსაციით. აქვე აღსანიშნავია მიმართება სკ-ის 197-ე მუხლა და 982-ე მუხლებს შორის. სკ-ის 197-ე მუხლის ანალოგი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 951-ე პარაგრაფია, რომლის პირველი ნაწილი ერთმნიშვნელოვნად უთითებს ფულად

<sup>31</sup> A. Clarke, P. Kohler, *Property Law, Commentary and Materials*, Cambridge 2005, 59.

<sup>32</sup> იხ. სქოლიო 5, 124.

ანაზღაურებაზე უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად, რაც, ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, მოიცავს მხოლოდ არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე კონდიქციას.<sup>33</sup> აღნიშნული ნორმის ქართულ შესატყვისში კი საუბარია „ზიანის ანაზღაურებაზე.“ აქედან გამომდინარე, მართებულად არის გაკრიტიკებული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საკანონმდებლო ფორმულირება, რომლის თანახმადაც, სკის 197-ე მუხლი უნდა ატარებდეს მისი პირველწყაროს მსგავსს ტექნიკურ დანიშნულებას, ხოლო ანაზღაურების საკითხი პასუხისმგებლობისა და მისი ოდენობის თაობაზე უნდა გადაწყდეს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების შესაბამისად.<sup>34</sup> გარდა აღნიშნულისა, ასევე გასათვალისწინებელია რომ „ზიანის ანაზღაურება“ კონცეპტუალურად არასწორი ტერმინია უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით ურთიერთობის მოწესრიგებისას და ამ მიზეზითაც დაუშვებელია სკის 197-ე მუხლში მოვიაზროთ „ზიანი“ და არა „გამდიდრების ოდენობა“.

გარდა ზემოთ ხსენებული ხელყოფის კონდიქციის საშუალებებისა, უნდა დაისვას საკითხი, თუ რამდენად ასრულებს იგი (ხელყოფის კონდიქცია) ვინდიკაციის ჩამნაცვლებლის ფუნქციას არაუფლებამოსილი პირის მიერ სხვის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას. ამ შემთხვევაშიც დასმულ შეკითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს. კერძოდ, სკის 982-ე მუხლის პირველ ნაწილში ხსენებული „განკარგვა“ არის ნამდვილი განკარგვა უფლებამოსილი პირის წინაშე, რადგანაც შემძენი არის კეთილსინდისიერი. შესაბამისად, თავდაპირველი მესაკუთრე სკის 185-ე ან 187-ე მუხლის საფუძველზე კარგავს საკუთრებას და ვინდიკაციური მოთხოვნის უფლებას. სწორედ ასეთ შემთხვევაში უფლებამოსილ პირს წარმოეშვება მოთხოვნის უფლება, რომელიც ხელყოფის კონდიქციას, კერძოდ, სკის 982-ე მუხლის პირველ ნაწილს ემყარება და რომლის მიხედვითაც მას შეუძლია მოითხოვოს არაუფლებამოსილი განმკარგავისგან მიღებული სასყიდელი.

<sup>33</sup> იხ. სქოლით 25, 722.

<sup>34</sup> იხ. სქოლით 7, 10.

გერმანული სამართალი ასევე ავინწროებს ხელყოფის კონდიქციის მოქმედების სფეროს იმ მიზნით, რომ კეთილსინდისიერი შემძენი დაიცვას.<sup>35</sup>

შესაბამისად, დაკარგული ვინდიკაციის კომპენსირების ფუნქციას ხელყოფის კონდიქცია ასრულებს ამ უკანასკნელის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, მათ შორის არაუფლებამოსილი პირის მიერ სხვისი ქონების ნამდვილი განკარგვის დროსაც.

### III. განკარგვის ცნება და კაუზალობის პრინციპი

როგორც ზემოთ აღინიშნა, სხვისი სამართლებრივი სიკეთის განკარგვა ხელყოფის კონდიქციის განხორციელების ერთ-ერთი საშუალებაა. შესაბამისად, აუცილებელია განმარტოს აღნიშნული ცნება და გამოიკვეთოს, თუ რა როლს თამაშობს საქართველოში ამავე სამართლებრივ კატეგორიასთან დაკავშირებული ე. წ. კაუზალობის პრინციპი.<sup>36</sup> თავდაპირველად ტერმინი „განკარგვა“ გარიგებისმიერი მნიშვნელობით გვხდება სკის მე-16 და 102-ე მუხლებში. თუმცა საკანონმდებლო დონეზე აღნიშნული ცნების განმარტება მოცემული არ არის. შესაბამისად, მისი განმარტების მიზნით უნდა ვიხელმძღვანელოთ ქართული იურიდიული დოქტრინით, რომელიც, თავის მხრივ, გერმანულ სასამართლო პრაქტიკას ეყრდნობა. კერძოდ, განკარგვა სკის 102-ე მუხლის გაგებით წარმოადგენს გარიგებას, რომელიც პირდაპირ ზემოქმედებს სანივთო უფლებაზე ან სამართლებრივ ურთიერთობაზე, მისი სხვისთვის გადაცემის, გაუქმების, დატვირთვის ან შინაარსობრივი ცვლილების გზით.<sup>37</sup> ამ განმარტებიდან დგინდება, რომ მხოლოდ ვალდებულებითი გარიგება არ ითვლება განკარგვად. ამ მხრივ სამართლიანად არის გაკრიტიკებული ქართული

<sup>35</sup> R. Zimmermann, Unjustified Enrichment: The Modern Civilian Approach, Vol. 15, 1995, 420.

<sup>36</sup> საპირისპირო, აბსტრაქციის პრინციპთან დაკავშირებით იხ., K. Sadowski, The Abstraction Principle and the Separation Principle in German Law, Adam Mickiewicz University Law Review, Vol. 4, 2014, 237-243.

<sup>37</sup> გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ), 2017, მუხ. 102, მე-5 ველი.

სასამართლოების პრაქტიკა, რომელიც ამ პრინციპს ბოლომდევნების აზრებს, რადგანაც ჩელშებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებებს განკარგვით გარიგებებად მოიხსენიებს.<sup>38</sup> აღნიშნული საკითხი დაკავშირებულია გამიჯვნის პრინციპთან, რომლის თაობაზეც გამოთქმული მოსაზრებები ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ორად იყოფა, თუმცა სასამართლო პრაქტიკა ძირითადად აღიარებს მას.<sup>39</sup> შესაბამისად, გამიჯვნის, იგივე კაუზალობის პრინციპი, გულისხმობს იმ მდგომარეობას, როდესაც სანივთო გარიგება გამიჯნულია ვალდებულებითისგან, თუმცა ეს უკანასკნელი მაინც არის მისი ნამდვილობის წინაპირობა - ვალდებულებითი გარიგების ნამდვილობის გარეშე შეუძლებელია საკუთრების გადაცემაც.<sup>40</sup> მართებულია გაბატონებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს გამიჯვნის პრინციპს.<sup>41</sup>

რაც შეეხება „განკარგვითი გარიგების“ ცნებას ხელყოფის კონდიქციის გაებით - ამ შემთხვევაშიც მოიაზრება სანივთო გარიგების დადება გასხვისებაზე არაუფლებამოსილ პირსა და მეორე მხარეს შორის.<sup>42</sup> შესაბამისად, ხელყოფის კონდიქციის კონტრაქტში შეიძლება გამოიყოს სხვისი სამართლებრივი სიკეთის განკარგვის ექვსი შესაძლო ვარიანტი: 1. არაუფლებამოსილ პირსა და მის კონტრაქტში შორის დაიდო ნამდვილი ვალდებულებითი, თუმცა საერთოდ არ დადებულა სანივთო გარიგება. აღნიშნული შესაძლებელია, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველსა და მყიდველს შორის არა მარტო დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, არამედ ნივთის მყიდველის მფლობელობაში გადაცემაც მოხდა. თუმცა იმავდროულად, გამყიდველმა მყიდველს განუცხადა, რომ ამ ქმედებით საკუთრების გადაცემა არ სურდა. ასეთ შემთხვევაში საკუთრების უფლება გადა-

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> გ. რუსიაშვილი, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული უურნალი, 1/2019, 20-21.

<sup>40</sup> გ. რუსიაშვილი/ლ. სირდაძე/დ. ეგნატაშვილი, სანივთო სამართალი, თბილისი 2019, 110.

<sup>41</sup> აღნიშნული პოზიციის დეტალური არგუმენტის თაობაზე იხ. სქოლით 39, 22-24.

<sup>42</sup> იხ. სქოლით 39, 23.

სულად არ ითვლება, რადგანაც გამყიდველს შესაბამისი ქმედება არ განუხორციელებია ვალის დაფარვის მიზნით.<sup>43</sup> შესაბამისად, სანივთო გარიგება არ არის დადებული, რაც ნიშნავს იმას, რომ „განკარგვა“ მოცემული შემთხვევის ფაქტობრივი შემადგენლობის დონეზე უკვე გამორიცხულია და ამდენად სახეზე არ გვაქვს ხელყოფის კონდიქცია. ასეთ შემთხვევაში განკარგვაზე უფლებამოსილ პირს ჩვეულებრივ შეუძლია მოითხოვოს მყიდველის უკანონო მფლობელობაში არსებული ნივთის ვინდიკაციის წესით გამოთხოვა სკის 172-ე მუხლის შესაბამისად. 2. არაუფლებამოსილ პირსა და მის კონტრაქტს შორის დაიდო ორივე ხელშეკრულება, საიდანაც ვალდებულებითი ნამდვილია, თუმცა სანივთო გარიგება ბათილი, ბათილობის ნებისმიერი სხვა საფუძვლით, გარდა ვალდებულებითი გარიგების ბათილობისა. 3. სანივთო გარიგება ბათილია ვალდებულებითი გარიგების ბათილობის საფუძვლით, რაც არის კიდევაც კაუზალობის პრინციპის გამოვლინება. დასახელებული მე-2 და მე-3 შემთხვევები ასევე სცილდებიან ხელყოფის კონდიქციის მოწესრიგების ფარგლებს, თუმცა განკარგვაზე უფლებამოსილ პირს შეუძლია სკის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მოიწონოს ერთ შემთხვევაში განკარგვის, ხოლო მეორე შემთხვევაში - ვალდებულებითი გარიგება. შესაბამისად, მას შეუძლია საბოლოო ჯამში ნამდვილად აქციოს ორივე გარიგება და შემძენს მოაპოვებინოს საკუთრების უფლება ნივთზე ან არ ისარგებლოს მოწონების უფლებით და პირველი შემთხვევის მსგავსად ვინდიკაციას მიმართოს. ბათილი განკარგვის მოწონების შესაძლებლობა, მიუხედავად არასწორი ფორმულირებისა, უნდა ამოვიკითხოთ სკის 982-ე მუხლის მე-2 ნაწილში, რომელიც ცალსახად სარედაქციო ხასიათის შეცდომას ატარებს.<sup>44</sup> 4. იმ შემთხვევაში, როდესაც დადებული ორი გარიგებიდან, ორივე ნამდვილია და ასევე განხორციელებულია რეალაქტიცი - ნივთი გადაცემულია მყიდველის მფლობელო-

<sup>43</sup> აღნიშნული შემთხვევის გადაწყვეტის არგუმენტაციისათვის იხ. სქოლით 39, 30-31; საპირისპირო შემთხვევის მაგალითისათვის „ხელშეკრულების თეორიის“ შესახებ იხ. იქვე, 31.

<sup>44</sup> იხ. სქოლით 15, 77.

ბაში, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას სახეზე გვაქვს ხელყოფის კონდიქცია. თუმცა განკარგვის გარიგების ნამდვილობის გარდა, ასევე გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორებიც - დაიდო სასყიდლიანი თუ უსასყიდლო გარიგება, ასევე გარიგება დაიდო უფლებამოსილი თუ არაუფლებამოსილი პირის მიერ. ნამდვილი სასყიდლიანი განკარგვის შემთხვევაში გამოიყენება სკ-ის 982-ე მუხლის პირველი ნაწილი, რაც ხელყოფის კონდიქციის ძირითადი შემთხვევაა. 5. უფლებამოსილი პირის მიერ უსასყიდლო განკარგვის შემთხვევაში გამოიყენება სკ-ის 989-ე მუხლი, რაც ხელყოფის კონდიქციის სპეციალური შემთხვევა და მისი მოქმედების სფერო შემოიფარგლება მხოლოდ სკ-ის 977-ე მუხლის შემადგენლობის განხორციელებით.<sup>45</sup> 6. არაუფლებამოსილი პირის მიერ უსასყიდლო განკარგვის შემთხვევაში გამოიყენება სკ-ის 990-ე მუხლი, რომელიც, ფაქტობრივად, მხოლოდ ფულისა და ფასიანი ქაღალდების განკარგვისას მოქმედებს, რაც სკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებით არის განპირობებული.<sup>46</sup>

#### IV. ხელყოფის კონდიქციის გამოყენების წინაპირობები

როგორც აღინიშნა, ხელყოფის კონდიქციის გამოყენებას აქვს სამი პოზიტიური წინაპირობა და ასევე კონდიქციის მოვალის მიერ გამორიცხული უნდა იყოს „განმდიდრების შესაგებელზე“ მითითება. თუმცა აქვე აღსანიშნავია ის თეორია, რომელიც გერმანულ სამართალში დიდი ხანია აღიარებულია - სუბსიდიარულობის დოგმა. აღნიშნული წესის თანახმად - ის, რაც მიღებულია სხვისი შესრულებით, თავისთავად არ შეიძლება მიღებული იყოს სხვაგვარად და გამორიცხავს არაშესრულების კონდიქციის გამოყენებას.<sup>47</sup> აქედან გამომდინარე, იმის დასადგენად, კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იქნეს თუ არა გამოყენებული ხელყოფის კონდიქციის დანაწესები, უნდა შეფასდეს არა მხოლოდ კანონით განსაზღვრული ამ ტიპის კონდიქციის

წინაპირობების არსებობა, არამედ, პირველ რიგში, გვაქვს თუ არა სახეზე შესრულების კონდიქციის წინაპირობები. გასათვალისწინებელია, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკა არასწორად იყენებს სუბსიდიარულობის წესს.<sup>48</sup> კერძოდ, აღნიშნული წესი გამოყენებულია კონდიქციურ და უპირატესად შესამოწმებელ მოთხოვნებს შორის მიმართების გამოსახატავად, რაც არასწორია.<sup>49</sup>

არაშესრულების კონდიქცია „სარჩელთა დაყოფის“ თეორიის მიხედვით განეკუთვნება კონდიქციათა რიგით მე-2 კატეგორიას, რომელიც გათვალისწინებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 812-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მე-2 აღტერნატივით.<sup>50</sup> უპირველეს ყოვლისა არაშესრულების კონდიქციის ქვეშ სხვის უფლებებში ჩარევა მოიაზრება, რომელიც კონდიქციის კრედიტორისათვის სამართლის მიერ მიკუთვნებული სიკეთის ხელყოფას ნიშნავს.<sup>51</sup>

რაც შეეხება უშუალოდ ხელყოფის კონდიქციის გამოყენების წინაპირობებს - პირველ რიგში, უნდა დასახელდეს „რაიმეს მოპოვება.“ აღნიშნული კრიტერიუმი სკ-ის 982-ე მუხლის დანაწესიდან პირდაპირ არ იკითხება, რადგანაც მასში საუბარია მხოლოდ „სხვისი სამართლებრივი სიკეთის“ ხელყოფაზე. თუმცა როგორც ქართული, ისე გერმანული იურიდიული დოქტრინა ამ პირობას ძალზედ ფართოდ განმარტავს. კერძოდ, გერმანული დოქტრინის მიხედვით, „რაიმეს შეძენა“ განიმარტება როგორც ნებისმიერი სახის ქონებრივი სარგებელი, რომელიც ფაქტობრივად უნდა მიიღოს მოვალის ქონებამ.<sup>52</sup> ხელყოფის კონდიქციის საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის არა მხოლოდ ქონება, არამედ არამატერიალური ქონებრივი სიკეთეც, ე. ი. ქონებრივი მოთხოვნის უფლებაც, რომელსაც მართლწერიგი სხვა პირს აკუთვ-

<sup>48</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 ოქტომბრის განჩინება № ას-1055-989-2012.

<sup>49</sup> იხ. სქოლიო 4, 113-114.

<sup>50</sup> D. W. Bellinger, European Trends in the Law on Unjustified Enrichment - from the German Perspective, Korean University Law Review, Vol.13, 2013, 52.

<sup>51</sup> იქვე.

<sup>52</sup> იხ. სქოლიო 25, 603.

<sup>45</sup> იხ. სქოლიო 5, 100.

<sup>46</sup> იხ. სქოლიო 15, 137.

<sup>47</sup> იხ. სქოლიო 4, 29.

ნებს. შესაძლებელია, ხელყოფის კონდიქციის საგანი იყოს როგორც ვალდებულებითი, ასევე სანივთო უფლება (მათ შორის სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლებაც). გარდა აღნიშნულისა, ხელყოფის კონდიქციის საგანში შეგვიძლია მოვიაზროთ არა მხოლოდ ნებისმიერი სახის უფლება, არამედ ცალკე აღებული მფლობელობაც და სხვა ქონებრივი ხასიათის უპირატესობებიც.<sup>53</sup> ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, სკ-ის 982-ე მუხლის საკანონმდებლო ფორმულირება უნდა შეიცვალოს იმით, რომ ყურადღება გამახვილდეს კონდიქციის კრედიტორის ექსკლუზიურ გამოყენება-განკარგვის მონოპოლიაზე.<sup>54</sup> ამით მიიღწევა ის შედეგი, რომ ხელყოფის კონდიქციის ფარგლებში განსახორციელებელ „უკან მოთხოვნას“ გონივრული ფარგლები დაუნესდება და მისი გამოყენება ყოველთვის შესაძლებელი არ იქნება. მაგალითად დასახელებულია კონკურენციის სამართლის წესები, რომლის დარღვევითაც ეკონომიკური აგენტი არაკეთილსინდისიერად აკარგვინებს საკუთარ კონკურენტს მოგების მიღების სამომავლო შანსს, თუმცა ის არ ხელყოფს მისი კონკურენტისთვის მართლწესრიგის მიერ მიკუთვნებულ სამართლებრივ სიკეთეს.<sup>55</sup> ცალსახაა, რომ ცალკე აღებული მოგების მიღების შანსი ვერ იქნება მართლწესრიგის მიერ პირისთვის მიკუთვნებული სამართლებრივი სიკეთე.

ხელყოფის კონდიქციის გამოყენების მომდევნო წინაპირობაა „კონდიქციის კრედიტორის ხარჯზე.“ აღნიშნული წინაპირობის წარმოსაჩენად, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოიყენება „მიკუთვნებული სამართლებრივი სფეროს თეორია.“ სხვისი სიკეთის ხელყოფით მოგების მიღებისას უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს ამ მოგების დაბრუნება, მოუხედავად იმისა, ეს პირი რეალურად აპირებდა თუ არა თავისი სიკეთის ამ ფორმით გამოყენებას ან საერთოდ ჰქონდა თუ არა ამის პრაქტიკული შესაძლებლობა.<sup>56</sup>

„სამართლებრივი საფუძვლის გარეშე“ არის რიგით მესამე და ხელყოფის კონდიქციის ბოლო პოზიტიური წინაპირობა. აღნიშნული წინაპირობის არსებობა გამორიცხულია, როდესაც უფლების მფლობელს ხელშეკრულებით მიეცა ნებართვა, ისარგებლოს სხვა პირის ნივთით ან მოიხმაროს იგი. გარდა აღნიშნულისა, კონდიქციის კრედიტორის სფეროში ჩარევის სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს საკანონმდებლო დანაწესიც. მაგალითად, კეთილსინდისიერი შეძენა.<sup>57</sup>

რაც შეეხება ხელყოფის კონდიქციის გამოყენების ნეგატიურ წინაპირობას - „განმდიდრების შესაგებელს“, მისი გამოყენების საკითხი განისაზღვრება სკ-ის 984-ე მუხლის პირველი და არა სკ-ის 979-ე მუხლის მე-3 ნაწილით. თუ-მცა ის, თუ რას ნიშნავს გამდიდრების გაქარწყ-ლება, განმარტებულია ამ უკანასკნელი ნორმით და, შესაბამისად, ის უნდა იქნეს გამოყენებული ხელყოფის კონდიქციის პირობებშიც განმდიდრების განმარტებისას.<sup>58</sup> კონდიქციური მკაცრი პასუხისმგებლობა განვითარებულია განმდიდრების შესაგებლით. ამ უკანასკნელის მიზანი არ არის ის, რომ კონდიქციის მოვალემ მიღებულის სამართლებრივი საფუძვლის არსებობისა და მისი სრული მოცულობით შენარჩუნების მართლზომიერება დაამტკიცოს. პირიქით, განმდიდრების შესაგებელი შექმნილია იმისთვის, რომ შეამსუბუქოს ის უსამართლობა, რომელიც გამოწვეულია იმ ხარჯების წარმოშობით, რომელსაც კონდიქციის მოვალე ვერ გაიღებდა, რომ არა უსაფუძვლო გამდიდრება. როგორც ბეროუზი აღნიშნავს, იმ შემთხვევაში, თუ კონდიქციის მოვალეს დავაკისრებთ ამ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებას, მაშინ მას მოუწევს, პასუხი აგოს იმ სარგებლის გამო, რისი მიღებაც არ სურდა.<sup>59</sup> აშკარაა, რომ ყველა სახის ხარჯი ვერ ჩაითვლება განმდიდრების შესაგებლის საგნად - ხარჯი, რომელსაც კონდიქციის მოვალე გაიღებს, საკმარისად უნ-

<sup>53</sup> იქვე, 591-592.

<sup>54</sup> იხ. სქოლიო 15, 70.

<sup>55</sup> იხ. სქოლიო 15, 71.

<sup>56</sup> იხ. სქოლიო 2, 4.

<sup>57</sup> იხ. სქოლიო 25, 605.

<sup>58</sup> ჰ. შნიტგერი/ლ. შატბერაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი [21.04.2020], მუხლი 984, 1-ლი ველი.

<sup>59</sup> C. Mitchell/P. Mitchell, Landmark Cases in the Law of Restitution, Oxford and Portland, Oregon 2006, 301.

და აღემატებოდეს ამ უკანასკნელის ფინანსურ მდგომარეობას.<sup>60</sup>

## V. ზიანისა და სასყიდლის ცნებათა ურთიერთმიმართება

ქართული სასამართლო პრაქტიკა არ არის მდიდარი არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვით გამოწვეული ხელყოფის კონდიქციის შემთხვევათა გადაწყვეტით. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია რამდენიმე არსებითი გადაწყვეტილების დასახელება და მათი ანალიზი.

ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილება:<sup>61</sup> მოსარჩელის დეიდაშვილმა გააყალბა მინდობილობა. შემდგომ კი, თანამოპასუხეებთან დადო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც 2004 წლის 18 თებერვალს მათ მიყიდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. 2008 წლის 30 მაისს ამჯერად თანამოპასუხეების მიერ კიდევ ერთხელ გასხვისდა სადაც ქონება ისე, რომ გასხვისების მომენტში ხელშეკრულება ინარჩუნებდა იურიდიულ ძალას და ამ ხელშეკრულების საფუძველზე თანამოპასუხეები რეგისტრირებული იყვნენ საჯარო რეესტრში სადაც ფართის მესაკუთრებად. მოსარჩელის დეიდაშვილმა პასუხი აგო სისხლისსამართლებრივი წესით საბუთის გაყალბებისთვის, ხოლო თანამოპასუხეების მიმართ აღდრული სამოქალაქო სარჩელი შემდეგნაირად გადაწყდა: 2004 წლის 18 თებერვალის ნასყიდობის ხელშეკრულება გაბათილდა, თუმცა ძალაში დარჩა 2008 წლის 30 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულება. ცალკე წარმოებული სასამართლო პროცესის ფარგლებში დადგინდა, რომ მესამე პირი კეთილსინდისიერი შემძენი იყო. შესაბამისად, ამ უკანასკნელმა სადაც უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება შეიძინა, ხოლო თავდაპირველმა მესაკუთრებმ, ანუ მოსარჩელემ, დაკარგა ნივთზე საკუთრება

და აქედან გამომდინარე მისი ვინდიცირების უფლებაც. სარჩელი სასამართლოში შეტანილ იქნა 2012 წელს. შესაბამისად, 2008 წლის მდგომარეობით - ე. ი. მეორე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას - პირველი ნასყიდობის ხელშეკრულება და მის საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაცია ჯერ კიდევ ძალაში იყო.

შესაბამისად, მოსარჩელემ წინამდებარე დავის ფარგლებში თანამოპასუხეების მხრიდან მოითხოვა მათ მიერ სასყიდლიანი განკარგვის შედეგად მიღებული სასყიდლის, ანუ 150 000 ლარის დაბრუნება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ 150 000 ლარის გადახდა, რაც ერთ-ერთმა თანამოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაციის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა სკ-ის 992-ე, 463-ე მუხლები, რომლებიც არ უნდა გამოეყენებინა. პალატის მოსაზრებით, მოცემული დავა უნდა გადაწყვეტილიყო სკ-ის 982-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მიზანია უსაფუძვლოდ, გაუმართლებლად შეძენილი ქონების (შეღავათის, უპირატესობის, უფლების) ამოღება და ამგვარად ქონებრივი მიმოქცევის წონასწორობის აღდგენა, რა მიზნითაც ეს ქონებრივი შეღავათი იმას უნდა დაუბრუნდეს, ვის ხარჯზეც მოხდა სხვა პირის ქონების გაზრდა, ანუ უსაფუძვლო გამდიდრება.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელ ნორმათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სხვისი სამართლებრივი სიკეთის განკარგვას. კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს ხელყოფის კონდიქცია, რომელიც ჰგავს დელიქტური ვალდებულებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, მაგრამ იგი წინაპირობად არ აყენებს ბრალეულობას. ხელყოფის მოთხოვნის წამოყენების საფუძველი ხელყოფის არამართლზომიერებაში მდგომარეობს, რადგან თავად მოქმედება აკრძალული არ არის (ამ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა დელიქტ-

<sup>60</sup> იქვე.

<sup>61</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 იანვრის განჩინება № ას-308-293-2013.

თან და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან), არამედ გადამწყვეტი გარემოება არის ის, რომ მოპოვებული ქონებრივი შეღავათი სხვას ეკუთვნოდა. ასეთ შემთხვევაში, მოთხოვნის კრედიტორი არის უფლებამოსილი პირი, ე. ი. განკარგვის უფლების მქონე (მესაკუთრე, კეთილსინდისიერი მფლობელი), მოთხოვნის მოპასუხე არის არაუფლებამოსილი პირი ე. ი. პირი, რომელსაც არ აქვს განკარგვის უფლება (იგი არც უფლების მესაკუთრეა და არც განკარგვაზე უფლებამოსილი). მოპასუხე განკარგვას საგანს, ანუ დებს სამართლებრივ გარიგებას, რის შედეგადაც ხდება მესაკუთრის საკუთრების უფლების შეზღუდვა ან სრული დაკარგვა. სასყიდლიანი განკარგვის შემთხვევაში ხდება კონდიქცია განმკარგველის მიმართ. რაც განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ კეთილსინდისიერი სასყიდლიანი შემძენი დაცული უნდა იყოს სამართლებრივი ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით. სკ-ის 982-ე მუხლის გამოყენების საფუძველი შეიძლება წარმოიშვას როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე. ხსენებული ნორმა ჩამოთვლის იმ საშუალებებს, რომლებითაც შეიძლება მოხდეს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. ესენია: განკარგვა, დახარჯვა, სარგებლობა და ა. შ. სამართლებრივი სიკეთის განკარგვის დროს ეს მუხლი შეიძლება გავრცელდეს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც უფლებამოსილ პირს არ შეუძლია შეეცილოს ხელმყოფის მიერ მესამე პირთან დადებულ გარიგებას, ანუ სკ-ის 982-ე მუხლის გამოყენებისას, ხელმყოფის მიერ მესამე პირთან დადებული გარიგება ნამდვილია და მესამე პირი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. საპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, ვინაიდან ბათილად იქნა ცნობილი პირველი ნასყიდობის ხელშეკრულება, უძრავი ქონება მოსარჩელეს უნდა დაბრუნებოდა, რაც ვერ განხორციელდა იმ მიზეზით, რომ თანამოპასუხებმა განკარგეს ქონება. შედეგად, მოსარჩელემ ვერ აღიდგინა საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე. შესაბამისად, არსებობს უძრავი ნივთის განკარგვის გზით სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის ფაქტი, რაც წარმოშობს მიღე-

ბული შემოსავლის დაბრუნებულებას მოსარჩელისთვის.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა სოლიდარული პასუხისმგებლობის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასყიდლიანი განკარგვის შემთხვევაში დაბრუნებას ექვემდებარება საგნის განკარგვის შედეგად მიღებული ფასი. ამდენად, პასუხისმგებლობაც უნდა განისაზღვროს ინდივიდუალურად, მიღებული ფასიდან თითოეულის წილის შესაბამისად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ და მოითხოვა მისი გაუქმება, თუმცა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი შემდეგ არგუმენტაციაზე დაყრდნობით:

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის გამოყენებული უნდა ყოფილიყო სკ-ის 982-ე მუხლი. საკასაციო სასამართლომ, ასევე მიუთითა, რომ ამ ნორმით გათვალისწინებული „ზიანი“ წარმოადგენს არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევას, არამედ საქმე გვაქვს გამდიდრების გათანაბრებასთან. ამ შემთხვევაში ყურადსალებია, რომ განსახილველი ნორმა მოცემულია უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით, რაც მიგვითითებს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებაზე უსაფუძვლო გამდიდრებასთან, ანუ როგორც ხელყოფის კონდიქციისათვის არის დამახასიათებელი, ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. აქედან გამომდინარე, ამ ნორმაში ხსენებულ ზიანში იგულისხმება, მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი ღირებულების ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თანამოპასუხები მოსარჩელის დეიდაშვილთან ერთად სოლიდარულად აგებდნენ პასუხს ზიანის ანაზღაურებაზე. სოლიდარული ვალდებულების თავისებურება კი ის არის, რომ კრედიტორს წებისმიერი მოვალისაგან შეუძლია ვალდებულების შესრულება მოითხოვოს. საკასა-

ციო სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან სკ-ის 982-ე მუხლი უსაფუძვლო გამდიდრების თავშია მოცემული, მსგავსად შესრულების კონდიქციისა, გათანაბრების მოთხოვნის ოდენობის დადგენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ამავე კოდექსის 979-ე მუხლი, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება თანამოპასუხეების მიერ უძრავი ქონების განკარგვის დროიდან წარმოეშვა. კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს ბინის ღირებულება იმ მოცულობით, რასაც მისი საკუთრების უფლება მოიცავდა, ანუ რაც მას დაუპრუნდებოდა, ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად რომ ყოფილიყო ცნობილი. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების ბათილად ცნობის შედეგად რესტიტუციის განხორციელებისას შემძენს გააჩნია უფლება, მოთხოვოს მის მიერ ნივთზე განეული გაუმჯობესების ხარჯების ანაზღაურება (მაგ., სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი). ამდენად, ამგვარი გაუმჯობესება გამდიდრების ნაწილი არ არის და დაბრუნებას არ ექვემდებარება. ამასთან, საუბარია არსებით გაუმჯობესებაზე, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ნივთის ღირებულებას და, დაუპრუნებლობის შემთხვევაში, პირიქით, კრედიტორის გამდიდრებას გამოიწვევს.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოპასუხეს უნდა დაედასტურებინა ის ფაქტი, რომ მან სადაც ბინაზე გარკვეული სამუშაო განახორციელა, გააუმჯობესა იგი, რის შედეგადაც ფართის საბაზრო ღირებულება გაიზარდა. ამასთან, ღირებულებებს შორის სხვაობა, ისევე, როგორც გაუმჯობესების ფაქტი, სათანადო მტკიცებულებებით უნდა ყოფილიყო დადასტურებული. ღირებულებებს შორის სხვაობის დადგენისათვის მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ფასზე აპელირება არ იყო საკმარისი, ვინაიდან ხელშეკრულებაში მხარეები მიუთითებენ მათ შორის შეთანხმებულ ფასს, რომელიც ნივთის რეალურ საბაზრო ღირებულებას შესაძლებელია არ შეესაბამებოდეს, გამდიდრება კი ობიექტური მაჩვენებელია, რომელიც, ამ შემთხვევაში, ბინის საბაზრო ღირებულებას უტოლდება. ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი არ იყო მტკიცებულება

(შეფასება), თუ რას წარმოადგენდა ფართის ღირებულება გაუმჯობესებამდე და გაუმჯობესების შემდეგ, ასევე, არც გაუმჯობესება დასტურდება რაიმე მტკიცებულებით, საკასაციო სასამართლომ პრეტენზია დაუსაბუთებლად მიიჩნია, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდებოდა.

იმისათვის, რომ სწორად შეფასდეს საერთო სასამართლოების მიერ ზემოთ მოყვანილი არგუმენტაცია, აუცილებელია მსჯელობისას დავიცვათ გარკვეული თანმიმდევრობა საკითხების სწორი იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის მიზნით.

კერძოდ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეფასდეს სასამართლოების მიერ განსახილველი შემთხვევის ხელყოფის კონდიქციით კვალიფიკაციის საკითხი. პირველი ინსტანციის სასამართლომ არჩევანი სკ-ის 992-ე მუხლის - გენერალური დელიქტური დათქმის - სასამართლოდ გააკეთა, რაც არამართებულად უნდა შეფასდეს. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ, მართალია, სწორად აღნიშნა, რომ ხელყოფის კონდიქციის წინაპირობები, დელიქტური მოთხოვნისგან განსხვავებით, არ ითვალისწინებენ არც მართლწინააღმდეგობის და არც ბრალეულობის კრიტერიუმებს, თუმცა სხვა პირის საკუთრებაში არსებული ქონების არაუფლებამოსილი განკარგვისას, ამ უკანასკნელის სამართლებრივი სიკეთე - საკუთრების უფლება ირღვევა და ამდენად, განმკარგავის ქმედება ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგობდ აბსოლუტური სიკეთისთვის ზიანის მიყენების გამო. ასეთ შემთხვევაში მართლწინააღმდეგობა ივარაუდება. გარდა აღნიშნულისა, თანამოპასუხეები, სულ მცირე, გაუფრთხილებლობით მაინც მოქმედებდნენ. როგორც აღინიშნა, ხელყოფის კონდიქცია დელიქტური სამართლის გაგრძელებაა, რაც ნიშნავს იმას, რომ დელიქტური მოთხოვნის გამორიცხვისას, მისი რომელიმე წინაპირობის არარსებობისას უნდა მივმართოთ ხელყოფის კონდიქციას. მოცემულ შემთხვევაში დელიქტური პასუხისმგებლობის ყველა ელემენტი დგინდება, მათ შორის ზიანისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ჩათვლით, თუმცა აუცილებლად გასათვალისწინებელია, თუ რა იყო სასარჩელო მოთხოვნა. მოსარჩელე ითხოვდა

არა ზიანის, ანუ მის საკუთრებაში არსებული ბინის ღირებულების, არამედ თანამოპასუხეების მიერ მიღებული სასყიდლის მისთვის გადაცემას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია. იქიდან გამომდინარე, რომ სასარჩელო მოთხოვნის საგანი იყო არა თავდაპირველად მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულება, ანუ სკ-ის 992-ე მუხლის გაგებით ზიანი, არამედ თანამოპასუხეების მიერ არაუფლებამოსილი განკარგვის შედეგად მიღებული სასყიდელი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისრებინა მეორე ნასყიდობის შედეგად თანამოპასუხეების მიერ მიღებული საფასური და არა პინის ღირებულება. ამ თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლომ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. კერძოდ, მან თავდაპირველად სწორად განმარტა, რომ სკ-ის 982-ე მუხლის ანუ ხელყოფის კონდიქციის ფარგლებში გამდიდრების მოცულობა განისაზღვრება სკ-ის 979-ე მუხლის გათვალისწინებით, თუმცა უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ არა მხოლოდ სკ-ის 979-ე, არამედ შემდგომი 980-ე და 981-ე მუხლებითაც.<sup>62</sup> აღნიშნულის მიუხედავად, საკასაციო სასამართლომ სკ-ის 979-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები არასწორად განმარტა. კერძოდ, სკ-ის 979-ე მუხლი მე-2 ნაწილის თანახმად, უსაფუძვლოდ შეძენილის საპაზრო ღირებულება უნდა ანაზღაურდეს მისი ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში. არაუფლებამოსილი განკარგვისას ხელყოფი გამდიდრებულია არა გასხვისებული ქონების ღირებულებით, არამედ გასხვისების შედეგად მიღებული სასყიდლით. შესაბამისად, სკ-ის 979-ე მუხლის პირველ ნაწილში ხსენებული „შეძენილი“ არის არა თვითონ პინა, არამედ სასყიდელი. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს არსებითად არასწორი მსჯელობა აქვს მოცემული გამდიდრების კატეგორიის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლოს მსჯელობით, გამდიდრების ოდენობა განისაზღვრება იმ ხარჯების გამოკლებით, რომლებიც არაუფლებამოსილმა მფლობელმა ნივთზე გასწია. ამის დასასაბუთებლად კი სასამართლო მიუთითებს სკ-ის 163-ე მუხლზე. რაც არ არის მართებული სამი მიზეზის გამო: 1. უკან დაბრუნების მომენტისთვის თანამოპასუხეები არიან არა ბინით გამდიდრებულნი, არამედ სასყიდლით, შესაბამისად, მათი მხრიდან რაიმე სახის ხარჯების განევაზე საუბარი ზედმეტია. აღნიშნული მსჯელობა რელევანტური იქნებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე პირი ვერ შეძლებდა საკუთრების უფლების შეძენას ქონებაზე, თუმცა გარკვეული ხარჯები განეული ექნებოდა. აღნიშნული კი წინამდებარე დავაში გამორიცხულია შემძენის კეთილსინდისიერების გამო. 2. ხელყოფის კონდიქციის ფარგლებში ხარჯების ანაზღაურების საკითხი უნდა გადაწყდეს არა სკ-ის 163-ე, არამედ სკ-ის 980-ე მუხლის მიხედვით.<sup>63</sup> შესაბამისად, არათანმიმდევრულია საკასაციო სასამართლო, როდესაც მხარეთა შორის ურთიერთობას ხელყოფის კონდიქციად აკვალიფიცირებს, თუმცა შესაძლო ხარჯების ანაზღაურების საკითხს სკ-ის 163-ე მუხლით აფასებს. 3. წინამდებარე დავის ფარგლებში სკ-ის 980-ე მუხლის გამოყენებაც არ იქნებოდა მართებული, რადგანაც ხელყოფი იყო არაკეთილსინდისიერი, ხოლო ამ მუხლით გათვალისწინებული პრივილეგიით სარგებლობა მხოლოდ კეთილსინდისიერ ხელყოფს შეუძლია, მსგავსად შესრულების კონდიქციის ფარგლებში კეთილსინდისიერი მიმღებისა.<sup>64</sup>

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ საკითხებთან დაკავშირებით განზოგადების სახით შეიძლება რამდენიმე არსებითი დებულების გამოკვეთა: 1. ხელყოფის კონდიქციის საგანი გამდიდრების ანაზღაურებაა, რაც სხვისი ქონების არაუფლებამოსილი, მაგრამ ნამდვილი განკარგვის შემთხვევაში მიღებულ სასყიდელში გამოიხატება. 2. ხელყოფის კონდიქციით პასუსმგებლობის ფარგლები შეიძლება გაფართო-

<sup>62</sup> იხ. სქოლიო 15, 82.

<sup>63</sup> იქვე, 83.  
<sup>64</sup> იქვე.

ვდეს იმის მიხედვით, იყო თუ არა ხელმყოფი კეთილსინდისიერი. კერძოდ, მისი არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში ანაზღაურებას ექვემდებარება არა მხოლოდ არაუფლებამოსილი პირის მიერ მიღებული სასყიდელი, არამედ მოგებაც სკ-ის 985-ე მუხლი შესაბამისად. თუმცა წინამდებარე დავის ფარგლებში არანაირი მოგება არაკეთილსინდისიერ ხელმყოფ პირებს არ მიუღიათ. 3. დელიქტის საგანი ზიანის ანაზღაურებაა, რაც წინამდებარე დავის ფარგლებში ბინის ღირებულებაში გამოიხატება. კერძოდ, ღირებულების იმ ოდენობაში, რაც ბინას ექნებოდა მეორე ნასყიდობის ბათილობის შემთხვევაში მოსარჩელეს უკან რომ დაბრუნებოდა. 4. ზიანისა და სასყიდლის ოდენობა შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში ერთმანეთის ტოლი არც იყოს. აქედან გამომდინარე, განმსაზღვრელია, თუ რას ითხოვს მოსარჩელე. წინამდებარე დავის ფარგლებში მან მოითხოვა სასყიდლის ანაზღაურება სწორი სამართლებრივი საფუძვლით და, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მან შეცვალა საპელაციო სასამართლოს კვალიფიკაცია ბინის ღირებულების სასარგებლოდ, თანაც ისე, რომ ეს უკანასკნელი გამდიდრებად ჩათვალა, არსებითად არასწორია. მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს როგორც ზიანის, ასევე გამდიდრების ანაზღაურებაც, თუმცა არა ერთდროულად. მაგალითად: 4.1. თუ ბინის ღირებულება შეადგენს 170 000 ლარს, ხოლო სასყიდელი 150 000 ლარია, მოპასუხის ბრალეულობის შემთხვევაში, მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს 170 000 ლარის, როგორც ზიანის ანაზღაურება, რომელიც მოიცავს სასყიდელსაც. თუ მოპასუხის ბრალეულობა არ დგინდება, მაშინ მოსარჩელე მოითხოვს მხოლოდ 150 000 ლარს. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხის ბრალეულობა მოგვიანებით დადგინდება, როგორც ახლად აღმოჩენილი გარემოება, მოსარჩელეს შეეძლება, მოითხოვოს დარჩენილი 20 000 ლარის, როგორც ზიანის ანაზღაურება. 4.2. იმ შემთხვევაში, თუ ბინის ღირებულება შეადგენს 130 000 ლარს, ხოლო სასყიდელი 150 000 ლარია, მოპასუხის ბრალეულობისგან დამოუკიდებლად, მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს 150 000 ლარის ანაზღაურება, თუმცა თუ მოსარჩელე ითხოვს არა

სასყიდლის, არამედ ზიანის ანაზღაურებას, სასამართლოს არ აქვს უფლება, მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია. 4.3. იმ შემთხვევაში, თუ ზიანისა და გამდიდრების მოთხოვნა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შესაძლებელია და, ამასთანავე, მათი ოდენობა ერთმანეთის ტოლია, მაშინ ყველაზე მართებული იქნება მოსარჩელემ გადაწყვიტოს საკითხი იმის თაობაზე, თუ რომელი მათგანის ანაზღაურება მოითხოვოს. ასეთ შეთხვევაში უპირატესად გასათვალისწინებელი კრიტერიუმები უნდა იყოს მტკიცების ტვირთი, ანუ ის, თუ რომელი მოთხოვნის წინაპირობების დადგენა იქნება უფრო შესაძლებელი კონკრეტული დავის ფარგლებში და ასევე მოთხოვნათა ხანდაზმულობა, რომელიც დელიქტური მოთხოვნის შემთხვევაში სკ-ის 1008-ე მუხლის მიხედვით 3 ნელს შეადგენს, ხოლო ხელყოფის კონდიქციით მოთხოვნისას კი გამოიყენება სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ზოგადი, საერთო ხანდაზმულობის 10 ნლიანი ვადა.

## VI. რამდენიმე არაუფლებამოსილი პირის მიერ სხვისი ქონების გადაყიდვა

მეორე საკითხი, რომელსაც ყურადღების მიღმა ტოვებს სასამართლო, შეეხება შემდეგს: ვინ უნდა აგოს პასუხი ხელყოფის კონდიქციის ფარგლებში რამდენიმე არაუფლებამოსილი პირის მიერ სხვისი ქონების გადაყიდვის შემთხვევაში? წინამდებარე დავის ფარგლებში ასეთი სახის პასუხისმგებლობა შეიძლებოდა დამდგარიყო მოსარჩელის დეიდაშვილის და არა თანამოპასუხების მიმართ. მიუხედავად ამისა, თანამოპასუხების პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მაგივრად მოსარჩელის დეიდაშვილს უნდა ეგო პასუხი ხელყოფის კონდიქციით, არ არის გასაზიარებელი. კერძოდ, თუ მოპარული ან დაკარგული ნივთის მესამე პირებზე რამდენჯერმე გაყიდვა მოხდა, უფლებამოსილ პირს თვითონ შეუძლია აირჩიოს, თუ რომელ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე დართავს ნებას და რომელი გამყიდველისგან მოითხოვს

მიღებულის დაპრუნებას.<sup>65</sup> მოცემული დავის ფარგლებში პირველი ნასყიდობის ხელშეკრულება, სწორედ მოსარჩელის მოთხოვნის შესაბამისად, ბათილად იქნა ცნობილი, ხოლო მეორე ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში დარჩა შემძენის კეთილსინდისიერების გამო. რაც შეეხება ხელმყოფ პირს - რა თქმა უნდა - ხელყოფა განხორციელებულია არა მარტო თანამოპასუხების, არამედ მოსარჩელის დეიდაშვილის მიერაც, თუმცა ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, უფლებამოსილი პირი თვითონ ირჩევს მისთვის ფინანსურად ყველაზე უფრო ხელსაყრელ ვარიანტს ხელმყოფის არჩევისას. აქედან გამომდინარე, მართალია, სასამართლომ სწორად არ გაიზიარა თანამოპასუხების პოზიცია, თუმცა არანაირი მსჯელობა-დასაბუთება ამ თვალსაზრისით რომელიმე ინსტანციის სასამართლოს მხრიდან წარმოდგენილი არ არის.

## **VII. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა ყალბი მინდობილობის საფუძველზე**

სასამართლო არ მსჯელობს არც ყალბი წარმომადგენლობითი დოკუმენტის (მინდობილობის) საფუძველზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის საკითხზე. პირველი ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას თანამოპასუხები მიენდვნენ მოსარჩელის დეიდაშვილის მიერ წარდგენილ გაყალბებულ მინდობილობას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში საჯარო რეესტრის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმაციაზე საუბარი უადგილოა, ხოლო რაც შეეხება „წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის უტყუარობის პრეზუმაციას“, ასეთს ქართული სამოქალაქო სამართალი არ იცნობს.<sup>66</sup> შესაბამისად, მინდობილობის მიმართ ნდობის დაცვა ვერ დაეფუძნება საჯარო რეესტრის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმაციას. აქედან გამომდინარე, თანამოპასუხების მხრიდან ყალბი მინდობილობის

მიმართ ნდობის არსებობა ვერ ჩაითვლება მათი კეთილსინდისიერ შემძენად ცნობის საფუძვლად. ამ შემთხვევაშიც სასამართლოს სწორი პოზიცია ჰქონდა არჩეული, თუმცა არავითარი არგუმენტაციით ეს პოზიცია დასაბუთებული არ არის.

## **VIII. ხელმყოფი პირების სოლიდარული პასუხისმგებლობა**

სასამართლო ეხება ხელმყოფი პირების სოლიდარული პასუხისმგებლობის საკითხს, თუმცა წარმოდგენილი მსჯელობა არც ამ შემთხვევაში არ არის სრულყოფილი. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასყიდლიანი განკარგვის შემთხვევაში დაპრუნებას ექვემდებარება საგნის განკარგვის შედეგად მიღებული ფასი. ამდენად, პასუხისმგებლობაც უნდა განისაზღვროს ინდივიდუალურად, მიღებული ფასიდან თითოეულის წილის შესაბამისად. აღნიშნული განმარტება არ არის მართებული და ამ ნაწილში გასაზიარებელია საკასაციო სასამართლოს მსჯელობა, რომელმაც არჩევანი სოლიდარული პასუხისმგებლობის სასარგებლოდ გააკეთა. სკ-ის 464-ე მუხლის თანახმად, სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით. წინამდებარე დავის ფარგლებში დადგინდა, რომ სადაცო ბინა თანამოპასუხების თანასაკუთრებად დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, თუმცა საქმეში არ იყო მოცემული არანაირი მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული საკუთრება თანამესაკუთრებს შორის წილობრივად იყო გაყოფილი. შესაბამისად, თანამოპასუხები უნდა ჩათვლილიყვნენ თანაზიარ მესაკუთრებად სკ-ის 953-ე მუხლის გაგებით. ასეთ შემთხვევაში კი გამოიყენება სკ-ის 959-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, საზიარო საგნის განკარგვა ხდება მხოლოდ ერთობლივად, რაც ყველა მოწილის თანხმობას გულისხმობს. საზიარო უფლება უკავშირდება რა რამდენიმე პირის საერთო უფლებას, ივარაუდება, რომ საქმე ეხება სოლი-

<sup>65</sup> ჰ. შნიტგერი/ლ. შატბერაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი [21.04.2020], მუხლი 982, მე-13 ველი.

<sup>66</sup> გ. რუსიაშვილი/ლ. სირდაძე/დ. ეგნატაშვილი, სანივთო სამართალი, თბილისი 2019, 326.

დარულ ვალდებულებას.<sup>67</sup> შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ხელყოფის კონდიქციით პასუხისმგების შემთხვევაშიც, თანამესაკუთრებით სოლიდარული წესით აგონ პასუხი უფლებამოსილი პირის წინაშე. ასეთ შემთხვევაში სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძველი არის კანონი, რომელიც თანაზიარ საკუთრებით რეჟიმს განსაზღვრავს და პასუხისმგებლობის ეს ფორმა უნდა გავრცელდეს თანაზიარი საკუთრების განკარგვის სანაცვლოდ მიღებული სასყიდლის ანაზღაურების ვალდებულებაზეც.

#### **IX. მემკვიდრეობითი სამართლისა და ხელყოფის კონდიქციის ურთიერთმიმართება**

მოცემული თვალსაზრით საინტერესოა უზენაესი სასამართლოს კიდევ ერთი გადაწყვეტილება.<sup>68</sup> მამკვიდრებელი 2000 წლის 27 დეკემბერს გარდაიცვალა. გარდაცვლილის სამკვიდრო მასაში შედიოდა უძრავი ქონება. მამკვიდრებელს დარჩა ორი პირველი რიგის მემკვიდრე (შვილები) - მოპასუხე და მოსარჩელის მეუღლე. მამკვიდრებელი გარდაცვალებამდე ცხოვრობდა მოსარჩელესთან და მის მეუღლესთან ერთად. დედის გარდაცვალების შემდეგ მოსარჩელემ და მისმა მეუღლემ გააგრძელეს ცხოვრება იმავე სახლში. ეს უკანასკნელი 2007 წლის 28 სექტემბერს გარდაიცვალა. 2008 წლის 21 ივლისს მოსარჩელემ, როგორც პირველი რიგის მემკვიდრემ, სრულად მიიღო მისი მეუღლის დანაშთი ქონება. შესაბამისად, მის სახელზე გაიცა კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობა. ძმის გარდაცვალების შემდეგ, მოპასუხე, როგორც პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე, სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე გახდა გარდაცვლილი დედის დანაშთი ქონების მესაკუთრე. მან სადაც ქონება, რომლის საპაზრო ღირებულება 63 180 ლარი იყო, ნასყიდობის საფუძველზე გაასხვისა მესამე პირზე. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპა-

სუხის წინააღმდეგ იმ საფუძვლით, რომ გასხვისებული ქონება მის ან გარდაცვლილ მეუღლესაც ეკუთვნოდა. მან მოითხოვა მოპასუხისთვის გასხვისებული ქონების 1/4 ნაწილის ღირებულების, 15 795 ლარის, დაკისრება. მოპასუხე ამტკიცებდა, რომ მოსარჩელის მეუღლე მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში ფაქტობრივი ფლობით არ დაუფლებია სამკვიდრო ქონებას და მხოლოდ ის არის ამ ქონების ერთადერთი მესაკუთრე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელე ცნობილ იქნა სადაც ქონებაზე სავალდებულო წილის 1/4 მესაკუთრედ. მოპასუხეს დაეკისრა 15 795 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხემ სამკვიდრო ქონება არა ანდერძისმიერი, არამედ კანონისმიერი მემკვიდრეობით მიიღო, რაც გამორიცხავდა სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლებას. საკასაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია მოსარჩელის/კასატორის პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და არასწორად განმარტა კანონი.

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო პალატის მიერ სარჩელის უარყოფას შემდეგი დასაბუთებით: სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა და სამემკვიდრეო უფლებების განხორციელება უკავშირდება არა მარტო სამკვიდროს გახსნის მომენტს, არამედ მემკვიდრეთა მხრიდან გარკვეული იურიდიული მოქმედების შესრულებას. მართალია, კანონის თანახმად, სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრება ხდება მისი გახსნის მომენტიდან, მაგრამ, როდესაც სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეთა რიცხვი ერთზე მეტია, მაშინ აუცილებელია, თითოეულმა მემკვიდრემ კანონით დადგენილი ექვსთვიანი ვადის დაცვით შეასრულოს სამკვიდროს მიღებისათვის აუცილებელი მოქმედება. სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლების დროს განმსაზღვრელია იურიდიული მნიშვნელობის მქონე კომპონენტები - სამკვიდროს მართვა-დაუფლებისკენ მიმართული ნება და ამ ნების მამკვიდრებლის გა-

<sup>67</sup> გ. ბიჭია, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი 2018, 94.

<sup>68</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 07 აპრილის გადაწყვეტილება № ას-1304-2019.

რდაცვალებიდან 6 თვეში გამოვლენა. ფაქტობრივი ფლობისკენ მიმართული ნებისმიერი მოქმედებიდან აშკარად უნდა იკვეთებოდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების სურვილი, მემკვიდრის ნება (სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა, რომლისთვისაც, ჩვეულებრივ, აუცილებელია ნების ნამდვილობა). მემკვიდრის ყველა ამგვარი მოქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობა (მაგ., მამკვიდრებლის საცხოვრებელ სახლში ცხოვრება, მამკვიდრებლის ნივთების, როგორც საკუთარის მიღება და განკარგვა, სამკვიდროს ფაქტობრივი მართვა, მოვლა და სხვა).

საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მამკვიდრებელი ცხოვრობდა მოსარჩელესთან და მის მეუღლესთან ერთად, სადაც მისი კუთვნილი მოძრავი ნივთებიც ინახებოდა. ასევე დადგენილია, რომ მამკვიდრებლის შვილმა, ანუ მოსარჩელის მეუღლემ, დედის გარდაცვალების შემდგომ გააგრძელა ცხოვრება იმავე საცხოვრებელ სახლში. ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლიობა (მემკვიდრის მუდმივი ცხოვრება ბინაში, სადაც მამკვიდრებლის მოძრავი ნივთები ინახება), ქმნიდა პრეზუმფციას, რომ მემკვიდრე, ანუ მოსარჩელის მეუღლე, ფაქტობრივად დაეუფლა მის საცხოვრებელ ბინაში არსებულ მამკვიდრებლის მოძრავ ნივთებს, რაც საკასაციო პალატისთვის საკმარისი აღმოჩნდა იმ დასკვნის გამოტანად, რომ მან დედის დანაშთი სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღო. კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხემ ვერ წარმოადგინა ისეთი მტკიცებულება, რომელიც გააქარწყლებდა მოსარჩელის მეუღლის მიერ გარდაცვლილის მოძრავი ქონების ფაქტობრივად დაუფლების ფაქტს. ამრიგად, მოსარჩელის ან გარდაცვლილი მეუღლე კანონის საფუძველზე, გახდა დედის დანაშთი უძრავი ქონების  $\frac{1}{2}$  ნაწილის მესაკუთრე. შესაბამისად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მეუღლის გარდაცვალების დროისათვის სამკვიდრო მასაში შედიოდა ასევე ბორჯომში მდებარე უძრავი ქონების ნახევარი, რომელიც ფაქტობრივი ფლობით მოსარჩელემ მიიღო (სკ-ის 1421-ე მუხლი) და გახდა მი-

სი მესაკუთრე (სკ-ის 1433-ე მუხლი). აქედან გამომდინარე, მოპასუხემ უფლებამოსილი პირის (მოსარჩელის) თანხმობის გარეშე გაასხვისა დავის საგანი, გამდიდრდა მოსარჩელის ხარჯზე. ამ მსჯელობის საფუძველზე, საკასაციო პალატამ მოპასუხე ვალდებულად ცნო, გადაეცა მოსარჩელისთვის უსაფუძვლოდ მიღებული. თუმცა, რადგანაც მოსარჩელე მხოლოდ გასხვისებული ქონების  $\frac{1}{4}$  ნაწილის კომპენსაციას ითხოვდა, სასამართლოც მხოლოდ ამ სასარჩელო მოთხოვნით შემოიფარგლა და იმსჯელა, თუ რომელი სამართლებრივი საფუძველი ამართლებდა ამ მოთხოვნას. სასამართლომ უურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მოპასუხეს ევალდებოდა ნოტარიუსისათვის იმავე რიგის მემკვიდრის (მოსარჩელის მეუღლის) არსებობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება და მისი სამკვიდროს მისაღებად მოწვევისთვის სათანადო ზომების მიღება (სკ-ის 1478-ე მუხლი). ამდენად, სასამართლომ დადგენილად ცნო მოპასუხის გამდიდრება მოსარჩელის ხარჯზე და სკ-ის 982 I მუხლის საფუძველზე უძრავი ქონების  $\frac{1}{4}$  ნაწილის ღირებულების დაბრუნების ვალდებულება. სკ-ის 982-ე მუხლის მიზანთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ განსახილვები ნორმით გათვალისწინებული „ზიანი“ წარმოადგენს არა რეალურად ზიანის ანაზღაურების შემთხვევას<sup>69</sup>, არამედ გულისხმობს გამდიდრების გათანაბრებას. სისტემური განმარტების საფუძველზე სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ხელმყოფის მხრიდან უფლების მქონე პირისთვის მის უფლებაში ჩარევის გათანაბრება. აქედან გამომდინარე, სასამართლო „ზიანი“ განმარტა, როგორც მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი ღირებულების ანაზღაურება, ანუ არა ზიანის ანაზღაურება, არამედ გამდიდრების გათანაბრების შემთხვევა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტება სავალდებულო წილთან დაკავშირებით გასაზიარებელია, რადგანაც სკ-ის 1371-

<sup>69</sup> მიუხედავად ამისა, სასამართლო გადაწყვეტილებაში თავად მაინც ზიანის ანაზღაურებაზე საუბრობს.

ე მუხლის თანახმად, სავალდებულო წილის ინსტიტუტის მოქმედების სფერო ანდერძის არსებობით განისაზღვრება, ეს უკანასკნელი კი წინამდებარე დავაში არ არსებობდა. საკასაციო სასამართლომ მართებულად დაადგინა მოსარჩელის მეუღლის მიერ სამკვიდროს დაუფლების ფაქტი სკ-ის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე. კერძოდ, სამკვიდროს ფლობის ფაქტობრივ დაწყებად შეიძლება განიმარტოს მემკვიდრის მიერ იმ ბინაში ცხოვრება, რომლის ნახევარიც სკ-ის 1433-ე მუხლის მიხედვით მისი საკუთრებაა. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მეუღლე მამკვიდრებლის გარდაცვალებამდეც და გარდაცვალების შემდეგაც ცხოვრობდა სადაც ფართში. შესაბამისად, მის მიერ კუთვნილი სამკვიდრო ქონების მიღება სწორად იქნა დადგენილი საკასაციო სასამართლოს მიერ. მართალია, სკ-ის 1161-ე მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე მემკვიდრეობით მიღებული ქონება ითვლება მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად, თუმცა აღნიშნული დანაწესი მოქმედებს ხსენებული მეუღლის სიცოცხლის განმავლობაში. მისი გარდაცვალების შემთხვევაში ჩვეულებრივ გამოიყენება სკ-ის 1336-ე მუხლი, რომლის საფუძველზეც რეგისტრირებულ ქორნინებაში მყოფი მეუღლე ითვლება მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრედ. სწორედ აღნიშნულის საფუძველზე შეიძინა მოსარჩელემ საკუთრების უფლება მისი გარდაცვლილი მეუღლის უძრავ ქონებაზე, კერძოდ კი მხოლოდ აღნიშნული ქონების  $\frac{1}{2}$  ნაწილზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე დავის საგანს არ წარმოადგენდა მესამე პირისგან ქონების გამოთხვევა. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ მესამე პირი მიჩნეულ იქნა კეთილსინდისიერ შემძენად სხვა დავის ფარგლებში ან თავდაპირველმა მესაკუთრემ თავიდანვე არ ისარგებლა ვინდიკაციური მოთხოვნის უფლებით - ორივე შემთხვევაში სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, განიხილოს და მესამე პირს დააკისროს შესაბამისი ვალდებულება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასარჩელო მოთხოვნის საგანი იყო უძრავი ქონების ღირებულების ერთი მეოთხედის ანაზღაურება. მიუხედავად იმისა, რომ სკ-ის 1336-ე მუხლის საფუძ-

ველზე, ყოველი მემკვიდრე სარგებლობს სამკვიდროს მიღების თანასწორი უფლებით, სასამართლოს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ ემსჯელა მხოლოდ მოთხოვნილი თანხის ფარგლებში, გამართლებულია სსკ-ის 248-ე მუხლის გათვალისწინებით. აღნიშნულისგან დამოუკიდებლად, ცალკე შეფასების საგანია: 1. სწორად შეარჩია თუ არა საკასაციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად სკ-ის 982-ე მუხლი თუ დავა უნდა გადაწყვეტილიყო მემკვიდრეობის ან დელიქტური სამართლის ნორმების შესაბამისად? 2. იყო თუ არა საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სწორი, როდესაც მან მოპასუხეს დააკისრა 15 795 ლარის გადახდის ვალდებულება და, ზოგადად, რა არის სკ-ის 982-ე მუხლის მოწესრიგების საგანი განკარგვით ხელყოფისას?

პირველი საკითხის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ, სკ-ის 1433-ე მუხლის საფუძველზე, მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან. როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელყოფის კონდიქციის გამოყენების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა არის კონდიქციის კრედიტორის იდენტიფიცირება მიუთვებული სამართლებრივი სფეროს თეორიის მიხედვით. წინამდებარე შემთხვევაში, სწორედ აღნიშნული თეორიიდან გამომდინარეობს, რომ სკ-ის 1433-ე მუხლი არის ის კანონისმიერი საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც კანონმდებელმა კონკრეტული სამართლებრივი პოზიცია სამკვიდროზე მიაკუთვნა შესაბამის მემკვიდრეს. აქედან გამომდინარე, მხოლოდ შესაბამისი მემკვიდრის გადასაწყვეტია, მიიღებს თუ არა ის მისთვის განკუთვნილ სამკვიდრო ქონებას. სხვა პირის, მათ შორის სხვა მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მასაში შემავალი და სხვისთვის განკუთვნილი ქონების ფაქტობრივი დაუფლებისა და შესაბამისი რეგისტრაციის შემთხვევაში, სახეზე გვაქვს ხელყოფის კონდიქციის შემადგენლობა, რომელიც განხორციელებულია კონდიქციის კრედიტორის თანხმობის გარეშე ქონებით სარგებლობით. აქედან გამომდინარე, ამ ეჭაპზე უკვე ვეღარ იქნება გამოყენებული მემკვიდრეობის სამართლის ნორმები და შეიძლება ვი-

ხელმძღვანელოთ ხელყოფის კონდიქციის დანაწესით, რა შემთხვევაშიც, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს მიღებული ქონების შესაბამისი ნაწილის ნატურით დაბრუნების შესაძლებლობა, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში მისი ობიექტური ღირებულების ანაზღაურების საკითხი.<sup>70</sup> იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელიც უკანონოდ მიიღებს სამკვიდრო ქონებას, შემდგომში გაასხვისებს მას, ამ შემთხვევაშიც შეიძლება სახეზე იყოს ხელყოფის კონდიქცია, ოღონდ განსხვავებული შემადგენლობით, კერძოდ ხელყოფა განკარგვით. ცხადია, ასეთ შემთხვევაშიც მემკვიდრეებს შორის წარმოშობილი დავა არ უნდა იქნეს გადაწყვეტილი სამეცნიერო სამართლის ნორმების შესაბამისად. კერძოდ, სკ-ის 1457-ე მუხლი აწესრიგებს შემთხვევას, როდესაც მემკვიდრეები თვითონ აღნევენ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ხდება დათმობილი სამკვიდრო ქონების სანაცვლოდ შეთანხმებული კომპენსაციის გადახდა. აღნიშნული წესი ვერ იქნება გამოყენებული წინამდებარე დავის ფარგლებში, რადგანაც არანაირ შეთანხმებას მემკვიდრეებს შორის ადგილი არ ჰქონია. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, წინამდებარე დავაში მოცემული შემთხვევა მართებულად არ იქნა გადაწყვეტილი მემკვიდრეობის სამართლის ნორმების შესაბამისად.

## X. დელიქტური მოთხოვნისა და ხელყოფის კონდიქციის კონკურენცია

იმისათვის, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მოთხოვნა წარმოიშვას 992-ე მუხლის საფუძველზე, საჭიროა, სახეზე იყოს მისი ყველა წინაპირობა: 1. ზიანი - სხვის საკუთრებაში არსებული ქონების დაუფლებით, შესაბამისი რეგისტრაციის განხორციელებითა და გასხვისების გზით, მოსარჩელემ საკუთარი ნებისგან დამოუკიდებლად განიცადა რეალური ქონებრივი დანაკლისი, რაც საკუთრების დაკარგვაში გამოიხატება. 2. მართლსაწინააღმდეგო ქმედება - სკ-ის 1433-ე მუხლით დაცულია მემკვიდრის საკუთრების უფლება, ხოლო ეს უკანასკნელი

<sup>70</sup> იხ. სქოლიო 15, 82.

კი აბსოლუტურ სიკეთეთა რანგს განეკუთვნება. შესაბამისად, მისი დარღვევისას მართლინიააღმდეგობა ივარაუდება. 3. ბრალეულობა - საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, ცალსახაა, რომ მოპასუხე მოქმედებდა განზრო, როდესაც არ გაითვალისწინა სხვისი საკუთრების უფლების არსებობა სადაც ქონებაზე და ყოველგვარი თანხმობის გარეშე გაასხვისა იგი მესამე პირზე. 4. მიზეზობრივი კავშირი - აღნიშნული პასუხისმგებლობის ელემენტი უნდა დადგინდეს სამი სამართლებრივი კატეგორიის საფუძველზე - ა) ეკვივალენტურობის თეორია - იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე მესაკუთრის თანხმობის გარეშე არ განკარგვდა ამ უკანასკნელის ქონებას, მაშინ მოსარჩელე არ დაკარგვდა საკუთრებას და არ მიადგებოდა ზიანი ქონების საბაზრო ღირებულების დაკარგვის სახით. ბ) ადეკვატურობის თეორია - ზოგად ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით არ არის სრულებით არასავარაუდო, რომ მეორე მემკვიდრის წილის საკუთარ სახელზე რეგისტრაციით და შემდგომ მისი გასხვისებით ამ პირმა დაკარგოს საკუთრება და მიადგეს ზიანი. უფრო მეტიც, ეს ამ ქმედების პირდაპირი, უშუალო შედეგია. გ) ნორმის დაცვითი მიზანი - იმის გათვალისწინებით, რომ სახეზე გვაქვს სხვისი აბსოლუტური სიკეთის უშუალო ხელყოფა, ასეთ შემთხვევაში ცალკე არ უნდა იქნეს დადგენილი კონკრეტულად იმ ნორმის დაცვითი მიზანი, რომელიც მოპასუხის ქმედებით იქნა დარღვეული. აბსოლუტური სიკეთე დაცულია ნებისმიერი სახის ხელყოფის გან და, შესაბამისად, მიზეზ-შედეგობრივი კავშირიც დადგენილად უნდა ჩაითვალოს. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მხარეთა შორის ურთიერთობის შეფასება სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე გამართლებულია.

შემდგომი საკითხია მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის კვალიფიკაცია ხელყოფის კონდიქციის საფუძველზე - 1. რაიმეს მოპოვება - მოპასუხემ არაუფლებამოსილი განკარგვის გზით მოიპოვა სასყიდელი. 2. ხელყოფით - მოპასუხემ მოსარჩელისთვის მიკუთვნებული სამართლებრივი პოზიციის განკარგვა-გამოყენების ექსკლუზიური უფლებამოსილება მიითვისა, რაც გამოიხატა კონდიქციის კრედი-

ტორის თანხმობის გარეშე სადავო ქონებაზე მესაკუთრედ რეგისტრაციასა და შემდგომ ამ ქონების მესამე პირზე გასხვისებაში. 3. კონდიქციის კრედიტორის ხარჯზე - სადავო უძრავი ქონება მოსარჩელის საკუთრება გახდა სკ-ის 1433-ე მუხლის საფუძველზე, ფაქტობრივი დაუფლების მომენტიდან. შესაბამისად, „მიუთვნებული სამართლებრივი სფეროს“ თეორიის ზემოთ ხსენებულ ოთხივე ელემენტზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მოპასუხე მოსარჩელის ე. ი. კონდიქციის კრედიტორის ხარჯზე გამდიდრდა. 4. უსაფუძვლოდ - ხელყოფის საფუძველზე მოპოვებულ სასყიდელს მართლწესრიგი მესაკუთრეს აკუთვნებს. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის ურთიერთობის შეფასება სკ-ის 982-ე მუხლის საფუძველზეც გამართლებულია.

როგორც ვხედავთ, წინამდებარე დავის ფარგლებში თავდაპირველ მესაკუთრეს აქვს როგორც დელიქტური, ასევე კონდიქციური მოთხოვნის უფლებაც. შესაბამისად, მოსარჩელეს აქვს სრული უფლება, აირჩიოს მისთვის ყველაზე ხელსაყრელი სამართლებრივი საშუალება, რომლის გადასაწყვეტადაც მან უნდა გაითვალისწინოს სამი არსებითი გარემოება: 1. მტკიცების ტვირთი - იმისდა მიხედვით, თუ რომელი სამართლებრივი საფუძვლით იდავებს კონკრეტული დავის ფარგლებში მოსარჩელე, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებები შეიძლება იყოს რთულად ან ადვილად დასამტკიცებელი. 2. ხანდაზმულობა - დელიქტური მოთხოვნის ხანდაზმულობა, სკ-ის 1008-ე მუხლის მიხედვით, შეადგენს 3 წელს, ხოლო კონდიქციური მოთხოვნისა კი სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე - 10 წელს. 3. გამდიდრების არარსებობაზე მითითების უფლება - აღნიშნულ შესაგებელს თანაბრად იცნობს როგორც შესრულების, ისე ხელყოფის კონდიქცია.<sup>71</sup> მხარეთა შორის ურთიერთობის დელიქტად კვალიფიკირის შემთხვევაში, გამდიდრების არარსებობის მიუხედავად, ამ უფლებით მაინც ვერ ისარგებლებს კეთილსინდისიერი, მაგრამ უხეში ან მსუბუქი გაუფრთხილებლობით მოქმედი

ხელყოფი. 4. მოთხოვნის საგანი - ხელყოფის კონდიქციის მოთხოვნის საგანია სასყიდელი, რომელიც არაუფლებამოსილმა გამსხვისებელმა განკარგვის სანაცვლოდ მიიღო, ხოლო დელიქტური მოთხოვნისა კი ზიანი, რომელიც გასხვისებული ნივთის საბაზრო ღირებულებაში გამოიხატება. ეს უკანასკნელი საკითხი არსებული მოწესრიგების გათვალისწინებით, საჭიროებს შემდგომ დაკონკრეტება-დაზუსტებას. კერძოდ, ხელყოფის კონდიქციის ფარგლებში უკან დაბრუნების საგანი და მოცულობა განისაზღვრება შემდეგნაირად: თავდაპირველად უნდა შეფასდეს უსაფუძვლოდ მიღებულის ნატურით დაბრუნების შესაძლებლობა და მხოლოდ აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი ობიექტური ღირებულების ანაზღაურება, ზუსტად იმგვარად, როგორც ეს შესრულების კონდიქციის ფარგლებში არის მოწესრიგებული. თუმცა აღნიშნული ზოგადი დანაწესიან არსებობს გამონაკლისი, რომელიც ქონების არაუფლებამოსილი განკარგვის შემთხვევაში ხშირად იჩენს თავს. კერძოდ, ხშირად გასასხვისებელი ქონების ობიექტური ანუ საბაზრო ღირებულება არ არის ტოლი მხარეთა მიერ შეთანხმებული გარიგების ფასისა. ეს უკანასკნელი შეიძლება ჩამოუვარდებოდეს ან აღემატებოდეს ნივთის საბაზრო ღირებულებას. აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ გერმანიის სამართალში ცხარე კამათის საგანს წარმოადგენდა ის საკითხი, თუ რომელი მათგანი უნდა ყოფილიყო ხელყოფის კონდიქციით გამოსათხოვი ღირებულება. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 816-ე პარაგრაფის სიტყვასიტყვითი განმარტებისა და ასევე სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ხელყოფის კონდიქციის საფუძველზე დასაშვებია არაუფლებამოსილი გამსხვისებლის მიერ მიღებული სასყიდლის მოთხოვნა.<sup>72</sup> სკ-ის 982-ე მუხლი ამ თვალსაზრისით ძალიან პრობლემურ მოწესრიგებას გვთავაზობს, რადგანაც მასში საუბარია ზიანის ანაზღაურებაზე, რაც ცალსახად სარედაქციო ხასიათის შეცდომაა და აბსოლუტურად აცდენილია იმ დისკუსიას, რომელიც გერმანიის სამეცნიერო წრეებში წლების განმა-

<sup>71</sup> იქვე, 83.

<sup>72</sup> ახ. სქოლიო 25, 611.

ვლობაში მიმდინარეობდა. ამ თვალსაზრისით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება მართებულია, როდესაც ის ამბობს, რომ ნორმაში მოხსენიებული ზიანის ანაზღაურება გულისხმობს გამდიდრების გათანაბრებას და საწინააღმდეგო განმარტება შეუსაბამო იქნებოდა უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის მიზანთან. თუმცა, მეორე მხრივ, ქართულ სასამართლოებს ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეთ შემდეგი საკითხი: რა ექვემდებარება ანაზღაურებას კონდიქციის მოვალის მხრიდან - ნივთის საბაზრო ღირებულება თუ სასყიდელი? გასაზიარებელია ზემოთ ხსენებული მოსაზრება, რომელიც გამოთქმულია კონდიქციის მოვალისადმი სასყიდლის დაკისრების სასარგებლოდ. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი არ არის ნივთის ობიექტური ღირებულების ტოლი, ხელმყოფმა უნდა დაპრუნოს მიღებული სასყიდელი, რადგანაც ხელმყოფს არ უნდა ჰქონდეს ნივთის ობიექტურ ღირებულებას აღმატებული მოგების დატოვების შესაძლებლობა.<sup>73</sup> თუმცა აღნიშნული მოსაზრებისგან დამოუკიდებლადაც შეიძლება იმის თქმა, რომ სასყიდელი არის ის საგანი, რომლითაც არაუფლებამოსილი განმკარგავი უსაფუძვლოდაა გამდიდრებული, ე. ი. უსაფუძვლოდ მიიღო ანაზღაურება და აქედან გამომდინარე, სასყიდელი უკან დაპრუნებას ექვემდებარება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის ნივთის ობიექტურ ღირებულებას აღმატება, არამედ მაშინაც როდესაც მას ჩამოუვარდება ან მისი ტოლია. შესაბამისად, ნივთის ობიექტური ღირებულება არის ხელყოფის კონდიქციის საგანი ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ხელყოფა არ ხდება სასყიდლიანი განკარგვის გზით და ამასთან ერთად უსაფუძვლოდ მიღებულის უკან დაპრუნებაც ნატურით შეუძლებელია. თუმცა თუ ხელყოფა სასყიდლიანი განკარგვის მეშვეობით მოხდა და შესაბამისად გამორიცხულია თავდაპირველი ქონების ნატურით დაპრუნებაც, ასეთ შემთხვევაში ხელყოფის კონდიქციით დაპრუნებას უნდა დაექვემდებაროს სასყიდელი, ხოლო ნივთის საბაზრო ღირებულების ანაზღაურება, როგორც შესაძლო აღტერნატიული მო-

თხოვნა, უნდა დაექვემდებაროს სკ-ის 992-ე მუხლს.

რაც შეეხება წინამდებარე დავას - მოსარჩეულები მოითხოვა სადავო უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების ერთი მეოთხედის ანაზღაურება, რაც თავისი არსით არის ზიანი დელიქტური სამართლის გაგებით. სასამართლომ აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად კი განსაზღვრა სკ-ის 982-ე მუხლი, რაც არ არის მართებული, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის ყველა პირობა საქმეში დგინდებოდა. მოსარჩელის მოთხოვნიდან გამომდინარე, დავა უნდა გადაწყვეტილოყო სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე. აღნიშნული კი დაკავშირებულია ზემოთ ხსენებულ შედეგებთან. სკ-ის 982-ე მუხლის გამოყენება კი გამართლებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხის მიერ მიღებულ სასყიდელს, თუნდაც ეს უკანასკნელი ტოლი ყოფილოყო ნივთის საბაზრო ღირებულებისა. შესაბამისად, თუ სასამართლო სამომავლოდ არ გაიზიარებს ზემოთ ხსენებულ მსჯელობას, მაშინ ის თავდაყირა დააყენებს დისპოზიციურობის პრინციპს, რომლის თანახმადაც, მხარე თვითონ განსაზღვრავს დავის საგანს.

## XI. უსასყიდლო განკარგვით გამოწვეული ხელყოფის კონდიქციის მოქმედების სფერო

ხელყოფის კონდიქციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია უზენაესი სასამართლოს კიდევ ერთი გადაწყვეტილება:<sup>74</sup> სადავო ფართში 1987 წლისათვის რეგისტრირებული იყვნენ - პირველი, მეორე და მესამე მოსარჩელეები, ასევე პირველი და მეორე მოსარჩელეების ბაბუა, ანუ მჩუქებელი. 1992 წელს მჩუქებელმა განახორციელა სადავო საცხოვრებელი ბინის პრივატიზება საკუთარ სახელზე. ბინის პრივატიზაციაზე თანხმობა განაცხადა მესამე მოსარჩელემ (ამ დროისათვის პირველი და მეორე მოსარჩელეები არასრულწლოვნები იყვნენ). პრივატიზაციის ხელშეკრულება აღიროცხა ტექინვენტარიზაციის ბიუროში. მჩუქებელმა ტე-

<sup>73</sup> იხ. სქოლიო 15, 76.

<sup>74</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 28 თებერვლის განჩინება № ას-471-471-2018.

ქინვენტარიზაციის ბიუროში მის სახელზე რიცხული ფართის ნაწილი - 46.54 კვ. მ. 2010 წელს საკუთრებად დაირეგისტრირა საჯარო რეესტრში. უფლების დამდგენ ღოკუმენტად მიეთითა პრივატიზაციის ხელშეკრულება. 2010 წელს მჩუქებელმა საკუთარ მეუღლეს, ანუ მოპასუხეს, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა სადავო, 46.54 კვ. მ ფართის მქონე უძრავი ქონება. 2016 წელს, მოსარჩელებმა სარჩელი აღძრეს მოპასუხის მიმართ სადავო ქონების 3/8 ნაწილზე მესაკუთრედ ცნობისა და ჩუქების ხელშეკრულების ამ ნაწილში ბათილად ცნობის მოთხოვნით. ისინი ამტკიცებდნენ, რომ დანარჩენ ოჯახის წევრებთან ერთად იყვნენ პრივატიზებამდე სადავო ქონების დამქირავებლები და 3/8 წილი მათ საკუთრებას წარმოადგენდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხესა და მჩუქებელს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულება 3/8 ნაწილში და მოსარჩელები ცნობილ იქნენ დასაჩუქრებულის სახელზე აღრიცხული სადავო უძრავი ნივთის 3/8 ნაწილის (თითოეული 1/8 წილის) მესაკუთრებად. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 01 თებერვლის №107 დადგენილების, საქართველოს სსრ საბინაო კოდექსისა და სკ-ის შესაბამისი მუხლები. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ. აპელანტის მტკიცებით, როგორც პრივატიზაციის ხელშეკრულების, ასევე, ტექნიკური ბიუროს არქივისა და საჯარო რეესტრის მონაცემებით, მჩუქებელი აღრიცხული იყო უძრავი ქონების მესაკუთრედ. მეუღლეების თანაცხოვრების პერიოდში ქონებაზე პრეტენზია არავის განუცხადებია, არსებობდა პინის სამი ორდერი, რომლის შინაარსიდან აშკარად ჩანდა, რომ სადავო ქონებაზე, გარდა მჩუქებლისა, არავის არ შეეძლო, ჰქონდა პრეტენზია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის დასკვნით, მოსარჩელები წარმოადგენდნენ 1987 წლის ქირავნობის ხელშეკრულებით სადავო ბინის დამქირავებლებს (ძირითადი დამქირავებლის ოჯახის წევრებს) მჩუქებელთან ერთად და მათ უფლება ჰქონდათ ბინაზე.

პალატის დასკვნით, მჩუქებლის მიერ ბინის პრივატიზაციის პროცესში არსებობდა მოსარჩელეთა უფლება ბინაზე. პრივატიზაციის განხორციელება არ ნიშნავდა ძირითადი დამქირავებლის ოჯახის წევრების (დამქირავებლების) ბინაზე უფლების შეწყვეტას და მოსარჩელეთა სასარგებლოდ საკუთრების უფლების კანონით დადგენილი წესით აღიარებისა და დადასტურების შესაძლებლობის მოსპობას. მჩუქებელმა განკარგა უძრავი ქონება, რომელზედაც უფლება მოპოვებული ჰქონდათ მოსარჩელეებსაც, შესაბამისად, ჩუქების ხელშეკრულება სადავო ნაწილში არღვევდა საჯარო წესრიგსა და ზნეობის ნორმებს, რითაც უარყოფილ იქნა საკუთრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური ღირებულება და არსებობდა მისი ნაწილობრივ გაუქმების სამართლებრივი საფუძველი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად არ გაავრცელა მოცემულ შემთხვევაზე კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის მექანიზმი, რადგან სადავო გარიგება წარმოადგენდა მოპასუხესა და მის მეუღლეს/მჩუქებელს შორის დადებულ უსასყიდლო გარიგებას. შესაბამისად, მოპასუხისათვის იმთავითვე ცნობილი უნდა ყოფილიყო მეუღლის ოჯახური მდგომარეობაც და ის ფაქტი, რომ ქონებაზე საკუთრების უფლება მოსარჩელეებსაც ჰქონდათ.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო, თუმცა მან მაინც გააკეთა განმარტება დავის გადაწყვეტისათვის რელევანტურ გარემოებებთან დაკავშირებით. კერძოდ, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოპასუხის საკუთრებაში აღრიცხული უძრავი ქონების თანამესაკუთრებად ცნობის მოთხოვნა გამომდინარეობდა სკ-ის 990-ე მუხლის პირველი ნაწილიდან. მითითებული ნორმა ეხება უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნას, მისი რეგულირების სფეროც მესამე პირზე ნივთის უსასყიდ-

ლოდ გადაცემის შემთხვევას მოიცავს და ანეს-რიგებს არაუფლებამოსილი პირის მიერ უფლებამოსილი პირის ქონების განკარგვას. აღნიშნული მოთხოვნის არსებობისთვის საჭიროა შემდეგი წინაპირობები: უფლებამოსილი პირის უფლება მესამე პირისათვის გადაცემულ ქონებაზე და არაუფლებამოსილი პირის მიერ ამ ქონების მესამე პირისათვის უსასყიდლოდ გადაცემა. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის № 107 დადგენილების საფუძველზე მჩუქებელთან ერთად სადავო ქონებაზე უფლება მოსარჩელებსაც გააჩნდათ. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მსჯელობა, რომ მოსარჩელები არ წარმოადგენენ სადავო ბინის დამქირავებელს და არ გააჩნდათ რაიმე უფლება მასზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემოდათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც იყვნენ ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებელები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები. 107-ე დადგენილებით გათვალისწინებული საკუთრების უფლების მოსაპოვებლად მოსარჩელებს უვალებოდათ იმის დამტკიცება, რომ პრივატიზაციის დროისათვის წარმოადგენდნენ ბინის დამქირავებლებს, მოსარგებლებს, რომლებიც ცხოვრობდნენ და სარგებლობდნენ ბინით, რაც მათ შეძლეს უტყუარი და დასაშვები მტკიცებულებების სასამართლოსათვის წარდგენის გზით. კერძოდ, საბინაო პირობების შემოწმების შესახებ ცნობით, ბინის პრივატიზაციის დროს მესამე მოსარჩელის თანხმობითა და ორდერით დასტურდებოდა, რომ სადავო ბინის პრივატიზაციისას მჩუქებლის ოჯახი შედგებოდა რვა პირისაგან, რომელთა შორის იყვნენ მოსარჩელებიც. მოხმობილი ნორმების ანალიზით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზაციისას იმ პირთა თანაბარი უფლებებით სარგებლობა, რომლებიც წარმოადგენენ ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლებს ან მათი ოჯახის წევრებს. აღნიშნული ნორმატიული აქტი საცხოვრებელი სახლის (ბინის) არცერთ დამქირავებელს ან მისი ოჯახის წევრს არ ანიჭებს

პრივილეგიას. საქართველოს სსრ-ის საბინაო კოდექსის 62-ე მუხლის პირველი აბზაციის პირველი წინადადების თანახმად, დამქირავებლის ოჯახის წევრები სარგებლობდნენ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა უფლებით და ეკისრებოდათ ყველა მოვალეობა, მიუხედავად იმისა, ჰქონდათ თუ არა მათ დადებული ქირავნობის ხელშეკრულება. ქირავნობის ურთიერთობის ნამდვილობისათვის განმსაზღვრელი იყო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის ფაქტი, რომელიც, ერთ შემთხვევაში, წარმოიშობოდა წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სხვა შემთხვევაში - დამქირავებელთან მცხოვრები ოჯახის წევრობის ინსტიტუტით. სასამართლოს შეფასებით, პრივატიზაციის უფლების მქონე ერთ-ერთ პირზე საკუთრების უფლების აღრიცხვა არ ნიშნავს იმას, რომ მასთან მცხოვრებმა ოჯახის წევრებმა უარი განაცხადეს საკუთრების უფლების მოპოვებაზე. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ პრივატიზაციის განხორციელებაზე ოჯახის ყველა წევრის ნების არსებობა გულისხმობს საკუთრების უფლების მოპოვებას ოჯახის ყველა წევრის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება შეიძლება დარეგისტრირდეს მხოლოდ ერთ-ერთ დამქირავებელზე.

გამომდინარე იქიდან, რომ მჩუქებელთან ერთად სადავო ქონებაზე უფლება მოსარჩელებსაც გააჩნდათ, სასამართლომ დაადგინა, რომ ბინის პრივატიზაციის თითოეულ მონაწილეს მხოლოდ საკუთარი წილის განკარგვა შეეძლო. მჩუქებელმა კი სადავო ბინა (46.54 კვ. მ.) მთლიანად გადასცა (აჩუქა) მესამე პირს/მოპასუხეს. მჩუქებელს მოსარჩელეთა კუთვნილი წილის გასხვისების უფლება მათი თანხმობის გარეშე არ ჰქონდა. სასამართლოს აზრით, სკის 102-ე მუხლის შესაბამისად, ამ გარიგების ნამდვილობა მოსარჩელეთა წინასწარ თანხმობაზე ან შემდგომ მოწონებაზე იყო დამოკიდებული. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მჩუქებელს წინასწარი თანხმობა მოსარჩელეთა კუთვნილი წილის განკარგვის თაობაზე არ მიუღია. სადავო გარიგება მოსარჩელებს არც შემდგომში არ მოუწონებიათ. შესაბამისად, სასამართლომ ჩუქების ხელშეკრულება

ბათილად მიიჩნია სკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე. საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ იგი კეთილსინდისიერი შემძენია და ქონების უკან დაბრუნება არ ევალება, რადგანაც სადავო ქონება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრისგან შეიძინა. ამ პრეტენზიასთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სკ-ის 990-ე მუხლის წინაპირობების არსებობისას, კეთილსინდისიერუბაზე მითითება არასაკმარისი დაცვის მექანიზმია, რადგან მითითებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი შემძენიც ვალდებულია, დაუბრუნოს უსასყიდლოდ მიღებული უფლებამოსილ პირს. შესაბამისად, უსასყიდლო განკარგვისას (როგორც უძრავი, ასევე მოძრავი ნივთების განკარგვის შემთხვევაში) შემძენს არ იცავს სკ-ის 185-ე და 187-ე მუხლების დანაწესი.

უპირველეს ყოვლისა, დავის სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სააპელაციო, ასევე საკასაციო სასამართლოებმა ქონების პრივატიზაციის მომენტში არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, მართებულად დაადგინეს მოსარჩელეების საკუთრების უფლება სადავო ფართზე. აქედან გამომდინარე, მჩუქებლის მიერ გაჩუქებული სადავო ფართის ნაწილზეც, რომელიც მან მესამე პირზე გაასხვისა, ჩვეულებრივ ვრცელდება დანარჩენი მოსარჩელეების თანასაკუთრების უფლება. თუმცა არცერთი სასამართლოს მიერ მოცემულ მსჯელობაში არ გვხვდება არგუმენტაცია შემდეგი გარემოების თაობაზე: უნდა იქნეს თუ არა გამოყენებული უსასყიდლო შეძენის ნესი, რომელსაც სკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი იცნობს, უძრავი ქონების არაუფლებამოსილი გასხვისებისას? აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ვიხელმძღვანელოთ იურიდიული დოქტრინით, რომლის თანახმადაც, უძრავი ნივთებისათვის შესაბამისი ნორმის არარსებობა არ არის კანონმდებლის შეგნებული გადაწყვეტილება. უსასყიდლო შეძენის შემთხვევა უძრავ ნივთებზეც უნდა გავრცელდეს ანალოგით<sup>75</sup>.

შესაბამისად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ზედა ინსტანციის ორივე სასამართლოს მსჯელობა მოკლებულია მითითებულ ან რაიმე სახის არგუმენტაციის, რის გამოც სასამართლოების გადაწყვეტილებები შეგვიძლია არასაკმარისად დასაბუთებულად მივიჩნიოთ. დასახელებული საკითხი კი ცალსახად არსებითი მნიშვნელობისაა დავის მართებულად გადაწყვეტისთვის.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო აღტერნატივა. კერძოდ, მან გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ წინამდებარე დავაში არ უნდა ყოფილიყო კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის მექანიზმი გამოყენებული, თუმცა არა იმიტომ რომ მოპასუხე უსასყიდლო შემძენი იყო, არამედ იმიტომ რომ შემძენი არაკეთილსინდისიერად ჩათვალა. აღნიშნული კი არასწორია. ერთი მხრივ, ყოვლად დაუშვებელია, რომ სასამართლო უძრავ ნივთზე საკუთრების კეთილსინდისიერად შეძენაზე ავრცელებს „უნდა სცოდნდას“ სტანდარტს.<sup>76</sup> მოძრავი ნივთებისგან განსხვავებით, სკ-ის 185-ე მუხლი მხოლოდ პოზიტიურ ცოდნაზე საუბრობს. გარდა ამისა, მოცემულ შემთხვევაში საერთოდ არ იყო საჭირო, სასამართლოს გამოეკვლია, რა იცოდა მჩუქებლის მეუღლემ, რადგანაც ამ უკანასკნელმა საკუთრება უსასყიდლოდ მოიპოვა. ეს კი შემძენის კეთილსინდისიერებისგან დამოუკიდებლად განაპირობებს მფლობელობის უკან დაბრუნების ვალდებულებას სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

თავის მხრივ, საკასაციო სასამართლომაც არასწორი მსჯელობა განავითარა, სკ-ის 990-ე მუხლის პირველი ნაწილის განმარტებისას. კერძოდ, სარჩელის სამართლებრივ საფუძვლად წინამდებარე დავის ფარგლებში ვერ იქნება მიჩნეული სკ-ის 990-ე მუხლი, რადგანაც მისი გამოყენების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვის ნამდვილობაა, ხოლო სა-

<sup>75</sup> ლ. სირდაძე, უძრავ ნივთზე საკუთრების მოპოვება უფლებამოსილი და არაუფლებამოსილი პირისგან, შედარე-

ბითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2/2019, 58.

<sup>76</sup> იქვე, 55.

სამართლომ ჩუქება არანამდვილად ცნო სკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა ვეღარ დაემყარებოდა სკ-ის 990-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსს. საკასაციო სასამართლოს მსჯელობა სკ-ის 990-ე მუხლთან დაკავშირებით აბსოლუტურად აცდენილია აღნიშნული ნორმის მოქმედების სფეროს (იგივე დისპოზიციას) და, შესაბამისად, არასწორია. იქიდან გამომდინარე, რომ ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოხდა, განკარგვა ვეღარ იქნება ნამდვილი უფლებამოსილი პირის წინაშე და ვერც შემძენი ვეღარ შეიძენს საკუთრების უფლებას განკარგულ ქონებაზე, რის გამოც თავდაპირველ თანამესაკუთრებს მოპასუხის მიმართ ექნებათ ვინდიკაციური, სკ-ის 172-ე მუხლის პირველ ნაწილზე დამყარებული მოთხოვნის უფლება. საკასაციო სასამართლოს პოზიცია ნაწილობრივ გასაზიარებელია, როდესაც ის ამბობს, რომ სკ-ის 990-ე მუხლის წინაპირობების არსებობისას კეთილსინდისიერებაზე მითითება არასაკმარისი დაცვის მექანიზმია, რადგან მითითებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი შემძენიც ვალდებულია, დაუბრუნოს უსასყიდლოდ მიღებული უფლებამოსილ პირს. თუმცა ის არ განმარტავს და არ აზუსტებს იმ შემთხვევებს, როდესაც დასახელებული სამართლებრივი შედეგი დგება. კერძოდ, როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, სკ-ის 990-ე მუხლი გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, რაც გათვალისწინებულია სკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებით - ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და აუქციონზე გასხვისებული ნივთების განკარგვის შემთხვევები.<sup>77</sup> იქიდან გამომდინარე, რომ წინამდებარე დავის ფარგლებში უძრავი ქონების ჩუქებას ჰქონდა ადგილი, ზემოთ დასახელებული შემთხვევებიდან არც ერთი მათგანი არ გვაქვს სახეზე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს არ უნდა დაეკვალიფიცირებინა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა ხელყოფის კონდიქციად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბათილი განკარგვის შემთხვევაში, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სკ-ის 982-ე მუხლის მე-2 ნაწილი, თუმცა

მისი გამოყენება დაშვებულია მხოლოდ სასყიდლიანი განკარგვისას.<sup>78</sup> ასეთ შემთხვევაში ხელყოფის კონდიქციის საგანი არაუფლებამოსილი პირის მიღებული სასყიდლის ანაზღაურებაა, თუ უფლებამოსილი პირი მოიწონებს ბათილ გარიგებას და შემძენს, რომელიც არაკეთილსინდისიერია, საკუთრების უფლებას მოაპოვებინებს გასხვისებულ ნივთზე. შესაბამისად, ვერც აღნიშნული ნორმის გამოყენება ვერ იქნებოდა გამართლებული წინამდებარე დავის ფარგლებში და სარჩელი მთლიანად უნდა დაქვემდებარებოდა სკ-ის 172-ე მუხლის პირველ ნაწილს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საინტერესოა ასევე უზენაესი სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილება:<sup>79</sup> მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხებ ბათილი ანდერძის საფუძველზე აღირიცხა სამკვიდრო ქონება, რომელიც ჯერ მისმა (მოსარჩელის) მეუღლემ, ხოლო მეუღლის გარდაცვალების შემდგომ თავად მან ფაქტობრივი მფლობელობით მიიღო. მოსარჩელემ მოითხოვა სადაცო სამკვიდრო ქონების მისთვის მიკუთვნება/დაბრუნება. დადგენილია, რომ სადაცო ქონება მესამე პირებზე ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გასხვისდა და დავის განხილვის პროცესში მოპასუხის საკუთრებას აღარ წარმოადგენდა. სასამართლომ გაჩუქებულ ნივთზე საკუთრების უფლების შედავებისა და რესტიტუციის მოთხოვნის შესაძლო სამართლებრივ საფუძვლად სკ-ის 990-ე მუხლი მიიჩნია. საკასაციო პალატის აზრით, მოსარჩელეს მიკუთვნებითი სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში მოპასუხებად ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებული პირები უნდა მიეთითებინა.

საკასაციო პალატის განმარტებით, სარჩელი უნდა მიემართობოდეს იმ პირებს, რომლებზეც შესაძლებელია გავრცელდეს სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი შედეგები. სასამართლოს აზრით, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების სადაცობისას ასეთია ქონების მესაკუთრე, ვინაიდან სწორედ მას ეკისრება პასუხისმგებლობა, სხვის ქონებაზე უკანონოდ მო-

<sup>78</sup> იქვე, 70.

<sup>79</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ივლისის განჩინება № ას-392-392-2018.

პოვებული საკუთრების უფლება (თუკი ასეთი დამტკიცდება) დაუბრუნოს მის კანონიერ მესაკუთრეს. განსაზილველი დავის ფარგლებში მოსარჩელე სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვებას მხოლოდ ანდერძის ბათილობას უკავშირებს და მოპასუხედაც საქმეში ჩაბმულია ანდერძისმიერი მემკვიდრე. მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია ქონების ამჟამინდელ მესაკუთრეთა მიერ სადავო უძრავი ნივთის შეძენის მართლზომიერება და ისინი არც მოპასუხებად არ დაუსახელებია. სადავო ქონებაზე მესაკუთრედ ცნობის სასარჩელო მოთხოვნის რეალიზაცია კი მხოლოდ შესაბამისი უძრავი ნივთების მესაკუთრეთა საკუთრების უფლების გაქარწყლების უკუმედეგს წარმოადგენს. უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ აღიარების შესახებ არასათანადო მოპასუხის წინააღმდეგ მიმართული მიკუთვნებითი სარჩელი, პალატის განსჯით, მოსარჩელის იურიდიულ ინტერესში არსებულ სამართლებრივ შედეგს ვერ უზრუნველყოფდა. იმ დასაბუთებით, რომ სადავო ქონება აღარ ეკუთვნოდა საქმეში მოპასუხის სტატუსით ჩართულ ანდერძისმიერ მემკვიდრეს, ხოლო მოსარჩელეს ქვედა ინსტანციებში არ წამოუყენებია სამართლებრივი პრეტენზია ქონების მესაკუთრეთა წინააღმდეგ, უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა, შეეფასებინა ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე სამკვიდრო ქონების გასხვისების მართლზომიერება და დავის სამართლებრივი შედეგი გაევრცელებინა იმ პირებზე, რომლებიც დავაში სათანადო მოპასუხის სტატუსით არ ფიგურირებენ. მართალია, სასამართლომ ქონების მესაკუთრენი მესამე პირის სტატუსით ჩართო სამართალნარმოების პროცესში, თუმცა ეს არ ასწორებს ამ დავის პროცესუალურ-სამართლებრივ ხარვეზს, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, სარჩელის განხილვის მიზნებისათვის იმპერატიულად არის განსაზღვრული დავაზე არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლის აუცილებლობა. მოცუმულ შემთხვევაში, სასამართლოს შეთავაზების მიუხედავად, მოსარჩელემ სადავო ქონების მესაკუთრეები (სათანადო მოპასუხები) არ ჩააბასაქმეში მოპასუხებად, რაც გამორიცხავდა მისი სარჩელის დაკმაყოფილებას.

მოცემული დავის ფარგლებში საკითხი ვერ იქნებოდა გადაწყვეტილი სკ-ის 990-ე მუხლის ფარგლებში, რადგანაც: 1. სარჩელი შეტანილი უნდა ყოფილიყო სათანადო მოპასუხების მიმართ, რომლებიც დავის განხილვის მომენტისთვის წარმოადგენდნენ სადავო ქონების მესაკუთრეებს. 2. უნდა დამტკიცებულიყო ანდერძის ბათილად ცნობის საფუძვლის არსებობა და გამსხვისებლის არამართლზომიერება. 3. უნდა დადგენილიყო ანდერძის ბათილად ცნობის მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი, რა შემთხვევაშიც გამოიყენება სკ-ის 1489-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი სპეციალური ვადა. იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სკ-ის 990-ე მუხლის გამოყენება, უნდა გავაკეთოთ შემდეგი სახის პიპოთეტური დაშვება: 1. სარჩელი თავიდანვე შეტანილი იყო სათანადო მოპასუხების წინააღმდეგ. 2. არსებობდა და დავის ფარგლებში დამტკიცდა ანდერძის ბათილობის საფუძველი. შესაბამისად, გამსხვისებელი არ ჩაითვლებოდა მესაკუთრედ და გასხვისებაზე უფლებამოსილ პირად. 3. სასარჩელო მოთხოვნა სკ-ის 1489-ე მუხლის გათვალისწინებით არ იყო ხანდაზმული. მხოლოდ ასეთი დაშვების პირობებში შეიძლება ვიმსჯელოთ და შევაფასოთ საკასაციო სასამართლოს განმარტების სისწორე, როდესაც მან აღნიშნა, რომ ნივთზე საკუთრების უფლების შედავების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი შესაძლოა სკ-ის 990-ე მუხლიდან გამომდინარებდეს და სწორედ მითითებული ნორმის შემადგენლობის განხორციელებაზე დამოკიდებული ხელყოფილი საკუთრების უფლების რესტიტუცია. ეს განმარტება წინამდებარე დავის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით არ არის მართებული და გასაზიარებელი. კერძოდ, რადგანაც ორივე შემძენმა უსასყიდლოდ მოიპოვა ნივთზე მფლობელობა ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, ასეთ შემთხვევაში, სკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების ბოლო აღტერნატივის ანალოგით, შემძენთა კეთილსინდისიერებისგან დამოუკიდებლად, ნივთზე მფლობელობა უკან დაბრუნებას ექვემდებარება სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, გამსხვისებლის არაუფლებამოსილების შესახებ არ-

ცოდნის შემთხვევაშიც კი უსასყიდლო შემძენი არ არის დაცვის ღირსი სუბიექტი. სკ-ის 990-ე მუხლი, რომელიც ხელყოფის კონდიქციის სპეციალურ შემთხვევას აწესრიგებს, უნდა შეასრულოს ვინდიკაციის ჩამნაცვლებლის ფუნქცია. ცხადია, რომ ზემოთ ხსენებულ შემთხვევაში უსასყიდლოდ შეძენილი ქონება ისედაც ექვემდებარება დაბრუნებას სკ-ის 172-ე მუხლის საფუძველზე და, შესაბამისად, აღნიშნული შემთხვევა ვერ ჩაითვლება ხელყოფის კონდიქციით, მით უფრო მისი სპეციალური ნორმით მოსაწესრიგებელ სფეროდ. ასეთ სფეროდ კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, განისაზღვრება სკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 ნინადადება - ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და აუქციონზე გასხვისებული ნივთების განკარგვა. ეს ის შემთხვევებია, როდესაც უსასყიდლოდ შემძენი იყო კეთილსინდისიერი და ამასთან ერთად არ აქვს მნიშვნელობა, გავიდა თუ არა ნივთი მესაკუთრის მფლობელობიდან ამ უკანასკნელის ნების საწინააღმდეგოდ.

ფულის შემთხვევაში საუბარია იმავე კუპიურების უკან დაბრუნების ვალდებულების გამორიცხვაზე. ასეთ დროს მიღებული ფულის საკუთარ ფულში შერევის შედეგად იმავე კუპიურების უკან დაბრუნება კი არ უნდა მოხდეს, არამედ სკ-ის 990-ე მუხლის საფუძველზე უნდა ანაზღაურდეს ფულის ღირებულება.<sup>80</sup> ნორმის მოქმედება ვრცელდება ბრუნვაში გაშვებულ ბანკონტებსა და მონეტებზე, თუმცა არ ვრცელდება ნუმიზმატიკური კოლექციის ფულზე, რადგანაც ეს უკანასკნელი არ არის მოცული ფულის ცნების საკანონმდებლო დეფინიციით.<sup>81</sup> ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში - ნორმის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ საწარმდებრნო ფასიან ქაღალდებზე. შესაბამისად, მისი მოქმედების სფეროდან გამორიცხულია საორდერო და პირადი ფასიან ქაღალდები.<sup>82</sup> საწარმდგენლო ფასიან ქაღალდებს განეკუთვნება, მაგალითად, კინოთეატრის ბილეთი, სამგზავრო ბილეთი, ლატარიის გათამაშების ბილეთი და სხვა. შესაბამისად, თუ სკ-ის 990-ე მუხ-

<sup>80</sup> იხ. სქოლიო, 5, 102.

<sup>81</sup> ლ. თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, ჭანტურია (რედ.), 2018, მუხ. 187, მე-18 ველი.

<sup>82</sup> იქვე.

ლის მიხედვით მიღებული გულისხმობს, მაგალითად, კინოთეატრის ბილეთს, მიმღები აღნიშნული ნორმის საფუძველზე უკან აბრუნებს არა უშუალოდ ბილეთს, რაც ვინდიკაციის საგანი იქნებოდა, არამედ მის ღირებულებას. ამ უკანასკნელის განსაზღვრისას კი გამოყენება სკ-ის 979-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 ნინადადება. აღნიშნული გარემოება, მართალია, არ იკითხება სკ-ის 990-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან, თუმცა სარეფორმო წინადადების ფარგლებში გამოთქმული სწორი მოსაზრების შესაბამისად, სკ-ის 990-ე მუხლის გამოყენებისას პასუხისმგებლობის ფარგლები უნდა განისაზღვროს სკ-ის 979-ე-981-ე და 985-ე მუხლების საფუძველზე.<sup>83</sup> რაც შეეხება აუქციონზე გასხვისებულ ნივთებს - ამ უკანასკნელთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ აუქციონის მიმდინარეობისას არც ერთ ეტაპზე ქონების გასხვისება არ ხდება ჩუქების საფუძველზე. შესაბამისად, შემძენმა ნებისმიერ შემთხვევაში გარკვეული სასყიდლის სანაცვლოდ უნდა შეიძინოს საკუთრების უფლება ქონებაზე. აქედან გამომდინარე, კონკრეტულად ამ შემთხვევაში სკ-ის 990-ე მუხლი ვერ იქნება გამოყენებული, რადგანაც ამ უკანასკნელის გამოყენების ერთ-ერთი წინაპირობა უსასყიდლო განკარგვაა. შესაბამისად, აუქციონზე გასხვისებული არც ნივთის დაბრუნების და არც მისი ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება არ აქვს შემძენს, თუმცა სკ-ის 982-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე არაუფლებამოსილი პირის (აუქციონის მომწყობი) მიერ მიღებული სასყიდელი უკან დაბრუნებას ექვემდებარება.

## XII. დასკვნა

სკ-ის 982-ე მუხლი ერთ-ერთი ყველაზე ბუნდოვანი ნორმაა ქართულ სამოქალაქო სამართლებრივ სისტემაში. აღნიშნულ ნორმაში განსახორციელებელ საკანონმდებლო ცვლილებამდე აუცილებელია, რომ ქართულმა სასამართლოებმა იხელმძღვანელონ ქართული და უცხოური დოქტრინით. წინააღმდეგ შემთხვევაში ნორმა გაგებულ იქნება არსებითად არასწორად, რაც

<sup>83</sup> იხ. სქოლიო 15, 141.

მისი ასევე არამართებული გამოყენების საწინა-დარია. აღნიშნული ნორმის არასწორი გამოყე-ნების მაგალითები ქართულ სასამართლო პრა-ქტიკაში არც თუ ისე ცოტაა, რაც მით უფრო მწვავედ აყენებს დღის წესრიგში აღნიშნულ სა-კითხს. ზემოთ ხსენებული მუხლის განმარტე-ბისას ქართულმა სასამართლოებმა უნდა გაით-ვალისწინონ, რომ უსაფუძვლო გამდიდრების კონცეპტი ემსახურება კონდიქციური სარჩე-ლის, როგორც დამოუკიდებელი ტიპის ჩამოყა-ლიბებას სახელშეკრულებო და დელიქტური სა-რჩელების გვერდით.<sup>84</sup> შესაბამისად, სარჩელთა საგანიც ერთმანეთისგან განსხვავებული უნდა იყოს.

უპირველეს ყოვლისა, ქართულმა სასამართ-ლო პრაქტიკამ უნდა გაიზიაროს განკარგვის ცნების ის შინაარსი, რომელიც კაუზალობის პრინციპთან არის დაკავშირებული და რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნება მთელი რიგი შემ-თხვევების დამაკმაყოფილებად გადაწყვეტა. აღნიშნული შინაარსის გაზიარების შემდგომ განკარგვის ცნების შესაბამისი განმარტება უნ-და გაკეთდეს ხელყოფის კონდიქციის კონტექს-ტში. ასევე აუცილებელია, რომ მკაფიოდ განი-საზღვროს სკ-ის 990-ე მუხლის მოქმედების სფერო და შემდგომ გაიმიჯნოს სკ-ის 982-ე მუ-ხლის შინაარსისგან. ასევე გასათვალისწინებე-

ლია სკ-ის 187-ე მუხლის როლი ზემოთ ხსენე-ბული ნორმების შინაარსის განმარტებისას, რა-დგანაც აღნიშნული ნორმების მართებული ში-ნაარსის დადგენა მხოლოდ სისტემური განმარ-ტების გზით არის შესაძლებელი.

გარდა ამისა, ქართულ სასამართლო პრაქ-ტიკაში ხელყოფის კონდიქციისა და დელიქტის ერთმანეთში აღრევაც ხშირია, რის გამოც ამ ორი ინსტიტუტის მკაფიო გამიჯვნაც აუცილე-ბელია. ცხადია, რომ ამ მიზნით ქართული სასა-მართლოების მხრიდან მხოლოდ ბრალის კატე-გორიაზე აპელირება არ არის საკმარისი.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინა-რე, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საკანონმ-დებლო, ისე სასამართლო პრაქტიკის დონეზე არის შესაცვლელი ის სამართლებრივი პოზი-ცია, რომელიც საქართველოში დღეს ზოგადად ხელყოფის კონდიქციის მიმართ არსებობს, მათ შორის განკარგვით ხელყოფის კონდიქციის თვალსაზრისითაც. იმის გათვალისწინებით, რომ ქართული უსაფუძვლო გამდიდრების სა-მართალი ემყარება გერმანელი მეცნიერის დე-ტლეფ კონიგის კანონპროექტს და ასევე გარკ-ვეულწილად გააჩნია ის ორიგინალური თავისე-ბურებანი, რომელიც ქართულ დოქტრინაშია გამოკვეთილი, აუცილებელია, რომ სწორედ ამ წყაროებზე დაყრდნობით განვითარდეს ქარ-თული სასამართლო პრაქტიკაც.

<sup>84</sup> P. Jaffey, Classification and Unjust Enrichment, The Modern Law Review, Vol. 67, 2004, 1030.

# სასამართლო პრაქტიკა

► 1 – 7/2020

ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ოჯახის წევრის გარდაცვალებისას

1. პირს შეიძლება ჰქონდეს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მისი ოჯახის წევრის არამართლზომიერად მიყენებული ზიანის შედეგად გარდაცვალებისას.

2. ზედმეტად გადახდილი ბაჟი ბრუნდება სსკ-ის 42-ე მუხლის ანალოგით.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 20 თებერვლის განჩინება № ას-1800-2019

სკ-ის 413, 992-ე მუხლები

სსკ-ის 7, 42-ე მუხლები

## I. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩეულებმა სასწრაფო დახმარების ცენტრისგან მოითხოვეს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება იმაზე მითითებით, რომ მათი ოჯახის წევრი გარდაცვალა არასწორი სამედიცინო მოქმედების შედეგად. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სასწრაფო დახმარების ბრიგადა ადგილზე დროულად გამოკხადდა და მიიღო ყველა საჭირო ზომა პაციენტის გადასარჩენად; ექიმმა პირს მიუთითა, საწოლიდან არ ამდგარიყო, თუმცა - უშედეგოდ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭომ დაადგინა, რომ ყველა საჭირო სამედიცინო მოქმედება არ განხორციელებულა და მხარი დაუჭირა ექიმისთვის პასუხიმგებლობის დაკისრებას.

## II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი მხოლოდ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების წანილში დაკმაყოფილა, რაც ორივე მხარემ გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია მოსარჩელეთა მითითება, რომ პაციენტი სწორედ ექიმის მოწოდების შემდეგ წამოდგა ფეხზე - ექიმის საპირისპირო პოზიცია გათვალისწინებული არ ყოფილა ბინაში საკაცის არარსებობის გამო, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა პაციენტის სტანციონარში გადაყვანა, მისი ფეხზე წამოდგომის გარეშე. დადგინდა, რომ პაციენტის ჩივილების შესახებ ინფორმაციის წინასწარ მიწოდების მიუხედავად, სამედიცინო პერსონალს არ ჰქონია აპარატი, რომლის გამოყენებაც აუცილებელია შესაბამისი სამედიცინო მომსახურების განსახორციელებლად. მეორე ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა სკ-ის 973-ე მუხლი და გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯების გათვალისწინებით პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებისგან შედარებით გაზარდა ასანაზღაურებელი ქონებრივი ზიანის ოდენობა. სარჩელი ერთ-ერთი მოსარჩელის მიმართ დაკმაყოფილდა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წანილშიც. მეორე ინსტანციის სასამართლოს აზრით, იგივე შედეგი ვერ დადგებოდა მეორე მოსარჩელესთან მიმართებაში, რადგან ის ფაქტებსა და მტკიცებულებებზე მითითების მაგივრად მხოლოდ მოთხოვნის წაყენებით შემოიფარგლა. სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული შვილის მოულოდნელი გარდაცვალებით მშობლებმა ძლიერი სულიერი სტრესი განიცადეს, რაც ქმნიდა მათი ჯანმრთელობის გაუარესების ვარაუდს. აღნიშნული პრეზუმუციის გაქარწყლება მონინააღმდეგე მხარემ ვერ შეძლო. მოპასუხემ გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა, მისი აზრით, სკ-ის 413 II მუხლის შესაბამისად არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გააჩნია მხოლოდ იმ პირს, რომელსაც ზიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად უშუალოდ მიადგა. ამ შემთხვევაში დაზარალებულად უნდა მიჩნეულიყო უშუალოდ მსხვერპლი და არა - მისი ოჯახის წევრი.

უზენაესმა სასამართლომ არ დაკმაყოფილა საჩივარი და მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს უახლესი გადაწყვეტის მიხედვით<sup>1</sup>, დასაშვებად ჩაითვალა პირისადმი მიყენებული ზიანის შედეგად მისი გარდაცვალების შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის უფლების მინიჭება მისი ოჯახის წევრებისთვის, რისი გათვალისწინებაც კონვენციის წევრი ქვეყნისთვის სავალდებულოა.

ზედმეტად გადახდილი ბაჟი საკასაციო სასამართლომ მოპასუხეს, სსკ-ის 42-ე მუხლის ანალოგით, დაუბრუნა.

### III. კომენტარი

ოჯახის წევრის გარდაცვალების შედეგად მიღებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება პრობლემურია სწორედ იმ გარემოებების გამო, რომელზეც მოპასუხემ მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გასაჩივრებისას. სკ-ის 413 II მუხლი არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას უკავშირებს კონკრეტული სამართლებრივი სიკეთების (სხეულისა და ჯანმრთელობის) დაზიანებას, რომელთა შორის სიცოცხლის გაუთვალისწინებლობაც კანონმდებლის შეგნებული გადაწყვეტაა. სხვისი სიცოცხლის მოსპობის გამო არაქონებრივი ზიანის მოთხოვნა, ჩვეულებრივ შემთხვევაში, გამორიცხულია. სხვა შედეგი დგება ახლობლის სიკვდილით მიღებული შოკით გამოწვეული სომატური ჩივილების ჯანმრთელობის ვნებასთან გათანაბრებით, როდესაც პირი მოთხოვნას იძენს არა მესამე პირის, არამედ დაზარალებულის სტატუსით, რადგან ზიანდება სწორედ მისი (და არა გარდაცვლილის) აბსოლუტური უფლება ჯანმრთელობის სახით.<sup>2</sup> აქედან გამომდინარე, სასამართლოს ზოგადი მითითება მშობლების ჯანმრთელობის გაუარესებაზე და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობაზე სამართლებრივად დასაბუთებულია. თუმცა არას-

წორია ამ დაშვების ვარაუდად მიჩნევა,<sup>3</sup> რომლის გაქარნყლების ტვირთიც მოპასუხეს აწევს. მტკიცების ვალდებულების ზოგადი განაწილებიდან გამომდინარე, სწორედ დაზარალებულმა უნდა დაადასტუროს მისთვის ვნების მიყენების ფაქტი. ეს შედეგი მით უფრო თვალსაჩინოა იმ თვალსაზრისის გათვალისწინებით, რომელიც არაქონებრივ ზიანს ანაზღაურებადად მიიჩნევს მხოლოდ მაშინ, როდესაც განცდილმა ემოციებმა ახლობლის დაკარგვის თანმდევ ჩვეულ ტკივილს გადააჭარბა.<sup>4</sup> მოცემულ საქმეშიც ჯანმრთელობის გაუარესებაზე მოსარჩელებს უნდა მიეთითებინათ (და დაემტკიცებინათ) სასამართლოს მიერ ამ ვარაუდის თვითნებურად დაშვების ნაცვლად. ამ გაგებით სააპელაციო სასამართლო საკუთარ თავს ეწინააღმდეგება (ხოლო ამ არათანმიმდევრულობას საკასაციო სასამართლო საერთოდ უყურადღებოდ ტოვებს), როდესაც მის მიერვე დადგენილ პრეზუმაციას გაუგებარი მიზეზების გამო არ ავრცელებს მეორე მოსარჩელეზე: „... [მეორე მოსარჩელეს] მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლად რელევანტურ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე არ მიუთითებია და მხოლოდ იმაზე მითითებით შემოიფარგლა, რომ მშობლისთვის შვილის გარდაცვალება ძლიერი ტანჯვის მოტანია, აღნიშნული მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ... მოთხოვნის დაკმაყოფილებას გამორიცხავდა.“

გარდა ამისა, მოთხოვნის თვითკმარ დასაბუთებად რთულად თუ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებაზე მითითება, რომლითაც ოჯახის წევრის გარდაცვალებისას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე უპირობო უარი უფლების დარღვევად იყო მიჩნეული. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სამართლის კვლევის საგანია სახელმწიფოს უფლების დაცვის (პოზიტიური) და მასში ჩარევისგან თავის შეკავების (ნეგატიური) ვალდებულებები, რომელიც განხილვის მიღმა ტოვებს

<sup>1</sup> სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ, 2018 წლის 19 ივლისი.

<sup>2</sup> Wagner, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, &823 Rn. 187.

<sup>3</sup> რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 413-ე მუხლი, მე-8 ველი, მითითება N11.

<sup>4</sup> Wagner, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, &823 Rn. 189.

მოთხოვნის განსაზღვრული სამართლებრივი კონსტრუქციების მეშვეობით დადასტურების ან უარყოფის მიზანშეწონილობის საკითხებს. მსჯელობაში გამოყენებულ გადაწყვეტილებას სასამართლო არ გაუთავისუფლებია მოთხოვნის წინაპირობების არსებობის შემოწმებისგან - მართლმსაჯულება არ უნდა დასჯერდეს მხოლოდ სარჩელის შესაბამის გრაფაში ქონებრივთან ერთად არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოხსენიებასაც.

ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ფარგლების დადგენისთვის სწორია დაკრძალვის ხარჯვების მხედველობაში მიღება,<sup>5</sup> მაგრამ ამ მსჯელობისთვის სკ-ის 973-ე მუხლის გამოყენება, საუკეთესო შემთხვევაში, ტექნიკურ ხარვეზს უნდა მიეწეროს.<sup>6</sup>

### ნინო ქავშაია

► 2 – 7/2020

**საკუთრების უფლების წარმოშობა მოძრავი ნივთის ნასყიდობისას; ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა; ნასყიდობის ფასის უკან მოთხოვნა**

**1. ავტოსატრანსპორტო საშუალების საკუთრების რეგისტრაცია არ წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ აქტს, იგი მხოლოდ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძ-**

<sup>5</sup> არათუ მხედველობაში მისაღები, არამედ სიცოცხლის ხელყოფიდან გამომდინარე ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ერთადერთი მოთხოვნა, რომლის მფლობელი (დაკრძალვის ხარჯებზე ვალდებული) პირი, ზემოთ აღნილისგან განსხვავებით, ითვლება არა დაზარალებულებად, არამედ მესამე პირად, Wagner, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, &823 Rn. 165.

<sup>6</sup> საქმის გარემოებებისგან განსხვავებით, დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების ინსტიტუტის მოშველიება საჭირო შეიძლება გახდეს მაშინ, როდესაც შემსრულებელი დაკრძალვის ხარჯებს იღებს ამაზე ვალდებული პირის (მეპატრონე) ნაცვლად, ინგლისური და გერმანული სამართლის გადაწყვეტილებისთვის იხ. რუსიშვილი, ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016, 50, 54-55.

ველს ქმნის და თავისი არსით ადმინისტრაციული სამართლის სფეროს განეკუთვნება.

**2. ნასყიდობის საგანგებო მესამე პირის უფლებად შეიძლება განვიხილოთ ყველა სანივთო და მავალდებულებელი უფლება, რომელიც შემძენის წინააღმდეგაა მიმართული, მათ შორის საჯარო სამართლებრივი შეზღუდვები - გამყიდველის იმგვარი ვალდებულებები, რაც ამ ნივთის დაყადალების საფრთხეს წარმოშობს.**

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

სკ-ის 53, 186, 187, 489, 411, 491-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 05 დეკემბრის გადაწყვეტილება № ას-658-625-2014

### ფაქტობრივი გარემოებები:

მყიდველმა მანქანა მინდობილი მესაკუთრისგან შეიძინა. შემოსავლების სამსახურმა მას შენაძენი ჩამოართვა, იმ მიზეზით, რომ ავტომანქანა ჯერ კიდევ თავდაპირველი მესაკუთრის (საკუთრების მიმნდობის) სახელზე ირიცხებოდა, რომელსაც შემოსავლების სამსახურის მიმართ დავალიანება გააჩნდა. შემოსავლების სამსახურმა მანქანას ყადაღა დაადო.

მყიდველმა სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა გადახდილი ნასყიდობის ფასის დაბრუნების ვალდებულების მინდობილი მესაკუთრისთვის (გამყიდველისთვის) დაკისრება იმ საფუძვლით, რომ ის შეძენისას არ ყოფილა ინფორმირებული საკუთრების მიმნდობსა და მინდობილ მესაკუთრეს შორის არსებული ხელშეკრულების რეალური ბუნების შესახებ (საკუთრების მინდობის ნაცვლად შეთანხმება მიჩნა ნასყიდობად) და გამსხვისებელი ნივთის მესაკუთრედ აღიქვა. მისი პოზიციით, მან დაკარგა როგორც ავტომანქანაში გადახდილი თანხა, ისე ავტომანქანით სარგებლობის უფლება მასზე დადებული ყადაღის გამ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა საპელაციო წესით. საპელაციო სასამართლოს განჩინებით მოპა-

სუხესუარი ეთქვა სააპელაციო საჩივრის დაკ-მაყოფილებაზე. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა საკა-საციო წესით.

### **სასამართლოს მსჯელობის შეჯამება:**

საკასაციო პალატამ საჩივარი დააკმაყოფილა და სკ-ის 186 I, II მუხლების დაყრდნობით მიიჩნია, რომ, ერთი მხრივ, საკუთრების მიმნ-დობსა და მინდობილ მესაკუთრეს, მეორე მხ-რივ, ამ უკანასკნელსა და მოსარჩელეს შორის დადებული შეთანხმებები წარმოადგენდა ავ-ტომანქანის ნასყიდობის შესახებ ხელშეკრუ-ლებებს, რადგან საქმის მასალებით დასტურ-დებოდა ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმება და ნივთის პირდაპირ მფლობელო-ბაში გადაცემა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ მოსარჩე-ლის მფლობელობაში არსებული ავტომანქანის დაყადაღების დროისთვის საკუთრების მიმნ-დობი აღარ წარმოადგენდა მოძრავი ნივთის მე-საკუთრეს, ვინაიდან მხარეთა შორის სადაცო არ იყო, რომ მან ავტომობილი გადასცა მოპა-სუხეს, ხოლო მოპასუხემ - მოსარჩელეს. საკა-საციო პალატამ მიუთითა დამკვიდრებულ ერ-თგვაროვან სასამართლო პრაქტიკაზე: „საკუთ-რების უფლების წარმოშობის საფუძვლები ამომწურავადა დადგენილი საქართველოს სა-მოქალაქო კოდექსით, რომელიც ერთმანეთისა-გან განასხვავებს მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის სამართლებრივ რეჟიმს. ამავე კოდექსის 186-197-ე მუხლებით განსაზღ-ვრულია რა მოძრავ ნივთებზე საკუთრების შე-ძენის საფუძვლები, ეს წესები თანაბრად ვრცე-ლდება ყველა მოძრავ ნივთზე და იგი არ ად-გენს მოძრავ ნივთზე საკუთრების შესაძენად სავალდებულო რეგისტრაციას. „საგზაო მოძ-რაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართვე-ლოს კანონით იმპერატიულად დადგენილია სატრანსპორტო საშუალებათა სავალდებულო რეგისტრაცია, რაც თავისთავად არ წარმოად-გენს ნივთზე საკუთრების წარმოშობის საფუძ-ველს. რეგისტრაციის განხორციელება არ წარ-მოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ აქტს, იგი მხოლოდ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება № ას-658-625-2014

ბის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძ-ველს ქმნის და თავისი არსით ადმინისტრაციუ-ლი სამართლის სფეროს განეკუთვნება“.<sup>1</sup>

ნასყიდობის საგანზე მესამე პირის უფლე-ბად შეიძლება განვიხილოთ ყველა სანივთო უფლება, მავალდებულებები უფლებები, რომ-ლებიც შემძენის წინააღმდეგაა მიმართული; საჯარო სამართლებრივი შეზღუდვები, მათ შორის გამყიდველის იმგვარი ვალდებულებები, რაც ამ ნივთის დაყადაღების საფრთხეს წარმო-შობს. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალე-ბით არ დასტურდება და არც სარჩელის საფუძ-ვლადაა მითითებული ის გარემოება, რომ მესა-კუთრედ რეგისტრირებულ პირსა და მოპასუ-ხეს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადე-ბისას, ან მოსარჩელის მიერ ავტომობილის შე-ძენის დროისათვის ნივთზე პრეტენზია სსიპ შემოსავლების სამსახურს გააჩნდა: ნასყიდო-ბის ხელშეკრულების დადების დროისათვის ნი-ვთზე უფლებრივი ნაკლის არსებობა დადგენი-ლი არ არის. უდავოა, რომ ნასყიდობის საგანზე მესამე პირმა პრეტენზია მოგვიანებით განაც-ხადა, მას შემდეგ, როცა ქონება მოვალეს აღარ ეკუთვნოდა. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზია-რებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას მო-სარჩელის მიერ ნაკლის მქონე ნივთის შეძენის თაობაზე.

სკ-ის 491, 492-ე მუხლების თანახმად, მყიდ-ველს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფ-ლება წარმოეშობა მხოლოდ მაშინ, თუ ის ასევე მოითხოვს ხელშეკრულების მოშლას (აქ უნდა ვიგულისხმოთ ხელშეკრულებიდან გასვლა, მუხლში დაშვებული შეცდომის მიუხედავად), სხვა შემთხვევაში მას მხოლოდ ნაკლის გამოს-წორება, ნივთის შეცვლა ან ფასის შეცირების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს ხეკურულების მო-შლა არ მოუთხოვია.

სკ-ის 352 I მუხლის თანახმად, თუ ხელშეკ-რულების ერთ-ერთი მხარე სკ-ის 405-ე მუხ-ლით გათვალისწინებული პირობების არსე ბობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ

<sup>1</sup> უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 ოქტომბრის განჩინება №ა-914-954-2011.

მიღებული შესრულება და სარგებელი მხარე-ებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება). ხელ-შეკრულებიდან გასვლის უფლების თანმდევი შედეგის - მხარეთა ორმხრივი რესტიტუციისა-თვის, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს და დაამტ-კიცოს: а) მოპასუხის მიერ ორმხრივი ხელშეკ-რულებიდან გამომდინარე ვალდებულების და-რღვევისა და ბ) ვალდებულების შესრულების თაობაზე კრედიტორის (მოსარჩელის) მიერ მო-ვალის გაფრთხილების ან მისთვის დამატებითი ვადის დაწესების ფაქტი (სკ-ის 405 I მუხლი). სკ-ის 352-ე მუხლი განსაზღვრავს რა ხელშეკ-რულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგს, მისი გამოყენება დაიშვება მხოლოდ სკ-ის 405-ე მუხლთან ერთობლიობაში, რომელიც ხელშეკ-რულებიდან გასვლის წესისა და სავალდებულო პირობების მარეგულირებელ დანარჩეს წა-რმოადგენს. საკასაციო სასამართლოს პოზიცი-ით, მოსარჩელეს არ მიუთითებია სკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული შე-მადგენლობის არსებობაზე, ამასთან, არც გასა-ჩივრებული განჩინებითაა დადგენილი ხელშეკ-რულებიდან გასვლის უფლების გამოყენების ფაქტობრივი წინაპირობები. ეს გარემოება კი, უზენაესი სასამართლოს დასაბუთებით, უდა-ვოდ მოწმობდა სარჩელის უსაფუძვლობას.

ანი ნანობაშვილი

### ► 3 – 7/2020

**სასამართლოს მიერ პირგასამტებლოს მდენობის განსაზღვრა სახელშეკრულებო დაქმისგან განსხვავებული წესით**

**1. სახელშეკრულებო თავისუფლების ფარ-გლებში დათქმული პირობის შემთხვევაშიც, ხელშეკრულების საერთო ღირებულებით გა-მოთვლილი პირგასამტებლო, შესაძლოა გაუ-ქმდეს კეთილსინდისიერების პრინციპისა და ნორმის მიზნის დასაცავად.**

**2. სასამართლო შეუსაბამო პირგასამტებ-ლოს მხოლოდ მაშინ შეამცირებს, როდესაც გადახდის ვალდებულება მხარეს მართებუ-**

**ლად აქვს დაკისრებული, თუმცა თანხის მდენობა შეუსაბამოდ მაღალია.**  
**(ავტორის სახელმძღვანელო წინადაღებები)**

სკ-ის 417, 418, 477, 319, 420-ე მუხლები

უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 24 მაი-სის განჩინება № ას-325-2019

**ფაქტობრივი გარემოებები:** მხარეებს შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, კომპანიამ აიღო ხელშეკრულების გაფორმებიდან დათქ-მულ ვადაში ელექტრონათურების მიწოდების ვალდებულება. ხელშეკრულების თანახმად, გა-ნსაზღვრული ვადის გადაცილებისთვის დაწეს-და პირგასამტებლო, სახელშეკრულებო ღირე-ბულების მიხედვით. კომპანიამ ვერ შეძლო შეს-რულება განსაზღვრულ დროში. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მო-ითხოვა მისთვის სახელშეკრულებო ღირებუ-ლების 0.2 %-ის გადახდის დაკისრება ვალდე-ბულების არაჯეროვანი შესრულების გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩე-ლი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. სასამართლო დაეყრდნო სკ-ის 417, 418, 477-ე მუხლებს, მო-პასუხის მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრა თანხის გადახდა, თუმცა არა მოთხოვნილი ოდენობის, არამედ ვალდებულების შეუსრუ-ლებლი ნაწილის შესაბამისი მოცულობის მი-ხედვით. იგივე შედეგი დადგა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში. უზენაესმა სასამა-რთლომ წარდგენილი საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია იმ მოტივით, რომ იგი არ შეიცავდა სკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშ-ვებობის პირობას.

სასამართლოს მსჯელობის შეჯამება: საკასა-ციო სასამართლომ ხაზი გაუსვა ქართულ კა-ნონმდებლობაში პირგასამტებლოს ორმაგ ფუ-ნქციას: ერთი მხრივ, იგი ვალდებულების ჯე-როვანი შესრულების მისაღწევად ვალდებულ პირზე ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს, აიძუ-ლებს მას ხელშეკრულების პირნათლად შესრუ-ლებას, მეორე მხრივ კი, იგი განცდილი ზიანის სწრაფად და უპირობოდ ანაზღაურებას უზრუ-ნველყოფს. გადაწყვეტილებაში უზენაესი სასა-

მართლო მსჯელობს პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას გასათვალისწინებულ გარემოებებზეც. ასეთად თვლის ვალდებულების დარღვევის სიმძიმეს, მის მოცულობასა და კრედიტორისათვის წარმოშობილი საფრთხის სარისხს, ვალდებულების დამრღვევის ბრალულობის ხარისხს, ასევე, პირგასამტეხლოს ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები და მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება.

პირგასამტეხლოს ოდენობის გამოთვლის წესის სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში (სკ-ის 319-ე მუხლი) შეთანხმების მიუხედავად, საკასაციო სასამართლომ არამართუბულად ჩათვალა მისი მოცულობის ხელშეკრულების საერთო ღირებულების მიხედვით გამოთვლა. მიუთითა, რომ უმნიშვნელო შეუსრულებლობის გამო შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს დაკისრება, დაარღვევს სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისა და კეთილსინდისიერების მინიმალურ სტანდარტს, პირგასამტეხლო კი ვერ შეასრულებს თავის ნორმატიულ დანიშნულებას. ვალდებულების დარღვევის პირობებში პირგასამტეხლოს მიზანი ე.წ „პრეზუ-მირებული მინიმალური ზიანის“ ანაზღაურების უზრუნველყოფაა, ამგვარი მიღვომა კი, ერთი მხრივ, უსაფუძვლოდ გაზრდის მის მოცულობას, მეორე მხრივ, მოვალეს დაკისრებს პასუხისმგებლობას უკვე შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი ვალდებულების ნაწილშიც, რაც სკ-ის 417, 418-ე | მუხლების მიზანთან იქნება შეუსაბამო.

ამასთან, დავის ფარგლებში, კასატორი მიუთითებს ფაქტზე, რომ სააპელაციო სასამართლო განჩინებაში ზოგადად პირგასამტეხლოს არაგონივრულ ოდენობაზე მსჯელობს, ამიტომ, მისი აზრით, სასამართლოს პირგასამტეხლო შეეძლო სკ-ის 420-ე მუხლის ფარგლებში შემცირებინა და არ ემოქმედა ისე, რომ მხარეთა შორის შეთანხმებული პირობების მოწესრიგება მხოლოდ სასამართლოს შეხედულებისამებრ მომხდარიყო. შესაბამისად, პირგასამტეხლოს მოცულობა ხელშეკრულების მთლიანი ღირებულებიდან უნდა გამოთვლილიყო და მხოლოდ ამის შემდგომ ემსჯელა სასამართ-

ლოს მისი ოდენობის შეუსაბამობასა და შემცირების პერსპექტივებზე.

უზენაესმა ინსტანციამ ეს მსჯელობაც უკუაგდო, რამდენადაც, სასამართლოსთვის მინიჭებული დისკრეცია - შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო - მხოლოდ იმ დროს მოქმედებს, როდესაც მხარეს პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება კანონის საფუძველზე მართებულად აქვს დაკისრებული, თუმცა უკვე დარღვევის ხასიათთან, ღირებულებასა და ხანგრძლივობასთან მიმართებითა მისი ოდენობა შეუსაბამოდ მაღალი. მოცემულ საქმეში კი ასეთი გარემოება არ არსებობდა, არამედ პირგასამტეხლო და მისი ფაქტობრივ-სამართლებრივი გარემოებები უსაფუძვლო იყო, რაც პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობასაც გამორიცხავდა.

საბოლოოდ, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, ხოლო კასატორის საკასაციო საჩივარი არ მიიღო არსებითად განხილვისთვის დაუსაბუთებლობის გამო.

#### ალექსანდრე თედორაძე

#### ► 4 – 7/2020

**დაზარალებულის ინტერესის გათვალისწინება ზიანის ანაზღაურებისას**

ზიანის ანაზღაურების უპირატესი საშუალებაა დაზიანებული ნივთის აღდგენა, და არა მსგავსის დამზადების/აშენებისთვის აუცილებელი თანხის გადახდა, სკ-ის 414-ე მუხლის მიხედვით.

**(ავტორის სახელმძღვანელო წინადაღება)**

სკ-ის 411, 992, 999 | მუხლი

უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ივლის განჩინება № ას-1291-1218-2012

## I. ფაქტობრივი გარემოებები

ავტომობილის შეჯახებით დაზიანებული სახლის მესაკუთრემ სარჩელი აღძრა სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის წინააღმდეგ და მოითხოვა მიყენებული არაქონებრივი და ქონებრივი ზიანის, მათ შორის, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება. მოპასუხემ მიუთითა, რომ მზად იყო აენაზღაურებინა ზიანი, თუმცა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილზე ნაკლები ოდენობით.

## II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა ქონებრივი ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნები და უარი თქვა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკმაყოფილებაზე. გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოპასუხის საჩივარი და შეამცირა ანაზღაურებადი ზიანის ოდენობა. მსჯელობის უმეტესი ნაწილი მეორე ინსტანციის სასამართლომ დაუთმო ორი მტკიცებულების - ექსპერტისა და აუდიტის დასკვნების შეპირისპირებას. ექსპერტის პოზიციით, დაზიანებული სახლის აღდგენა ტექნიკურად გაუმართლებელი იყო, ამიტომ მის დასკვნაში ასახული ზიანის ოდენობა გამოანგარიშებული იყო იმავე პარამეტრების მქონე სახლის ასაგებად საჭირო თანხის მიხედვით. აუდიტის დასკვნა სახლის აღდგენაზე გასაღები ხარჯების მიხედვით იყო შედგენილი, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ექსპერტის მიერ დასახელებულ ოდენობას. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ექსპერტის პოზიცია.

საკასაციო სასამართლომ საქმე მეორე ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუპრუნა. უზენაესი სასამართლოს პოზიციით, სკ-ის 414-ე მუხლი მხედველობაში მიიღება სკ-ის 992-ე მუხლზე დაფუძნებული მოთხოვნების შემთხვევაშიც - დაზარალებულს ჰქონდა ინტერესი, აღედგინა ვითარება, რომელიც შენარჩუნდებოდა ზიანის გამომწვევი ქმედების არარსებობის პირობებში, ამიტომ სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა, შესაძ-

ლებელი იყო თუ არა დაზიანებული სახლის აღდგენა.

## III. კომენტარი

უზენაესი სასამართლო მართებულად მიუთითებს, რომ ზიანის ანაზღაურების შედეგი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა (სკ-ის 408 I მუხლი), თუმცა ამ არგუმენტის მოშველიება მოცემულ გარემოებებში, სადაც პრობლემური საკითხი ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობაა, არავითარ როლს არ ასრულებს. იმის დადგენით, შესაძლებელია თუ არა დაზიანებული სახლის აღდგენა, განისაზღვრება ქონებრივი დანაკლისის ოდენობა, ხოლო თუ დაზიანება ისეთი ხასიათისაა, რომ ნივთის აღდგენა ტექნიკურად გაუმართლებელია, მაშინ დელიქტური სამართლისთვის დგება სახლის სრულად დანგრევის იდენტური შედეგი. დაზარალებულის ინტერესი (სკ-ის 414-ე მუხლი) აქ უმნიშვნელოა, რადგან ამ შემთხვევაში კანონმდებლობა მას არ ანიჭებს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ხერხს შორის. ამის საპირისპიროდ, დაზარალებულის ინტერესი მხედველობაში მიიღება დაზიანებული ქონებრივი სიკეთის იბიექტური ღირებულების დადგენის შემდგომ სხვა გარემოების, რომელთაც შეიძლება ფულად ერთეულში კონვერტირებადი ეკვივალენტი მოეძებნოს, მხედველობაში მიღებით. მოცემულ შემთხვევაში სკ-ის 414-ე მუხლის მოშველიება საჭირო იქნებოდა, მაგალითად, თუ მოსარჩელე მოითხოვდა ახალი სახლის აშენებამდე (ან დაზიანებულის შეკეთებამდე) საცხოვრებლად გამოყენებული სადგომის ქირის ხარჯების ანაზღაურებასაც.<sup>1</sup>

ნინო ქავშბაია

<sup>1</sup> იგივე მსჯელობისთვის პირადი მოხმარების ავტომობილის შესახებ ის. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 414-ე მუხლი, მე-6 ველი.

► 5 – 7/2020

**სესხის დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების დაკისრება ელექტრონული მიმოწერის კაუზალურ აღიარებად განმარტების გზით**

1. სესხის ხელშეკრულების დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შესაძლოა წარმოიშვას ელექტრონული მიმოწერის პროცესში მსესხებლის მიერ ვალის კაუზალური აღიარებით, რა შემთხვევაშიც ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან დაიწყება.

2. ელექტრონული მიმოწერის ტექსტის ინტერპრეტაცია დასაშვებია, თუმცა ნამდვილი შინაარსის განსაზღვრა ხდება ლოგიკური მსჯელობის, საერთო კონტექსტისა და სიტუაციური ფონის გათვალისწინებით, რომელიც მოსამართლის შინაგან რწმენას საერთო წინდახედულობის სტანდარტზე დაყრდნობით აყალიბებს.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადაღებები)

სკ-ის 134, 137, 141, 394, 400, 411, 429, 431, 623, 625-ე მუხლები

სსკ-ის 102 III, 105, 410-ე მუხლები

უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის განჩინება № ას-1067-1026-2016

**ფაქტობრივი გარემოებები:**

მხარეებს შორის სხვადასხვა დროს ორჯერ დაიდო ზეპირი სესხის ხელშეკრულება სარგებლის გადახდის პირობით. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ ვალდებულების შეუსრულებლობაზე მითითებით და დარღვეული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, მისთვის ძირი თანხის, საპროცენტო სარგებლისა და მიუღებელი შემოსავლის დაკისრება მოითხოვა. მოპასუხემ მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი წარადგინა და არც ერთი საფუძველი არ ცნო.

ქვედა ინსტანციის სასამართლოებში სარჩელი დაკიაყოფილდა ნაწილობრივ. პირველ ხელშეკრულებაში აღნიშნული მოთხოვნა უსაფა-

ლოდ ჩაითვალა. მართალია, თანხის გადარიცხვა უტყუარად დასტურდებოდა, თუმცა მოსარჩელე არ იყო სესხის ხელშეკრულების მხარე, შესაბამისად, არც მოთხოვნაზე უფლებამოსილი სუბიექტი, რადგან მოპასუხეს თანხას ურიცხავდა დავალების ხელშეკრულების საფუძველზე, როგორც გამსესხებლის ნომინალური აგენტი. გასული იყო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაც. სესხის მეორე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისთვის კი მოპასუხეს დაეკისრა სესხის დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. საკასაციო ინსტანციამ კასატორის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება სსკ-ის 410-ე მუხლზე დაყრდნობით უცვლელად დატოვა.

სასამართლოს მსჯელობის შეჯამება:

უზენაესი სასამართლოსთვის მსჯელობის საგანი იყო სესხის მეორე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომლის დამფუძნებელ ნორმებადაც სკ-ის 623, 625, 394, 411-ე და მე-400 მუხლები განისაზღვრა. მოპასუხე უარყოფდა მისგან სესხის ხელშეკრულების დადებაზე დათანხმების ფაქტს. სასამართლომ სარჩელი ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით გამართულად ჩათვალა და მიიჩნია, რომ ელექტრონული მიმოწერის შინაარსის შეფასება მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობის არსებობას ადასტურებდა. შესაბამისად, გაუთვალისწინებელი დარჩა კასატორის პოზიცია მიმოწერისა და მასზე დართული ვალის დაანგარიშების მტკიცებულებების არასწორ შეფასებაზე.

მოპასუხე სასამართლოს უთითებდა ელექტრონული მიმოწერის შინაარსის განსხვავებული ინტერპრეტაციაზე, ინგლისის ლორდთა პალატის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, სადაც აღნიშნულია „მნიშვნელოვანი გამონათქვამის განმარტების“ საკითხი და ტექსტის ინტერპრეტაცია მოხსენიებულია, როგორც ე. წ. „ფაქტების მატრიცა“. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ტექსტის ნამდვილი შინაარსის დასადგენად ლორდთა პალატაც ლოგიკურ მსჯელობას უჭერს მხარს, ყურადღებას ამასვილებს

კონტექსტზე, ფონზე, პირის საშუალო წინდა-  
ხედულობის სტანდარტზე და სხვა ისეთ ასპექ-  
ტებზე, რომლებიც ქართულ სასამართლო პრა-  
ტიკაში დანერგილ ნების განმარტების თეო-  
რიასთან საკმაოდ ახლოსაა.

საქმეში წარმოდგენილი ე.ნ. „დეილებისა“  
თუ ვალის დაანგარიშების ცხრილების შესწავ-  
ლის შედეგად, არადამაჯერებლობის, ლოგიკუ-  
რად გაუმართლებლობის მოტივით, გაუზიარე-  
ბელი დარჩა კასატორის განმარტება, თითქოს  
მათში გადმოცემული ინფორმაცია არ ასახავ-  
და კომპანიის ვალდებულებას მოსარჩელის მი-  
მართ და ეს მხოლოდ ბუღალტრული ანგარიში  
იყო, რომელიც შეეხებოდა ფიზიკური პირის ან-  
გარიშებს და აისახა კომპანიის ყოველდღიურ  
ანგარიშებთან ერთად. საკასაციო სასამართ-  
ლომ იმსჯელა კაუზალური ვალის აღიარებაზე,  
რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის და-  
დასტურებისაკენაა მიმართული და დაპირების  
ელემენტს შეიცავს. უდავოდ მიიჩნია, რომ  
ელექტრონული მიმოწერა სწორედ სესხის ხელ-  
შეკრულებიდან აღებული ვალდებულების კაუ-  
ზალური აღიარება იყო და შეიცავდა ყველა იმ  
ელემენტს, რომელიც მოსარჩელის მიერ გად-  
მოცემულ ფაქტებს ამყარებს და იურიდიულად  
ამართლებს სასამარჩელო მოთხოვნას.

ამასთან, პრეტენზია ხანდაზმულობის ვადა-  
ზე გამოირიცხება, რადგან კაუზალური აღია-  
რება ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის  
კერძო შემთხვევად ითვლება. სკ-ის 137-ე მუხ-  
ლის მიზნებისათვის, მოვალის აღიარება სამარ-  
თლებრივი ძალის მატარებელი მხოლოდ იმ შე-  
მთხვევაშია, თუკი აღიარება ხანდაზმულობის  
ვადაში განხორციელდა. სკ-ის 141-ე მუხლი კი  
ადგენს, რომ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხე-  
დველობაში არ მიიღება, არამედ, ვადა დაიწყე-  
ბა თავიდან, შესაბამისად, მოპასუხის ამგვარმა  
აღიარებამ ხანდაზმულობის ვადის დენის განა-  
ხლება გამოიწვია. ამასთან, სკ-ის 429-ე და 431-  
ე მუხლებიდან გამომდინარე, შესრულების მტ-  
კიცება ყოველთვის მოვალეს ეკისრება. ამგვა-  
რი მტკიცების საპროცესო საშუალებას კი სა-  
ვალო საბუთი წარმოადგენდა სსკ-ის 102 III მუ-  
ხლიდან გამომდინარე, თუმცა მოპასუხემ ამ  
საბუთის წარდგენით არ დაიცვა თავი მის წინა-  
აღმდეგ მიმართული მოთხოვნისგან.

მიუღებელი შემოსავლის შესაგებელ არგუ-  
მენტად კასატორი ზოგადად სესხის არსებობის  
დაუდასტურებლობას თვლიდა, ამიტომ, მისი  
აზრით, ამ მოცემულობაში მიუღებელ შემოსა-  
ვალზე საუბარი გაუმართლებელი იყო. თუმცა  
სასამართლოს მიერ დადასტურდა სესხის ხელ-  
შეკრულების არსებობის ფაქტი. არსებობდა  
ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის-  
გან გამოწვეული შემოსავლის მიუღებლობის  
წინაპირობები, აგრეთვე, ფაქტორი, რომ ფული  
ერთ-ერთი ყველაზე მიმოქცევადი საშუალებაა,  
მის ბრუნვას შეუძლია გარკვეული მოგების მი-  
ღება. ამ გარემოებათა გამო, მოპასუხისთვის  
ძირი თანხისა და საპროცენტო სარგებლის და-  
კისრებასთან ერთად, სკ-ის 411-ე მუხლის მიხე-  
დვით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების  
განსაზღვრაც საფუძვლიანად იქნა მიჩნეული.

ალექსანდრე თედორაძე

## ► 6 – 7/2020

**დანაშაულით მიყენებული ზიანის მოთხო-  
ვნისას მოსარჩელე ვალდებულია წარმოად-  
გინოს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ  
შედგენილი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს  
მითითებას მიყენებული ზიანის ზუსტი ოდე-  
ნობის შესახებ.**

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

სკ-ის 411, 992 მუხლები

ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კა-  
ნონის 24 XXXVIII, 3 ს) მუხლები

უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 იანვ-  
რის განჩინება № ას-1167-1112-2014

რედაქტორის შენიშვნა: საკასაციო სასამარ-  
თლომ გაიზიარა მეორე ინსტანციის სასამართ-  
ლოს პოზიცია მიუღებელი შემოსავლის გამოა-  
ნგარიშების შესახებ: შემოსავლების სამსახუ-  
რისადმი მიყენებულ ზიანის ოდენობას შეად-  
გენს მოსაკრებელი, რომელიც შეესაბამება ნე-  
ბართვის გარეშე განხორციელებულ სამეწარ-  
მეო საქმიანობის ფაქტორივ ხანგრძლივობას

და არა მთლიან წელს. მხედველობაში არ მიიღება ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონის 24 XXXVIII, 3 ს) მუხლები. ამასთან, დანამაულით მიყენებული ზიანის მოთხოვნისას პირმა უნდა წარმოადგინოს დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ზუსტ მითითებას ზიანის ოდენობაზე.

#### ► 7 – 7/2020

**თვითკონტრაპირების აკრძალვის გამო ბათილია საკუთარი თავისთვის მარწმუნებელი მემკვიდრის სახელით ნივთზე საკუთრების გადაცემა, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე რწმუნებულსა და მამკვიდრებელს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება.**  
**(ავტორის სახელმძღვანელო წინადაღება)**

#### სკ-ის 114-ე მუხლი

უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 8 ივლის გადაწყვეტილება № ას-543-516-2013

**ფაქტობრივი გარემოებები:** სამივე ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა რწმუნებულის საკუთარ თავთან მარწმუნებლის სახელით უძრავ ნივთზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნა. მოპასუხის პოზიცია, რომ განსახილველ მოვლენებამდე მარწმუნებლის მამკვიდრებელმა ხელწერილში აღნიშნა იმავე ნივთის მის სასარგებლოდ გასხვისების შესახებ, გათვალისწინებული არ ყოფილა. ამ გადაწყვეტის საფუძვლად სასამართლო ისევ სკ-ის 114-ე მუხლზე უთითებს.

**კომენტარი:** სასამართლოს გადაწყვეტა ეწინააღმდეგება თვითკონტრაპირების აკრძალვის დანიშნულებას. აშკარაა, რომ კანონმდებლობით არ არსებობს ინტერესი შესრულების გარიგების<sup>1</sup> ბათილობისა, თუ ხელშეკრულება, რომლის შესასრულებლადაც ის დაიდო, ნამდვილია („გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარიგება უკვე არსებობს რაიმე ვალდებულების შე-

სასრულებლად“). მოცემული შემთხვევის მაგალითზე, თუკი წარმოდგენილმა პირმა უკვე გამოავლინა ნივთის განკარგვის ვალდებულების საკუთარ თავზე აღების ნება, მას აღარ შეუძლია მიუთითოს იმ გარიგების ბათილობაზე, რომლითაც რწმუნებულმა მისი სახელით ეს ვალდებულება შეასრულა და საკუთარ თავს ნივთზე საკუთრება გადასცა. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, მსჯელობა უნდა დათმობოდა იმის დადგენას, არსებობდა თუ არა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მამკვიდრებელმა იკისრა ნივთის საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე უთითებდა მამკვიდრებლის მიერ შედგენილ ხელწერილზე. იქიდან გამომდინარე, რომ უძრავ ნივთზე დადებული ხელშეკრულება ფორმასავალდებულოა (სკ-ის 323-ე მუხლი), სასამართლოს წერილობით მტკიცებულებით, რომლითაც მხოლოდ გამყიდველის ნების გამოვლენაა დაფიქსირებული, უნდა დაესკვნა, რომ ნასყიდობა იყო ბათილი ფორმადაუცველობის გამო (სკ-ის 59 I მუხლი), შესაბამისად, რწმუნებულის მიერ საკუთარ თავთან დადებული (განკარგვით) გარიგება ბათილი იყო ქართულ კანონმდებლობაში მოქმედი კაუზალობის პრინციპის გამო. ამისთვის გვერდის აქცევა და საკუთარ თავთან სხვისი სახელით დადებული ნებისმიერი გარიგების უაპელაციოდ ბათილად მიჩნევა ეწინააღმდეგება სკ-ის 114-ე მუხლშივე<sup>2</sup> დადგენილ გამონაკლისს.

#### ► 8 – 7/2020

**სტანდარტული პირობა, რომლითაც მხარეთა შორის დავა უნდა გადაწყვდეს საარბიტრაჟო წარმოებით, უნდა განიმარტოს იპოთეკის მოვალის სასარგებლოდ, სკ-ის 346-ე მუხლის მიხედვით: იპოთეკის საგანზე რეალიზა-**

<sup>1</sup> გაუგებარია ამ გადაწყვეტილების ფაბულის განხილვა ისეთ შემთხვევად, როდესაც წარმოდგენილი პირი, ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის გამო ვალდებულია, მოიწონოს წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება, ჯორბენაძე, განერელია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017 114-ე მუხლი, მე-13 ველი. ამის საჭიროება მსგავს გარემოებებში არ არსებობს.

<sup>1</sup> რუსიაშვილი, სირდაძე, ეგნატაშვილი, სანივთო სამართალი, კაზუსების კრებული, თბილისი, 2019, 114.

**ციის მიქცევა დასაშვებია მხოლოდ დავის არბიტრაჟის მეშვეობით გადაწყვეტის შემდეგ.**

**(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)**

სკ-ის 302-309, 346-ე მუხლები

უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 იანვრის განჩინება № ას-1365-1287-2012

რედაქტორის შენიშვნა: იპოთეკის მოვალემ სარჩელი აღძრა კერძო სპეციალისტის, საჯარო რეესტრისა და კრედიტორის წინააღმდეგ და მოითხოვა ჩატარებული აუქციონის პათილად ცნობა. მოსარჩელის მითითებით, მისი და კრედიტორის შეთანხმებით, იპოთეკის დატვირთული ქონების რეალიზაცია შესაძლებელი იყო მხოლოდ დავის არბიტრაჟის მეშვეობით გადაწყვეტის შემდეგ. ამასთან, აუქციონი, რომლის შესახებაც ის არ ყოფილა გაფრთხილებული, ჩატარდა დარღვევებით. მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა - გაბათილდა აუქციონის ჩატარების შესახებ ოქმი, განკარგულება აუქციონზე შეძნილი ნივთის საკუთრებაში გადაცემის შესახებ და საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა გაიზიარეს პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია, მათი დასაბუთებით, სკ-ის 346-ე მუხლის მიხედვით, უნდა განმარტებულიყო მოსარჩელის სასარგებლოდ და აუქციონი უნდა ჩატარებულიყო დავის მხოლოდ არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტის შემდგომ.

უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 6 მარტის განჩინება № ას-1235-1164-2012

რედაქტორის შენიშვნა: დასაქმებულმა მიიღო ტრავმა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, რამაც მისი უვადო შრომისუნარობა გამოიწვია. დამსაქმებელი სარჩელი წლების განმავლობაში იხდიდა, თუმცა მოგვიანებით შეწყვიტა. დაზარალებულმა სარჩელი აღძრა დამსაქმებლის წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის ყოველთვიური სარჩელი დაკისრება. საკასაციო სასამართლომ საქმე მეორე ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნა და მიუღებლად მიიჩნია მტკიცების ტვირთის მოსარჩელისთვის დაკისრება იმ პირობებში, როდესაც მან დააყენა შუამდგომლობა ინფორმაციის (მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობისა და ანაზღაურების შესახებ) მოპასუხისან გამოთხოვის შესახებ და ამ უკანასკნელს დაკისრებული მოვალეობა არ შეუსრულებია. უზენაესი სასამართლოს პოზიციით, მოპასუხის წერილობითი განმარტება მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენის შეუძლებლობის შესახებ არ შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულების წარუდგენლობის საპატიო მიზეზად.

ნინო ქავშბაია

► 9 – 7/2020

მხარის წერილობითი განმარტება მისგან გამოთხოვილი მტკიცებულების წარდგენის შეუძლებლობის შესახებ ვერ ჩაითვლება ვალდებულების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზად, სკ-ის 136 V მუხლის მიზნებისთვის.  
**(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)**

სსკ-ის 136 V მუხლი